

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სისხლის სამართლის საქმეებზე
2009, №3

ა მ ნ ი ს ტ ი ა

1. ცემა
2. ძარცვა
3. ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება
4. ქურდობა
5. ყაჩაღობა
6. ნივთის დაზიანება ან განადგურება
7. ფალსიფიკაცია
8. მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გადაზიდვა
9. ყალბი საანგარიშო ბარათის დამზადება გასაღების მიზნით
10. დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში
 - გადასახადისათვის თავის არიდება
 - საბაჟო წესების დარღვევის მცდელობა
11. ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა
12. ხულიგნობა

1. ცემა

განჩინება

საქმე #1825-აპ

4 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
- ლ. მურუსიძე,
- ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. ბ-შვილის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 7 აგვისტოს განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 4 ივნისის განაჩენით ნ. ბ-შვილი ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში დაზარალებულების - ც. გ-შვილის, ს. ს-ძის, ნ. ბ-შვილის, გ. შ-ძის, ტ. ს-ძის ეპიზოდებში, რის გამოც მას ს. ს-ძის ცემის ფაქტზე სასჯელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა - 500 ლარი, ნ. ბ-შვილის ცემის ფაქტზე ჯარიმა - 500 ლარი, გ. შ-ძის ცემის ფაქტზე ჯარიმა - 500 ლარი, ტ. ს-ძის ცემის ფაქტზე ჯარიმა - 500 ლარი, ხოლო ც. გ-შვილის ცემის ფაქტზე შეფარდებული სასჯელის - 500 ლარის ჯარიმის მოხდისაგან ნ. ბ-შვილი გათავისუფლდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე, სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლით (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) გათვალისწინებული სასჯელთა მთლიანი შეკრების წესით ნ. ბ-შვილს განესაზღვრა ჯარიმა - 2000 ლარი, მასვე დაეკისრა დაზარალებულების: ც. გ-შვილის, რ. ს-ძის, ნ. ბ-შვილის, გ. შ-ძის, ტ. ს-ძის მიერ ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯების - 700 ლარის გადახდა. იმავე სასამართლოს 2007 წლის 19 ივლისის დადგენილებით, ნ. ბ-შვილს ჯარიმის - 2000 ლარის გადახდა გადაუვადდა 6 თვით, ხოლო დაზარალებულთათვის 700 ლარის გადახდის გადავადებაზე ეთქვა უარი.

განაჩენის მიხედვით, ნ. ბ-შვილს მსჯავრი დაედო ცემისა და ძალადობისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში: ნ. ბ-შვილი, იყო რა სამტრედიის შპს «არგოს» (ყოფილი საკოლმეურნეო ბაზარი) დირექტორი 2004-2006 წლებში, სცემდა და ფიზიკურ ტკივილს აყენებდა თანამშრომლებს, კერძოდ: მან ც. გ-შვილს, შპს «არგოს» მოლარეს, 2004 წლის აპრილში, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, კამათის დროს აგინა და მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, ხელი გაართყა გვერდში, ფეხსაცმლის წვერით სცემა წვივებში, რითაც მას მიაყენა ფიზიკური ტკივილი. მანვე რ. ს-ძეს, სამტრედიის შპს «არგოს» მწონავს, 2005 წლის ივლისში, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, კამათის დროს აგინა და მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, გასაღების აცმა ესროლა სახეში, რამაც ცხვირიდან სისხლდენა გამოიწვია და მას განაცდევინა ფიზიკური ტკივილი. გარდა ამისა, ნ. ბ-შვილმა 2005 წლის ნოემბერში ნ. ბ-შვილს, შპს «არგოს» ბუღალტერს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, კამათის დროს აგინა და მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, ხელი გაართყა თავში, დაითრია თმით და თავი მიართყმევინა კედელზე. მანვე 2006 წლის მაისის ბოლო რიცხვებში, თავის სამუშაო ოთახში დაზარალებულ ნ. ბ-შვილს უჩქმბიტა ლოყაში და ხელი გაართყა სახეში, რითაც მსჯავრდებულმა დაზარალებულს განაცდევინა ფიზიკური ტკივილი. ნ. ბ-შვილმა 2006 წლის ივნისის თვეში ტ. ს-ძეს, შპს «არგოს» კონტროლიორს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, კამათის დროს აგინა და მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, ხელი გაართყა მარცხენა მხრის არეში, ფეხსაცმლის წვერით სცემა წვივებში, რითაც მიაყენა ფიზიკური ტკივილი. მანვე გ. შ-ძეს, შპს «არგოს» კონტროლიორს, 2006 წლის თებერვლისა და აპრილში, აგრეთვე, 2006 წლის 29 მაისს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, კამათის დროს აგინა და მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, ესროლა და შუბლის არეში მოართყა გასაღების აცმა, ფეხსაცმლის წვერით სცემა წვივებში, გულ-მკერდში ესროლა საანგარიშო მანქანა, დაითრია ჯერ ცხვირით, შემდეგ თმით, შემოახია სპეცხალათი, საჯდომზე წიხლის ამორტყმით გამოაგდო სამუშაო ოთახიდან და ა.შ., რითაც მას განაცდევინა ფიზიკური ტკივილი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ნ. ბ-შვილმა. იგი თავისი საჩივრით ითხოვდა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გაუქმებას და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმ მოტივით, რომ მას არ ჩაუდენია განაჩენით მისთვის შერაცხული ქმედებები.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 7 აგვისტოს განაჩენით მსჯავრდებულ ნ. ბ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის მოტივით, ხოლო სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 4 ივნისის განაჩენი ნ. ბ-შვილის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ნ. ბ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. იგი თავისი საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 7 აგვისტოს განაჩენის გაუქმებასა და ხელახლა განსახილველად საქმის იმავე სასამართლოში დაბრუნებას იმ მოტივით, რომ მას არ ჩაუდენია განაჩენით მისთვის შერაცხული ქმედება, ხოლო განაჩენი ეფუძნება არასარწმუნო და საპროცესო ნორმების დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს, შესაბამისად, მის ქმედებას მიეცა არასწორი სამართლებრივი შეფასება და კვალიფიკაცია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ნ. ბ-შვილის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორ ნ. ბ-შვილის საკასაციო საჩივარში მითითებულ მოტივებს მისი უსაფუძვლოდ მსჯავრდების თაობაზე. მისი ბრალეულობა დადასტურებულია დაზარალებულებისა და მოწმეების ჩვენებებით, რომლებიც მოპოვებულია წინასწარი და სასამართლო გამოძიების სტადიაზე საპროცესო ნორმების დაცვით. საქმეში არ არსებობს სხვა ისეთი მტკიცებულებები, რომლებითაც გაბათილდებოდა, ანდა ეჭვქვეშ დადგებოდა ნ. ბ-შვილის მიმართ განაჩენით შერაცხული ბრალდება. სააპელაციო სასამართლომ სწორად დააკვალიფიცირა მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედება და არ არსებობს საფუძველი მისი შეცვლისათვის. რაც შეეხება სასამართლოს მიერ დანიშნულ სასჯელს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ იგი განსაზღვრულია მსჯავრდებულის პიროვნებისა და მის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმის გათვალისწინებით და უნდა ჩაითვალოს სამართლიანად.

მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ამავე დროს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ნ. ბ-შვილის მიმართ უნდა გავრცელდეს «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მოქმედება, კერძოდ, აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, მას სასამართლოს განაჩენით დაზარალებულ ს. ს-ძის ეპიზოდში დანიშნული სასჯელი უნდა გაუნახევრდეს და სასჯელის ზომად განესაზღვროს ჯარიმა - 250 ლარის ოდენობით; დაზარალებულ ნ. ბ-შვილის ეპიზოდში დანიშნული სასჯელი მას უნდა გაუნახევრდეს და სასჯელის ზომად განესაზღვროს ჯარიმა - 250 ლარის ოდენობით; დაზარალებულ გ. შ-ძის ეპიზოდში დანიშნული სასჯელი მას უნდა გაუნახევრდეს და სასჯელის ზომად განესაზღვროს ჯარიმა - 250 ლარის ოდენობით; დაზარალებულ ტ. ს-ძის ეპიზოდში დანიშნული სასჯელი მას უნდა გაუნახევრდეს და სასჯელის ზომად განესაზღვროს ჯარიმა - 250 ლარის ოდენობით, ხოლო საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, სასჯელთა შეკრების წესით, მას საბოლოო სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს ჯარიმა - 1000 (ათასი) ლარის ოდენობით, იმის გათვალისწინებით, რომ «ამნისტიის შესახებ» იმავე კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ამნისტია არ ვრცელდება უკვე გადახდილ ჯარიმაზე, რომელიც შეფარდებული იყო ძირითადი სასჯელის სახით.

ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 7 აგვისტოს განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ ნ. ბ-შვილის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

დაადგინა:

მსჯავრდებულ ნ. ბ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 7 აგვისტოს განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე მსჯავრდებულ ნ. ბ-შვილის სასამართლოს განაჩენით დაზარალებულ ს. ს-ძის ეპიზოდში დანიშნული სასჯელი გაუნახევრდეს და სასჯელის ზომად განესაზღვროს ჯარიმა - 250 ლარის ოდენობით; დაზარალებულ ნ. ბ-შვილის ეპიზოდში დანიშნული სასჯელი გაუნახევრდეს და სასჯელის ზომად განესაზღვროს ჯარიმა - 250 ლარის ოდენობით; დაზარალებულ გ. შ-ძის ეპიზოდში დანიშნული სასჯელი გაუნახევრდეს და სასჯელის ზომად განესაზღვროს ჯარიმა - 250 ლარის ოდენობით; დაზარალებულ ტ. ს-ძის ეპიზოდში დანიშნული სასჯელი გაუნახევრდეს და სასჯელის ზომად განესაზღვროს ჯარიმა - 250 ლარის ოდენობით, ხოლო საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, სასჯელთა შეკრების წესით, მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს ჯარიმა - 1000 ლარის ოდენობით, იმის გათვალისწინებით, რომ «ამნისტიის შესახებ» იმავე კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის

თანახმად, ამნისტია არ ვრცელდება უკვე გადახდილ ჯარიმაზე, რომელიც შეფარდებული იყო ძირითადი სასჯელის სახით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. პარცვა

განჩინება

საქმე #326-აპ

29 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. ს-ავას ინტერესების დამცველი ადვოკატების - ზ. რ-შვილისა და დ. ა-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 დეკემბრის განაჩენზე, რომლითაც მ. ს-ავა ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის II ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 3 აგვისტოს განაჩენით მ. ს-ავა, ამჟამად პატიმარი, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის II ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის II ნაწილის გამოყენებით, დაემატა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 12 მარტის განაჩენით, სსკ-ის 362-ე მუხლის I ნაწილით დანიშნული სასჯელი - 1 წელი და მას საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2007 წლის 18 მაისიდან.

განაჩენით მ. ს-ავას მსჯავრი დაედო პარცვაში, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლებაში მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, საცავში უკანონოდ შეღწევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 17 მაისს მ. ს-ვამ განიზრახა სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, იმავე დღეს, დაახლოებით 4 საათზე, იგი თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ერთ-ერთ სავაჭრო ჯიხურთან მივიდა და შეამჩნია, რომ გამყიდველ რ. გ-ს ეძინა, რის შემდეგაც წინა კედელზე არსებული, მცირე ზომის ფანჯრიდან ჯიხურში უკანონოდ შეაღწია, კერძოდ, სხეულით ნახევრად შევიდა და ფანჯარასთან არსებული დახლის უჯრიდან მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა რ. გ-ნის კუთვნილ, შავი ფერის საფულეს და მასში მოთავსებულ ფულად თანხას - 500 ლარს, რა დროსაც ამ უკანასკნელს გაეღვიძა და წამოდგა, ხოლო მ. ს-ვა ჯიხურიდან გამოვიდა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, რითაც დაზარალებულ რ. გ-ს მიაყენა 500 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ მ. ს-ვას ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა - ზ. რ-შვილმა და დ. ა-შვილმა. აპელანტებმა ითხოვეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 3 აგვისტოს უკანონო განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულ მ. ს-ვას მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 დეკემბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 3 აგვისტოს განაჩენი მ. ს-ვას მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ მ. ს-ვას ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა - ზ. რ-შვილმა და დ. ა-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორებმა ითხოვეს უკანონო, გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება, სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტა და მსჯავრდებულ მ. ს-ვას გამართლება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულ მ. ს-ავას ინტერესების დამცველი ადვოკატების - ზ. რ-შვილისა და დ. ა-შვილის საკასაციო საჩივრის მოთხოვნებს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებისა და საქმის წარმოებით შეწყვეტის შესახებ, უსაფუძვლოდ გამო.

პალატას მიაჩნია, რომ საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად, საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. განაჩენით მსჯავრდებულისათვის შერაცხული ბრალდება არავითარ ეჭვს არ იწვევს. სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელი, ისე დამამძიმებელი გარემოებები.

საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: დაზარალებულ რ. გ-ნის, მოწმეების - ო. მ-ნის, ი. კ-იას ჩვენებებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერებისა და პირის ამოსაცნობად წარდგენის ოქმებით, მსჯავრდებულისათვის ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია და მას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულის მიმართ სსკ-ის 178-ე მუხლის II ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელი სამართლიანია და არ არსებობს მისი შეცვლის საფუძველი.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის I, II პუნქტების საფუძველზე მსჯავრდებულ მ. ს-ავას საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელი - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა - უნდა გაუნახევრდეს და სსკ-ის 178-ე მუხლის II ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტებით დანიშნულ სასჯელს - 5 წლით თავისუფლების აღკვეთას უნდა დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელიდან 6 თვე და მ. ს-ავას საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის «ა» და „დ» ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის I და II პუნქტებით,

დაადგინა:

მსჯავრდებულ მ. ს-ავას ინტერესების დამცველი ადვოკატების - ზ. რ-შვილისა და დ. ა-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 დეკემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

„ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის I, II პუნქტების საფუძველზე მსჯავრდებულ მ. ს-ავას თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 12 მარტის განაჩენით შეფარდებული, საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის I ნაწილით დანიშნული სასჯელი - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა - გაუნახევრდეს.

მსჯავრდებულ მ. ს-ავას საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება

განჩინება

საქმე #1462-აბ

10 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. ბ-კის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. მ-შვილისა და მსჯავრდებულ ე. ე-ვის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 16 ივლისის განაჩენით:

ე. ე-ვი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ» და მესამე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით - 10 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 88-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, დანიშნული სასჯელი შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა 7 წელი და 9 თვე, 178-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» და მესამე ნაწილის «ა», «ბ», «დ» ქვეპუნქტებით - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 88-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, დანიშნული სასჯელი შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა 4 წელი და 6 თვე, 118-ე მუხლის პირველი ნაწილით - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 88-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, დანიშნული სასჯელი შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა 1 წელი და 6 თვე, 363-ე მუხლის მეორე ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 88-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, დანიშნული სასჯელი შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა 8 თვე. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, მას მიესაჯა 14 წლითა და 5 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის შესაბამისად, გაუქმდა მის მიმართ წინა განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი - 3 წელი და 6 თვე. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, ახლად დანიშნულ სასჯელს დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 3 წელი და 6 თვე და ე. ე-ვს მიესაჯა 17 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 88-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, ე. ე-ვს საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 20 აპრილიდან.

ა. ბ-კი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ» და მესამე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტებით - 10 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა, 178-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» და მესამე ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 118-ე მუხლის პირველი ნაწილით - 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის სახით - ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, 363-ე მუხლის მეორე ნაწილით - 8 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 19 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელის სახით - ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. ა. ბ-კის სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 20 აპრილიდან.

მ. ქ-ლი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ» და მესამე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 21 აპრილიდან.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულების მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ა. ბ-კი, წინაწარი შეთანხმებით, თავის მეგობარ ე. ე-ვთან ერთად 2008 წლის 19 თებერვალს, საღამოს, დაახლოებით 20 საათისათვის, იმყოფებოდა ქ. რუსთავში, შარტავას გამზ. #19-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, ფულის წართმევის მიზნით, ისინი უკნიდან სწრაფად მიუახლოვდნენ ქ. რუსთავში მცხოვრებ რ. ბ-ნიას, რომელსაც ძალადობის გამოყენებით გასტაცეს ხელჩანთა, ღირებული 70 ლარად, რომელშიც მოთავსებული იყო რ. ბ-ნიას პირადი ნივთები: 2 სათვალე, ღირებული 50 ლარად, რამდენიმე ცალი სხვადასხვა დანიშნულების გასაღები და საქართველოს მოქალაქის პასპორტი, ღირებული 35 ლარად, სხვადასხვა დასახელების პარფიუმერია, ღირებული 100 ლარად, აუდიოდისკები, ღირებული 28 ლარად, საფულე, ღირებული 10 ლარად, რომელშიც მოთავსებული იყო ფულადი თანხა - 15 ლარი, ხელთათმანები, ღირებული 100 ლარად, ინგლისური ენის ლექსიკონი, ღირებული 15 ლარად, სხვადასხვა დასახელების მედიკამენტი, ღირებული 15 ლარად, რითაც დაზარალებულ რ. ბ-ნიას მიაღდა 438 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

ა. ბ-კიმ 2008 წლის 19 თებერვალს, რ. ბ-ნიას მარცვის დროს, ე. ე-ვთან ერთად სხეულის დაზიანება მიაყენა დაზარალებულს. მათ გამოიყენეს ფიზიკური ძალადობა, რის შედეგადაც რ. ბ-ნიამ მიიღო სხეულის დაზიანება, კერძოდ, მარჯვენა მხარის ძვლის ქირურგიული ყელის მოტეხილობა. ა. ბ-კი და ე. ე-ვი შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, დაზიანება სიცოცხლისათვის სახიფათო არ არის, მაგრამ მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე ხარისხს და დაკავშირებულია ჯანმრთელობის ხანგრძლივ მოშლასთან.

2008 წლის 20 აპრილს, დაახლოებით 04:00 საათზე, ქ. რუსთავეში ა. ბ-კიმ, მ. ქ-ლთან და არასრულწლოვან ე. ე-ვთან ერთად, განიზრახა სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, ა. ბ-კი წინასწარი შეთანხმებით, მ. ქ-ლთან და ე. ე-ვთან ერთად, ჯგუფურად, სახეზე ნიღაბფარებული, თავს დაესხა ქ. რუსთავეში, «მარის არხის» დასახლებაში მცხოვრებ კ. წ-ულს, დაბადებულს 1935 წლის 14 თებერვალს. თანაქონი ხელკეტით მათ დაზარალებულს მიაყენეს სხეულის დაზიანება თავის არეში, წებოვანი ლენტით გაუკოჭეს ხელ-ფეხი, იმავე ლენტით აუკრეს თვალები, პირი და ითხოვდნენ თანხის გადაცემას, რის შემდეგაც დაიწყეს სახლის ჩხრეკა. მათ გაიტაცეს «ჯენერალის» ფირმის ფერადი ტელევიზორი თავისი პულტით, ღირებული 165 ლარად, სხვადასხვა სახის ბიჟუტერია, დაზარალებულს ყურებიდან ჩამოხსნეს ოქროს საყურე გიშრის თვლით, ღირებული 100 ლარად, რის შემდეგაც ბოროტმოქმედნი შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

ა. ბ-კიმ ასევე ჩაიდინა საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, კერძოდ, 2008 წლის 20 აპრილს საქართველოს შსს რუსთავეის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-2 განყოფილების თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, ქ. რუსთავეში, ... ქ. #29-12-ში დროებით მცხოვრებ ა. ბ-კის ბინაში, გადაუდებელი აუცილებლობის პირობებში, ჩაატარეს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკა, რა დროსაც აღმოჩენილ და ამოღებულ იქნა 101 ცალი სხვადასხვა სახის იარაღის ვაზნა. 2008 წლის 22 აპრილის სასამართლო-ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, წარმოდგენილი 101 ცალი ვაზნიდან 31 ვარგისია გამოყენებისათვის და მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას, ისინი დამზადებულია ქარხნული წესით, არის 5,6 კალიბრიანი და გათვალისწინებულია ამავე კალიბრიანი პისტოლეტების, რევოლვერებისა და შაშხანებისათვის.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 ოქტომბრის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

ა. ბ-კისა და ე. ე-ვს ამოერიცხათ საქართველოს სსკ-ის 363-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება და ისინი ამ ნაწილში გამართლდნენ.

ე. ე-ვი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით - 10 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 88-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, დანიშნული სასჯელი შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა 7 წელი და 9 თვე, 178-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ», «დ» ქვეპუნქტებით - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 88-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, დანიშნული სასჯელი შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა 4 წელი და 6 თვე, 118-ე მუხლის პირველი ნაწილით - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 88-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, დანიშნული სასჯელი შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა 1 წელი და 6 თვე. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, მას მიესაჯა 13 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის შესაბამისად, გაუქმდა მის მიმართ წინა განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი - 3 წელი და 6 თვე. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, ახლად დანიშნულ სასჯელს დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 3 წელი და 6 თვე და ე. ე-ვს მიესაჯა 17 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 88-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, ე. ე-ვს საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ა. ბ-კი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით - 10 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა, 178-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 118-ე მუხლის პირველი ნაწილით - 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის სახით - ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 18 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელის სახით - ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

მ. ქ-ლი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ ა. ბ-კის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ი. მ-შვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: ა. ბ-კის დამნაშავედ ცნობას მხოლოდ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტითა და 236-ე მუხლის პირველი ნაწილით, ხოლო ბრალდების სხვა ნაწილში - გამართლებას. კასატორის მოსაზრებით, განაჩენი არის უკანონო; ა. ბ-კის არ ჩაუდენია საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, 118-ე

მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულები; საქმეში არ მოიპოვება ამ ნაწილში მსჯავრდების დამადასტურებელი მტკიცებულებები; განაჩენი ეყრდნობა მხოლოდ ვარაუდს.

მსჯავრდებული ე. ე-ვი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და საქმის დაბრუნებას ახალი სასამართლო განხილვისათვის ან განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: დამნაშავედ ცნობას მხოლოდ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით და სასჯელის შემსუბუქებას, ხოლო ბრალდების სხვა ნაწილში - გამართლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე სასამართლო გამოკვლევა ჩატარებულია სრულყოფილად, ობიექტურად და საპროცესო კანონმდებლობის დაცვით.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორების მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ მსჯავრდებულებს - ე. ე-ვსა და ა. ბ-კის არ ჩაუდენიათ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ», «დ» ქვეპუნქტებითა და 118-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულები, კერძოდ:

დაზარალებულ რ. ბ-ნიას ჩვენებით, 2008 წლის 19 თებერვალს მას თავს დაესხა ორი პირი, რომელთაგან ერთი იყო მაღალი და გამხდარი, ხოლო მეორე - მასზე დაბალი. ისინი მას დაეჯახნენ უკნიდან, წააქციეს და გასტაცეს ხელჩანთა. წაქცევის შედეგად მას მოსტყდა ბეჭი. რ. ბ-ნიამ სასამართლოში დაკითხვისას ამოიცნო ა. ბ-კი, როგორც მასზე განხორციელებული თავდასხმის ერთ-ერთი მონაწილე.

საქმეში არსებული ჩხრეკის ოქმის თანახმად, ა. ბ-კისა და ე. ე-ვის დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებულ იქნა «ჯენერალის» ფირმის ტელევიზორი, ბიჟუტერია, სხვადასხვა ფერის 5 ხელჩანთა, სათვალე, საფულე, ასევე - ვაზნები. საგამომიებო მოქმედება ჩატარდა ა. ბ-კის მონაწილეობით, რომლის სისწორესაც იგი ადასტურებს ხელმოწერით.

საგნის ამოსაცნობად წარდგენის ოქმების თანახმად, ა. ბ-კისა და ე. ე-ვის დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებული ხელჩანთებიდან, საფულეებიდან და სათვალეებიდან დაზარალებულმა რ. ბ-ნიამ ამოიცნო ერთი ხელჩანთა, სათვალეები და საფულე.

საქმეში არსებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ რ. ბ-ნიას სხეულის დაზიანება მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე ხარისხს ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლით.

განაჩენით ა. ბ-კისა და ე. ე-ვის მიმართ შერაცხული ბრალდებები დადასტურებულია ასევე მსჯავრდებულების ნაწილობრივი აღიარებითი ჩვენებით, დაზარალებულ კ. წ-ლის, მოწმეების - ზ. ბ-შვილის, ვ. დ-ოს, ზ. ი-ძის ჩვენებით, მსჯავრდებულ მ. ქ-ლის აღიარებითი ჩვენებითა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით.

ამდენად, პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები გააჩნდა მსჯავრდებულების მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად.

რაც შეეხება ამავე საქმეზე მსჯავრდებულ მ. ქ-ლს, რომელსაც განაჩენი საკასაციო წესით არ გაუსაჩივრებია, საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 567-ე მუხლის პირველი ნაწილით, სრული მოცულობით შეამოწმა საქმე მსჯავრდებულ მ. ქ-ლის მიმართაც და მიიჩნია, რომ დადგენილი განაჩენი მის მიმართ კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ «ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულები - ა. ბ-კი და ე. ე-ვი უნდა გათავისუფლდნენ საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელის - 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთის - მოხდისაგან.

მსჯავრდებულ ა. ბ-კის საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, 178-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 16 წლითა და 10 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

მსჯავრდებულ ე. ე-ვს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით, 178-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ», «დ» ქვეპუნქტებით უნდა მიესაჯოს 12 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც უნდა დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 3 წელი და 6 თვე და ე. ე-ვს მიესაჯოს 15 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 88-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, ე. ე-ვს საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, «ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტით, 567-ე მუხლის პირველი ნაწილით, 568-ე მუხლით და

დაადგინა:

საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

«ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებული ა. ბ-კი გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელის - 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთის - მოხდისაგან.

მსჯავრდებულ ა. ბ-კის საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, 178-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 16 წლითა და 10 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

«ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებული ე. ე-ვი გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელის - 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთის - მოხდისაგან.

მსჯავრდებულ ე. ე-ვს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით, 178-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ», «დ» ქვეპუნქტებით მიესაჯოს 12 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 3 წელი და 6 თვე და ე. ე-ვს მიესაჯოს 15 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 88-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, ე. ე-ვს საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. ქურდობა

განჩინება

საქმე #1442-აპ

2 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ჩ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 19 აგვისტოს განაჩენით გ. ჩ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 187-ე მუხლის პირველი ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. გ. ჩ-შვილს სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 10 თებერვლიდან.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ გ. ჩ-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

გ. ჩ-შვილი 2008 წლის 10 თებერვალს პირად საქმეზე იმყოფებოდა სიღნაღის რაიონის ქალაქ წნორში, რა დროსაც განიზრახა ამავე ქალაქში მდებარე შპს „კელაპტრის“ ღვინის ქარხანაში, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად დაუფლებოდა მაღალი ძაბვის იზოლირებულ დენის სადენს, რათა შემდეგ ჯართის სახით მოეხდინა მისი რეალიზაცია. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად იგი საღამოს, დაახლოებით 16 საათზე, შევიდა ქარხნის შემოფარგლულ ტერიტორიაზე, ფიზიკური ძალის გამოყენებით გახსნა მავთულის ქანჩით დაკეტილი საცავის კარი, შეაღწია შიგ და გადაჭრა მაღალი ძაბვის ელექტროსისტემაში გამავალი 12 მეტრი, 240 ლარად ღირებული ალუმინის სადენი, რომელიც მოათავსა პოლიეთილენის ტომარაში და გაიტაცა.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ოქტომბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული გ. ჩ-შვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას იმ საფუძველით, რომ აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, ჰყავს მეუღლე და ორი შვილი, მოხუცი მშობლები, არის ოჯახის მარჩენალი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მსჯავრდებულის აღიარებითი ჩვენებით, დაზარალებულ თ. შ-შვილის ჩვენებით, მოწმე კ. ო-ძის ჩვენებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების, საგნის ამოსაცნობად წარდგენის, პირის ამოსაცნობად წარდგენისა და პირადი ჩხრეკის ოქმებით გ. ჩ-შვილის მიერ მასზე ბრალად შერაცხული დანაშაულების ჩადენა დადასტურებულია, რასაც სადავოდ არც საკასაციო საჩივარი ხდის.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით, გასაჩივრებული განაჩენით გ. ჩ-შვილისათვის შეფარდებული სასჯელი სამართლიანი და კანონიერია.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ «ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებული გ. ჩ-შვილი უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელის - 1 წლით თავისუფლების აღკვეთის - მოხდისაგან.

მსჯავრდებულ გ. ჩ-შვილს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, «ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტით, 568-ე მუხლით და

დაადგინა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

«ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებული გ. ჩ-შვილი გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელის - 1 წლით თავისუფლების აღკვეთის - მოხდისაგან.

მსჯავრდებულ გ. ჩ-შვილს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. ყაჩაღობა

განჩინება

საქმე #1835-აბ

3 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ჩინჩალაძე (თავმჯდომარე),
მ. ვაჩაძე,
რ. ნადირიანი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ზ. თ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. რ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 14 თებერვლის განაჩენით, ზ. თ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ« და „დ« ქვეპუნქტებით, 188-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) იმაში, რომ არაერთგზის და დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით ჩაიდინა ყაჩაღობა, ასევე, სხვისი ნივთის დაზიანება გაუფრთხილებლობით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

2003 წლის 28 იანვარს ზ. თ-შვილი საგარეჯოს რაიონული სასამართლოს განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 184-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ« ქვეპუნქტით და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. მიუხედავად აღნიშნულისა, იგი არ გამოსწორდა და კვლავ ჩაიდინა განზრახი დანაშაული, კერძოდ, 2005 წლის 15 იანვარს ზ. თ-შვილმა განიზრახა სხვისი დიდი ოდენობით ნივთის დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რისთვისაც იმავე დღეს, დაახლოებით 23³⁰ საათზე, ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირზე არსებულ სასტუმრო „მეტეხის« მიმდებარე ტერიტორიაზე გააჩერა მ. ჟ-ას კუთვნილი ავტომანქანა „ვაზ-31105« მარკის ტაქსი, რომელსაც მართავდა ბ. მ-ა. ზ. თ-შვილმა მას უთხრა, წაეყვანა ვაზისუბნის დასახლებაში. მსჯავრდებულმა ბ. მ-ას ავტომანქანა გააჩერებინა წულუკიძის ქუჩაზე, რის შემდეგაც ჯიბიდან ამოიღო გასაშლელი დანა, რომლის გამოყენებით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით აიძულა ეს უკანასკნელი, გადმოსულიყო მანქანიდან, თავად მიუჯდა საჭეს და მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრა მ. ჟ-ას კუთვნილი, 13 500 ლარად ღირებული ავტომანქანა, რომელსაც იჯარით მართავდა ბ. მ-ა. გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად ზ. თ-შვილი იმავე დღეს, შემთხვევიდან დაახლოებით 30 წუთში, ქ. თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე დააკავეს საპატრულო პოლიციის მუშაკებმა. დაკავებისას ზ. თ-შვილი ავტომანქანით ცდილობდა მიმალვას, რა დროსაც გადავიდა გზის სავალი ნაწილიდან და შევარდა ხეებს შორის, რითიც ავტომანქანას დაუზიანა ნაწილები და დაზარალებულს მთლიანობაში მიაყენა 3480 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

აღნიშნული დანაშაულისათვის ზ. თ-შვილს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ« და „დ« ქვეპუნქტებით სასჯელის სახით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლითა და 6 თვის ვადით მკაცრი რეჟიმის სასჯელადსრულებით დაწესებულებაში მოხდით. საქართველოს სსკ-ის 188-ე მუხლის პირველი ნაწილით - ჯარიმა 500 ლარით, ანუ დღიური მინიმალური ანაზღაურების ორასორმოცდაათმაგი ოდენობით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე, საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლისა და 6 თვის ვადით; სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით, მას ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის ნაწილის - 6 წლის მოხდა დაეკისრა მკაცრი რეჟიმის სასჯელადსრულების დაწესებულებაში, ხოლო ნაწილი - 1 წელი და 6 თვე - ჩაეთვალა პირობით, 2 წლის გამოსაცდელი ვადით.

ზ. თ-შვილს სასჯელის ათვლა დაეწყო 2005 წლის 15 იანვრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა ზ. რ-შვილმა. მან ითხოვა თავისი დაცვის ქვეშ მყოფის ქმედების კვალიფიკაციისა და, შესაბამისად, განაჩენის შეცვლა და ზ. თ-შვილის პატიმრობიდან გათავისუფლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 30 აგვისტოს განაჩენით საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი შეიცვალა: ზ. თ-შვილის ქმედება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ« და „დ« ქვეპუნქტებიდან (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) გადაკვალიფიცირდა ამავე კოდექსის 184-ე მუხლის მე-3 ნაწილზე; მას სსკ-ის 184-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 188-ე მუხლის პირველი ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) საბოლოოდ განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა; განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა ლ. კ-შვილმა და მოითხოვა მისი გაუქმება და ხელახლა განსახილველად საქმის იმავე სასამართლოში გადაგზავნა იმ მოტივით, რომ ყაჩაღობა, ჩვეულებრივ, დამთავრებულია ქონების დაუფლების მიზნით თავდასხმის დროს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის ან მუქარის მომენტიდან და რომ სასამართლომ არასწორად დააკვალიფიცირა ზ. თ-შვილის ქმედება სსკ-ის 184-ე მუხლის მე-3 ნაწილით.

მსჯავრდებულის ადვოკატი ზ. რ-შვილი საკასაციო საჩივრით ითხოვდა ზ. თ-შვილის ქმედების დაკვალიფიცირებას სსკ-ის 184-ე მუხლის პირველი ნაწილით და პატიმრობიდან განთავისუფლებას.

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 16 აპრილის განჩინებით გასაჩივრებული განაჩენი გაუქმდა და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნა იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ივლისის განაჩენით ზ. თ-შვილის და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის ზ. რ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 14 თებერვლის განაჩენი შეიცვალა: ზ. თ-შვილის ქმედება სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებიდან (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) გადაკვალიფიცირდა სისხლის სამართლის კოდექსის ამჟამად მოქმედი რედაქციის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებზე. საბოლოოდ, ზ. თ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს ს.ს.კ.-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით და სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლისა და 6 თვის ვადით. ზ. თ-შვილი ასევე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს ს.ს.კ.-ის 188-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) და სასჯელის სახით შეეფარდა ჯარიმა 500 ლარის ანუ დღიური მინიმალური ანაზღაურების ორასორმოცდაათმაგი ოდენობით; საქართველოს ს.ს.კ.-ის 59-ე მუხლის გამოყენებით (2007 წლის 18 იანვრამდე მოქმედი რედაქცია) ზ. თ-შვილს საბოლოოდ შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 7 წლითა და 6 თვით; ამასთან, განაჩენით განისაზღვრა, რომ ს.ს.კ.-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) გამოყენებით, ზ. თ-შვილმა ვადიანი თავისუფლების სახით დანიშნული სასჯელის ნაწილი - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მოიხადოს სასჯელადსრულების დაწესებულებაში, ხოლო დანიშნული სასჯელის დანარჩენი ნაწილი - 1 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა არ აღსრულდეს პირობით 2 წლის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებულის ადვოკატი ზ. რ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი სამართლებრივი და საპროცესო დარღვევით, კერძოდ, გასაჩივრებული განაჩენი უკანონო, დაუსაბუთებელი და უსამართლოა. დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლისა და ს.ს.ს.კ.-ის მე-10 მუხლის იმპერატიული მოთხოვნები, რადგან საქმეში არ მოიპოვება უტყუარი მტკიცებულებები, რაც დაადასტურებდა ზ. თ-შვილის მიერ დანაშაულის ჩადენას. დაზარალებულის ჩვენებით და საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ ზ. თ-შვილი იჯდა მძღოლის გვერდით და დანის გამოყენების შემთხვევაში დაზარალებული მას ვერ აიცილებდა. ამდენად ნათელია, რომ მსჯავრდებულს დანა არ გამოუყენებია.

საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დასტურდება ზ. თ-შვილის მიერ ყაჩაღობის ჩადენა და მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 184-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკმარისად ჩათვალოს მოხდილი სასჯელი და გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა მიიჩნევს, რომ საქმის წინასწარი გამოძიებისას მოპოვებული და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით, მათი ურთიერთშეჯერებითა და გაანალიზებით უდავოდ დასტურდება, რომ ზ. თ-შვილმა არაერთგზის და დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით ჩადინა ყაჩაღობა, ასევე - სხვისი ნივთის დაზიანება გაუფრთხილებლობით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, კერძოდ:

საქმის წინასწარი გამოძიებისას და სააპელაციო სასამართლოში დაზარალებულმა ბ. მ-ამ განმარტა, რომ ზ. თ-შვილმა მოსთხოვა, გადასულიყო ავტომანქანიდან. ამავდროულად, ჯიბიდან ამოიღო დანა და მოუქნია სახის მიმართულებით. ბ. მ-ამ დანა აიცილა, გააღო ავტომანქანის კარი და გაიქცა. გაქცეულმა დაინახა, რომ თავდამსხმელი დაჯდა საჭესთან და გაემართა ქალაქის ცენტრისკენ. დაზარალებულმა მაშინვე განაცხადა საპატრულო პოლიციაში და ითხოვა დახმარება. დაახლოებით 30 წუთში ზ. თ-შვილი დააკავეს, რა დროსაც ეს უკანასკნელი პოლიციელებს წინააღმდეგობას უწევდა. ბ. მ-ამ მიუთითა, რომ დაკავებამდე ზ. თ-შვილი ავტომანქანით ცდილობდა მიმალვას, გადავიდა გზის სავალი ნაწილიდან და შევარდა ხეებს შორის. ამის გამო დაზიანდა 13 500 ლარად ღირებული ავტომანქანა და ზარალმა შეადგინა 3480 ლარი.

დაზარალებულის მიერ საქმის წინასწარი გამოძიებისას მიცემული ჩვენება, მისივე თანხმობით, გამოქვეყნდა სააპელაციო პალატის სხდომაზე და ამ ჩვენების სისწორე ბ. მ-ამ დაადასტურა.

საქმის წინასწარი გამოძიებისას და სააპელაციო სასამართლოში საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა გ. ა-მემ განმარტა, რომ შეატყობინეს ყაჩაღური თავდასხმის შესახებ, კერძოდ, გატაცებული იყო «გაზ-31» მარკის ავტომანქანა. მან და მისმა მეწყვილემ აღნიშნული ავტომანქანის შემჩნევისას მძღოლს მოუწოდეს, გაჩერებულიყო, მაგრამ იგი არ დაემორჩილა, მოუმატა სიჩქარეს, მოსახვევში ვერ დაიმორჩილა საჭე და ავტომანქანა ბორდიურზე ავარდა. მძღოლი დაკავებისას წინააღმდეგობას უწევდა პოლიციელებს, რის მიუხედავად იგი გადაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, სადაც ჩაუტარდა ჩხრეკა და ამოულეს წითელტარიანი, დასაკეცი დანა.

ანალოგიური ჩვენება მისცა სააპელაციო სასამართლოში მოწმე დ. ბ-მემ. მანაც განაცხადა, რომ დაკავებულს ჰქონდა დანა, რაც ამოიღეს.

სააპელაციო სასამართლოში დაიკითხა ზ. თ-შვილის პირადი ჩხრეკის დამსწრე ალექსანდრე ჯავახიშვილი, რომელმაც დაადასტურა ჩხრეკის შედეგად დანის ამოღების ფაქტი.

საგულისხმოა, რომ დაზარალებული - მომხდარი ფაქტის დღესვე დაკითხვისას, მოწმე გ. ა-მის მსგავსად მიუთითებდა, რომ თავდამსხმელს ჰქონდა წითელტარიანი დანა.

თავად მსჯავრდებულმა პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკითხვისას განაცხადა, რომ დანა ჰქონდა, მაგრამ არ გამოუყენებია.

ამდენად, საქმის მასალების ანალიზის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, პალატას უდავოდ მიაჩნია, რომ ზ. თ-შვილმა განახორციელა თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიციცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის მუქარით არაერთგზის, დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით.

ამასთან, ზ. თ-შვილის ქმედება სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» და «გ» ქვეპუნქტებიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» და «დ» ქვეპუნქტებზე, ვინაიდან ამჟამად მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» და «გ» ქვეპუნქტები სასჯელად ითვალისწინებს 8-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, ხოლო ადრე მოქმედი რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლი ამ ქმედებისათვის სასჯელად განსაზღვრავდა 6-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. შესაბამისად, ახალმა კანონმა გაამკაცრა სასჯელი, კერძოდ, მისი ქვედა ზღვარი და სსკ-ის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მას უკუმალა არ აქვს.

«ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის პირველი მუხლის შესაბამისად, ზ. თ-შვილი უნდა გათავისუფლდეს სსკ-ის 188-ე მუხლის პირველი ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის პირველი მუხლით და

დაადგინა:

მსჯავრდებულ ზ. თ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. რ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ივლისის განაჩენი შეიცვალოს: «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის პირველი მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებული ზ. თ-შვილი გათავისუფლდეს სსკ-ის 188-ე მუხლის პირველი ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან;

ზ. თ-შვილის ქმედება ამჟამად მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» და «გ» ქვეპუნქტებიდან გადაკვალიფიცირდეს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» და «დ» ქვეპუნქტებზე და სასჯელად განესაზღვროს 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

დანიშნული სასჯელიდან ზ. თ-შვილმა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მოიხადოს სასჯელადსრულების დაწესებულებაში, ხოლო სასჯელის დარჩენილი ნაწილი - 1 წელი და 6 თვე ჩათვალოს პირობით, 2 წლის გამოსაცდელი ვადით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

6. ნივთის დაზიანება ან განადგურება

განჩინება

საქმე #2112-აპ

3 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
ი. ტყემელაშვილი,
დ. სულაქველიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ზ-ნის ინტერესების დამცველის, ადვოკატ შ. მ-შვილისა და მსჯავრდებულ მ. ო-ნის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 7 ივნისის განაჩენით:

გ. ზ-ნი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მეორე ნაწილით - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მესამე ნაწილით - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით - 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, 143-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მესამე ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით - 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, 187-ე მუხლის მეორე ნაწილით - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით - 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით - 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით - უვადო თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის საფუძველზე გ. ზ-ნს საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა;

მ. ო-ნი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მეორე ნაწილით - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით - 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, 143-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მესამე ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით - 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, 187-ე მუხლის მეორე ნაწილით - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით - 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით - 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით - 19 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის საფუძველზე მ. ო-ნს საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა 30 წლით თავისუფლების აღკვეთა;

მ. ჯ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, 375-ე მუხლით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის შესაბამისად მ. ჯ-მეს მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი 3 წელი და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

თ. ო-ნი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 375-ე მუხლით და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სამოქალაქო სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გ. ზ-ნსა და მ. ო-ნს ზ. ჯ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრათ 10000 ლარის სოლიდარულად გადახდა.

განაჩენით მსჯავრდებულების - გ. ზ-ნის, მ. ო-ნის, მ. ჯ-მისა და თ. ო-ნის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

გარდაბნის რაიონის სოფ. ... მცხოვრებმა გ. ზ-ნმა გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, გლუველუიანი სანადირო თოფის გადაჭრის გზით მართლსაწინააღმდეგოდ დაამზადა ცეცხლსასროლი იარაღი ე.წ. „აბრეზი“, რომელსაც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა და ატარებდა; იმავე სოფელში მცხოვრებმა მ. ო-ნმაც ასევე დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა „ტტს“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი ხუთი ცალი საბრძოლო ვაზნით, რომელსაც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა და ატარებდა. 2006 წლის ნოემბერში გ. ზ-ნმა და მ. ო-ნმა გამოძიებით დაუდგენელ მესამე პირთან ერთად გადაწყვიტეს ჩადენათ ყაჩაღობა, კერძოდ დაექირავებინა უცხოური წარმოების ავტომანქანა ტაქსი, მოტყუებით მიეყვანათ იგი უკაცრიელ ადგილას, თავს დასხმოდნენ მძღოლს, აღეკვეთათ მისთვის თავისუფლება და გამოეყენებინათ მანქანა სხვა დანაშაულის ჩასადენად, თუ მძღოლი გაუწევდათ წინააღმდეგობას, ან შეეცდებოდა გაქცევას - მოეკლათ იგი.

დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ისინი შეიარაღდნენ „ტტს“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღით და საბრძოლო ვაზნით, რაც მართლსაწინააღმდეგოდ ჰქონდათ შეძენილი, ინახავდნენ და ატარებდნენ. 2006 წლის 26 ნოემბერს მათ გაინაწილეს როლები, ერთ-ერთმა თანამზრახველმა, რომლის ვინაობა უცნობია, დილაადრიან ქ. თბილისში დაიქირავა ა. ჯ-შვილის მართვის ქვეშე მყოფი ავტომანქანა „ოპელ-ვექტრა“ და ჩამოიყვანა გარდაბნის რაიონში, სადაც ა/მანქანაში ჩასხდნენ ასევე მ. ო-ნი და გ. ზ-ნი. მათ გააგრძელეს მოძრაობა მუყაო-რუბეროიდის ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე, ისინი „ტტს“ სისტემის იარაღით თავს დაესხნენ ა. ჯ-შვილს, გააჩერებინეს მას ა/მანქანა და აიძულეს გადამჯდარიყო მანქანის უკანა სავარძელზე, მას შემდეგ, რაც მძღოლს თავისუფლება, საჭესთან დაჯდა გ. ზ-ნი და გაემგზავრნენ გარდაბნის ნაკრძალში, წინასწარ შეგულებულ ადგილზე მისვლისას გ. ზ-ნმა გააჩერა ა/მანქანა, რითაც ისარგებლა ა. ჯ-შვილმა და მოახერხა ა/მანქანიდან გადახტომა. ეს უკანასკნელი შეეცადა გაქცევას, მაგრამ გ. ზ-ნი, მ. ო-ნი და მესამე დაუდგენი პირი დაედევნა მას. წინასწარი შეთანხმების საფუძველზე გ. ზ-ნმა, რომელიც შეიარაღებული იყო „ტტ-ს“ სისტემის # დX-180 პისტოლეტით წინათ ჩადენილი დანაშაულების დაფარვის და ახალი დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით, ანგარებით, განზრახ მოკვლის მიზნით ესროლა ა. ჯ-შვილს და მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო ცეცხლსასროლი ჭრილობა კისრის მიდამოში, მარჯვენა საძილე არტერიის და ვენის დაზიანებით, რაც მიეკუთვნება სიცოცხლისათვის სახიფათო, მძიმე ხარისხის დაზიანებას, სროლის შედეგად დაზარალებული ადგილზევე გარდაიცვალა.

ზემოაღნიშნული მკვლელობის ჩადენის შემდეგ აღნიშნული პირები ა. ჯ-შვილის კუთვნილი ავტომანქანით გამოემართნენ გარდაბნისაკენ, რათა შეეძინათ ბენზინი და ცეცხლის წაკიდებით გაენადგურებინათ გვამი. ქ. გარდაბნის შესასვლელთან ბენზინის შეძენის შემდგომ კვლავ გაემგზავრნენ შემთხვევის ადგილისაკენ, რა დროსაც გ. ზ-ნმა ვერ უზრუნველყო საჭის მართვა და შეეჯახა ბორდიურს, ა/მანქანის დაზიანების შედეგად მგზავრობა შეუძლებელი იყო. დაზიანებულ ა/მანქანაში არსებული ყოველგვარი კვალის დაფარვის მიზნით ჯგუფის წევრებმა გადაწყვიტეს მისი თავიდან მოცილება და ცეცხლის წაკიდებით გაანადგურეს ა/მანქანა, რის შემდეგაც მიიმალნენ. ჩადენილი ქმედებების დროს გ. ზ-ნი და მ. ო-ნი, მესამე დაუდგენელ პირთან ერთად მოქმედებდნენ წინასწარი შეთანხმებით და ერთიანი განზრახვით.

მომხდარი დანაშაულებების შესახებ გ. ზ-ნმა აცნობა თავის თანასოფელ მ. ჯ-მეს, ხოლო მ. ო-ნმა მის ძმას თ. ო-ნს, ვინაიდან ამ პირების დახმარებით განზრახული ჰქონდათ შემთხვევის ადგილზე მიტოვებული ა. ჯ-შვილის გვამის განადგურება და ყოველგვარი კვალის საბოლოოდ მოსპობა. ამ მიზნით გ. ზ-ნი ტელეფონით დაუკავშირდა მ. ო-ნს და გადაწყვიტეს სისრულეში მოეყვანათ თავიანთი განზრახვა. მ. ო-ნი, რომელიც პირადად თავს არიდებდა გარდაბნის რაიონში გამოჩენას, შეჰპირდა გ. ზ-ნს, რომ გვამის დაწვით მის განადგურებაში დახმარებას აღმოუჩენდა მისი უფროსი ძმა თ. ო-ნი. თ. ო-ნი, რომლისთვისაც ცნობილი იყო, რომ მომხდარი დანაშაულები მის ძმასთან ერთად ჩადენილი იყო სხვა პირების მიერაც, დათანხმდა დანაშაულის დაფარვაზე. გ. ზ-ნმა დახმარება სთხოვა თავის თანასოფელ მ. ჯ-მეს, რომელიც ასევე დათანხმდა დანაშაულის დაფარვაში მონაწილეობაზე. ამ მიზნით 206 წლის 12 დეკემბერს გ. ზ-ნთან ერთად თ. ო-ნი და მ. ჯ-მე წინასწარ შეუპირებლად განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვის მიზნით, მივიდნენ შემთხვევის ადგილზე ა. ჯ-შვილის გვამის დასაწვავად, რისთვისაც წინასწარ მოიმარაგეს 5 ლიტრი ბენზინი, მაგრამ ვერ განახორციელეს გვამის დაწვა, რადგან დაკავებული იქნენ პოლიციის თანამშრომლების მიერ. დაკავებულებს ჩაუტარდათ პირადი ჩხრეკა, რა დროსაც მ. ჯ-მეს პირადი ჩხრეკისას ამოულეს დაუდგენელ დროსა და ვითარებაში გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეძენილი 7,8 გრამი ნარკოტიკული საშუალება „მარისუანა“, რომელსაც ასევე უკანონოდ ინახავდა.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ოქტომბრის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

გ. ზ-ნი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მეორე ნაწილით - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მესამე ნაწილით - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 179-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით - 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით - 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, 187-ე მუხლის მეორე ნაწილით - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით - 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით - 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით - უვადო თავისუფლების აღკვეთა. გ. ზ-ნს საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა; მას სასჯელის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან - 2006 წლის 13 დეკემბრიდან.

მ. ო-ნი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მეორე ნაწილით - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, 179-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით - 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით - 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, 187-ე მუხლის მეორე ნაწილით - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით - 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით

- 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მესამე ნაწილის „გ« ქვეპუნქტით - 19 წლით თავისუფლების აღკვეთა. მ. ო-ნს საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა 30 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან - 2006 წლის 13 დეკემბრიდან.

მ. ჯ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით (2007 წლის 3 ივლისის ცვლილებებამდე მოქმედი რედაქცია) - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, 375-ე მუხლით (2007 წლის 18 იანვრამდე მოქმედი რედაქცია) - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად მ. ჯ-მეს მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი 3 წელი და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. მ. ჯ-მეს სასჯელის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან 2006 წლის 13 დეკემბრიდან;

თ. ო-ნი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 375-ე მუხლით (2007 წლის 18 იანვრამდე მოქმედი რედაქცია) და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან 2006 წლის 13 დეკემბრიდან.

სამოქალაქო სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გ. ზ-ნსა და მ. ო-ნს ზ. ჯ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრათ 10000 ლარის სოლიდარულად გადახდა.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი 4, 5 ლიტრი ბენზინი პოლიმერული მასალის ბოთლით, რომელიც ინახება ქვემო ქართლის სამხარეო შს მთავარ სამმართველოში, განადგურდეს; ნარკოტიკული საშუალება „მარისუანა« წონით 7, 7 გრ, რომელიც ინახება სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში, განადგურდეს, რისი აღსრულებაც დაევალოს საქართველოს შსს მუდმივმოქმედ სპეციალურ კომისიას; ტტს სისტემის პისტოლეტი, ხუთი ცალი ვაზნა, გადაჭრილი თოფი და ერთი ცალი მასრა, რომელიც ინახება ქვემო ქართლის სამხარეო შს მთავარ სამმართველოში, გადაეგზავნოს რეაგირებისათვის საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრის შტაბის შეიარაღების განყოფილებას; მ. ო-ნის ბინის ჩხრეკისას ამოღებული მობილური ტელეფონები, რომელთა იმეი კოდებია 35031006607317 და 352693004506115, რომლებიც ინახება ქვემო ქართლის სამხარეო შს მთავარ სამმართველოში, დაუბრუნდეს მ. ო-ნის ოჯახს, ა. ჯ-შვილის ქურთუკი იარლიყზე წარწერით „MOთღ«, რომელიც ინახება ქვემო ქართლის სამხარეო შს მთავარ სამმართველოში, გადაეცეს დაზარალებულის უფლებამონაცვლე ზ. ჯ-შვილს.

მსჯავრდებულ გ. ზ-ნის ინტერესების დამცველი, ადვოკატი შ. მ-შვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: გ. ზ-ნის გამართლებას საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილით, 143-ე მუხლის მესამე ნაწილითა და 187-ე მუხლის მეორე ნაწილით წარდგენილ ბრალდებებში; სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის მინიმალური სასჯელის განსაზღვრას. სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილების გადაკვალიფიცირებას 116-ე მუხლზე და მინიმალური სასჯელის განსაზღვრას.

მსჯავრდებული მ. ო-ნი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო გამოკვლევა ჩატარებულია სრულყოფილად, ობიექტურად და საპროცესო კანონმდებლობის დაცვით.

პალატა უსაფუძვლოდ მიიჩნევს საკასაციო საჩივრების მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ, თითქოს, განაჩენი არის უკანონო, საქმეზე არ არის დადგენილი და დადასტურებული მსჯავრდებულების მხრიდან დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენა.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

პალატა თვლის, რომ როგორც I-ლი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლოებს საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები გააჩნდათ გ. ზ-ნისა და მ. ო-ნის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად.

განაჩენით მსჯავრდებულების - გ. ზ-ნისა და მ. ო-ნის მიმართ შერაცხული ბრალდება დადასტურებულია გ. ზ-ნისა და მ. ო-ნის ნაწილობრივ აღიარებითი ჩვენებებით, დაზარალებულის უფლებამონაცვლე ზ. ჯ-შვილის ჩვენებით, მოწმეების - ნ. ჯ-ძის, მ. ჯ-ძის, ი. ჯ-ძის, კ. ჭ-იას, ტ. უ-რის, ვ. ა-ევისა და სხვათა ჩვენებებით, ა/მანქანის დათვალიერების ოქმით, დაკავებისა და ჩხრეკის ოქმებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერებისა და ბინის ჩხრეკის ოქმებით, ქიმიური, ბალისტიკური, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზების დასკვნებითა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით.

ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მსჯავრდებულების ქმედებებს და სასჯელის ზომაც სამართლიანად განუსაზღვრა.

რაც შეეხება ამავე საქმეზე მსჯავრდებულებს - მ. ჯ-მესა და თ. ო-ნს, რომელსაც განაჩენი საკასაციო წესით არ გაუსაჩივრებიათ, საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 567-ე

მუხლის პირველი ნაწილით, სრული მოცულობით შეამოწმა საქმე მათ მიმართაც და მიიჩნია, რომ დადგენილი განაჩენი კანონიერია.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მეორე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების საფუძველზე მსჯავრდებულ გ. ზ-ნს საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის მეორე ნაწილით შეფარდებული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით - უნდა გაუნახევრდეს და საბოლოოდ სასჯელის ზომად უნდა დარჩეს უვადო თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ მ. ო-ნს საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის მეორე ნაწილით შეფარდებული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით - უნდა გაუნახევრდეს და საბოლოოდ სასჯელის ზომად უნდა დარჩეს თავისუფლების აღკვეთა 30 წლის ვადით.

მსჯავრდებულ მ. ჯ-ძეს საქართველოს სსკ-ის 375-ე მუხლის მეორე ნაწილით შეფარდებული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით - უნდა გაუნახევრდეს და საბოლოოდ სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე სასჯელის ზომად უნდა შეეფარდოს 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც წინა განაჩენით საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, წინა განაჩენით დანიშნული სასჯელიდან გაუქმებული პირობითი მსჯავრიდან ზემოაღნიშნულ სასჯელს დაემატოს - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით, «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტით და

დაადგინა:

საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

«ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების საფუძველზე მსჯავრდებულ გ. ზ-ნს საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის მეორე ნაწილით შეფარდებული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით - გაუნახევრდეს და საბოლოოდ სასჯელის ზომად დარჩეს უვადო თავისუფლების აღკვეთა;

«ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების საფუძველზე მსჯავრდებულ მ. ო-ნს საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის მეორე ნაწილით შეფარდებული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით - გაუნახევრდეს და საბოლოოდ სასჯელის ზომად დარჩეს თავისუფლების აღკვეთა 30 (ოცდაათი) წლის ვადით;

«ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების საფუძველზე მსჯავრდებულ მ. ჯ-ძეს საქართველოს სსკ-ის 375-ე მუხლის მეორე ნაწილით შეფარდებული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით - გაუნახევრდეს და საბოლოოდ სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე სასჯელის ზომად შეეფარდოს 1 (ერთი) წლითა და 6 (ექვსი) თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, წინა განაჩენით დანიშნული სასჯელიდან გაუქმებული პირობითი მსჯავრიდან ზემოაღნიშნულ სასჯელს დაემატოს - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვროს 4 (ოთხი) წლითა და 6 (ექვსი) თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნივთის დაზიანება ან განადგურება

განჩინება

საქმე #1238-აპ

4 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
- ლ. მურუსიძე,
- ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების - თ. უ-ნისა და რ. ა-ვის ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ყ-მისა და მსჯავრდებულ ე. კ-ვის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 7 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 14 თებერვლის განაჩენით ე. კ-ვი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით - თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, ხოლო ამავე კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, სასჯელთა მთლიანი შეკრების წესით, ე. კ-ვს სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით.

იმავე განაჩენით, გ. პ-ვა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით - თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, ხოლო ამავე კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, სასჯელთა მთლიანი შეკრების წესით, გ. პ-ვას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, რასაც ნაწილობრივ დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან 2 წლით თავისუფლების აღკვეთა და მას სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით.

იმავე განაჩენით, რ. ა-ვი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით - თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, ხოლო ამავე კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, სასჯელთა მთლიანი შეკრების წესით, რ. ა-ვს სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით.

ამავე განაჩენით, თ. უ-ნი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით - თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, ხოლო ამავე კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, სასჯელთა მთლიანი შეკრების წესით, თ. უ-ნს სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით.

განაჩენის მიხედვით, გ. პ-ვას, რ. ა-ვს, თ. უ-ნსა და ე. კ-ვს მსჯავრი დაედოთ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი ქურდობისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, აგრეთვე, სხვისი ნივთის დაზიანებისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. მათ მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის აგვისტოში, ზუსტი რიცხვი დაუდგენელია, ე. კ-ვი, რ. ა-ვი, თ. უ-ნი და გ. პ-ვა დანაშაულებრივად დაუკავშირდნენ ერთმანეთს და განიზრახეს ქ. თბილისში, მე-8 ლეგიონის დასახლებაში არსებული პარკის მახლობლად, სატელეფონო ქსელის დაზიანებით, ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდნენ სააქციო საზოგადოება «საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის» ქონებას. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ე. კ-ვი, გ. პ-ვა, რ. ა-ვი და თ. უ-ნი მეტროს სადგურ «ავლაბრის» მიმდებარე ტერიტორიაზე შეხვდნენ ერთმანეთს და ე. კ-ვის კუთვნილი გაზ-2410 მარკის თეთრი ფერის ავტომანქანით მივიდნენ თბილისში, მე-8 ლეგიონის დასახლებაში არსებულ პარკთან. რ. ა-ვი და გ. პ-ვა ჩავიდნენ სატელეფონო ჭაში და დააზიანეს 325 მეტრი სიგრძის სატელეფონო ქსელი, ე. კ-ვი კი მათ ელოდებოდა იქვე გაჩერებულ თავის კუთვნილ ავტომანქანასთან, რათა საფრთხის შემთხვევაში

გაეფრთხილებინა ისინი. ე. კ-ვი, რ. ა-ვი, თ. უ-ნი და გ. პ-ვა ფარულად დაეუფლნენ 325 მეტრ სატელეფონო კაბელს, ღირებულს 1625 ლარად და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

2006 წლის 10 აგვისტოს, დაახლოებით 22.00 საათზე, ე. კ-ვი, რ. ა-ვი, თ. უ-ნი და გ. პ-ვა კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს მეტროს სადგურ «ავლაბრის» მიმდებარე ტერიტორიაზე და წავიდნენ ქ. თბილისში, ... არსებულ პარკთან მათ მიერ გადაჭრილი და დარჩენილი კაბელის წამოსაღებად. გ. პ-ვა რ. ა-ვთან ერთად ნაჯახით მომარჯვებული ჩავიდა სატელეფონო ჭაში, ხოლო ე. კ-ვი და თ. უ-ნი დარჩნენ იქვე ჭასთან, რათა უკვე მცირე ზომებად დაჭრილი კაბელი ჩაელაგებინათ ავტომანქანაში. რ. ა-ვმა და გ. პ-ვამ მცირე ზომებად დაჭრილი სატელეფონო კაბელები მიაწოდეს ზემოთ მყოფ თ. უ-ნსა და ე. კ-ვს, რომლებმაც აღნიშნული კაბელის ნაწილი მოათავსეს იქვე მდგარ ე. კ-ვის ავტომანქანაში, ხოლო 15 მეტრი სიგრძის სადენის ჭიდან ამოღებისას ისინი დააკავეს თბილისის ისანი-სამგორის შინაგან საქმეთა სამმართველოს მე-2 განყოფილების თანამშრომლებმა. ე. კ-ვმა, რ. ა-ვმა, თ. უ-ნმა და გ. პ-ვამ სააქციო საზოგადოება «საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია» სატელეფონო ქსელის დაზიანებით მიაყენეს 160 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი, ხოლო 325 მეტრი სატელეფონო კაბელის დაუფლებით - 1625 ლარის ოდენობის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი - სულ 1785 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

განაჩენი სააპელაციო წესით გასაჩივრეს მსჯავრდებულმა გ. პ-ვამ და მისმა ადვოკატმა გ. დ-ამ, მსჯავრდებულებმა - რ. ა-ვმა და თ. უ-ნმა.

აპელანტი - ადვოკატი გ. დ-ა სააპელაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 14 თებერვლის გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად გ. პ-ვას მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმ მოტივით, რომ გასაჩივრებული განაჩენი არ ემყარება უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას. აპელანტის განმარტებით, მოსამართლემ უსაფუძვლოდ არ გაიზიარა გ. პ-ვას ჩვენებები იმის თაობაზე, რომ მას აღნიშნული დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობა არ მიუღია. ამასთან, ადვოკატმა გ. დ-ამ დააყენა ალტერნატიული მოთხოვნა მსჯავრდებულ გ. პ-ვასათვის სასჯელის შემსუბუქების თაობაზე იმ მოტივით, რომ მსჯავრდებულს კმაყოფაზე ჰყავს მცირეწლოვანი შვილი და ავადმყოფი მამა.

აპელანტი, მსჯავრდებული რ. ა-ვი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა სასჯელის შემსუბუქებას იმ მოტივით, რომ ხასიათდება დადებითად, პირველადაა სამართალში, კმაყოფაზე ჰყავს მეუღლე და ავადმყოფი მშობლები, აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს.

აპელანტი, მსჯავრდებული თ. უ-ნი ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენას, იმ მოტივით, რომ მას განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება არ ჩაუდენია და, მხოლოდ იმიტომ, რომ რამდენიმე პოლიციელი ირწმუნება - თითქოს იგი დანაშაულის ჩადენის დროს იყო დანაშაულის ჩადენის ადგილზე, მან პასუხი არ უნდა აგოს.

საჩივრები განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც, არ დააკმაყოფილა რა აპელანტების საჩივრები, 2007 წლის 7 ივნისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი მსჯავრდებულთა მიმართ დატოვა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულების - თ. უ-ნისა და რ. ა-ვის დამცველმა, ადვოკატმა გ. ყ-ძემ, აგრეთვე, მსჯავრდებულმა ე. კ-ვმა საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორი, მსჯავრდებულების - თ. უ-ნისა და რ. ა-ვის დამცველი, ადვოკატი გ. ყ-ძე თავისი საჩივრით ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და მათ მიმართ საქმის იმავე სასამართლოში დაბრუნებას ხელახლა განსახილველად იმ მოტივით, რომ აღნიშნული განაჩენი არის დაუსაბუთებელი და ამკარად უსამართლო, იგი არ ემყარება უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულების - თ. უ-ნის, რ. ა-ვის, ე. კ-ვისა და გ. პ-ვას მიმართ, შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს განაჩენში მოცემული დასკვნები მსჯავრდებულების ბრალეულობის თაობაზე არის საფუძვლიანი და დასაბუთებული, ვინაიდან ისინი ემყარება საქმეში არსებულ სარწმუნო მტკიცებულებებს, რომლებიც მოპოვებულია საპროცესო ნორმების დაცვით. აღნიშნულ მტკიცებულებებში იგულისხმება მოწმეთა ჩვენებები, ექვმიტანილ გ. პ-ვას ჩვენება, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, ნივთმტკიცებები და საქმის სხვა მასალა, რომლებითაც დასტურდება არა მხოლოდ დანაშაულის ჩადენის ფაქტი, არამედ თითოეული მსჯავრდებულის მონაწილეობა აღნიშნულ დანაშაულში.

აღსანიშნავია, რომ ყოველი მათგანი დაკავებულ იქნა უშუალოდ დანაშაულის ჩადენის მომენტში ნივთმტკიცებებით ხელში.

უდავოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ თ. უ-ნის, რ. ა-ვის, ე. კ-ვისა და გ. პ-ვას მიერ ჩადენილ ქმედებას სასამართლომ მისცა სწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია, ხოლო კასატორების მიერ თავიანთ საჩივრებში წარმოდგენილ მოტივებსა და ვერსიებს, რომლებიც მიმართულია მსჯავრდებულთა გამართლებისაკენ, არ გააჩნია დამაჯერებელი და დასაბუთებული საფუძველი, რის გამოც აღნიშნული საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს.

გასაჩივრებული განაჩენი მართებულია ასევე სასჯელთა დანიშვნის ნაწილშიც, რადგან თითოეული მსჯავრდებულის მიმართ სასჯელის ზომა განსაზღვრულია სამართლიანად და შეესაბამება საქმის გარემოებებსა და მსჯავრდებულთა პიროვნებას.

განაჩენი საკასაციო წესით არ გაუსაჩივრებიათ მსჯავრდებულებს - ე. კ-ვსა და გ. პ-ვას, მაგრამ გასაჩივრებული განაჩენის კანონიერება სარევიზიო წესით შემოწმდა მათ მიმართაც. საკასაციო პალატის დასკვნით არ არსებობს საფუძველი მათ მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციის, ანდა სასამართლოს მიერ მათთვის დანიშნული სასჯელის ზომების შესაცვლელად.

ამავე დროს საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულების - თ. უ-ნის, რ. ა-ვის, ე. კ-ვისა და გ. პ-ვას მიმართ უნდა გავრცელდეს «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მოქმედება, კერძოდ, ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აღნიშნული მსჯავრდებულები უნდა გათავისუფლდნენ საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელის მოხდისაგან და, ამის გათვალისწინებით, მათ უნდა შეუმცირდეთ სააპელაციო სასამართლოს განაჩენით განსაზღვრული საბოლოო სასჯელები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 7 ივნისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილებები მსჯავრდებულების - თ. უ-ნის, რ. ა-ვის, ე. კ-ვისა და გ. პ-ვას სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 567-ე და 568-ე მუხლებით,

დაადგინა:

მსჯავრდებულების - თ. უ-ნის, რ. ა-ვის დამცველის, ადვოკატ გ. ყ-ძისა და მსჯავრდებულ ე. კ-ვის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 7 ივნისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილებები: მსჯავრდებულები - თ. უ-ნი, რ. ა-ვი, ე. კ-ვი და გ. პ-ვა «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გათავისუფლდნენ საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელის - 1 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის - მოხდისაგან, რის გამოც აღნიშნული განაჩენით მათთვის განსაზღვრული საბოლოო სასჯელები შეუმცირდეთ და მათ საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროთ: მსჯავრდებულ თ. უ-ნს - თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით; მსჯავრდებულ რ. ა-ვს - თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით; მსჯავრდებულ ე. კ-ვს - თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით; მსჯავრდებულ გ. პ-ვას - თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნიეთის დაზიანება ან განადგურება

განჩინება

საქმე #1500-აპ

4 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
ლ. მურუსიძე,
მ. ოშხარელი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. კ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 2 აგვისტოს განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 22 დეკემბრის განაჩენით:

ა. კ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «გ» ქვეპუნქტებითა (2000 წლის 30 მაისის რედაქცია) და საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) - თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 6 თვის ვადით, ხოლო იმავე კოდექსის 187-ე მუხლის პირველი

ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, სასჯელთა შთანთქმის პრინციპის საფუძველზე, ა. კ-მეს სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 6 თვის ვადით.

იმავე განაჩენით ზ. ზ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «გ» ქვეპუნქტებითა (2000 წლის 30 მაისის რედაქცია) და საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) - თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 6 თვის ვადით, ხოლო იმავე კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია) - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, სასჯელთა შთანთქმის პრინციპის საფუძველზე, ზ. ზ-ას სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 6 თვის ვადით.

აღნიშნული განაჩენით ა. კ-მეს, ზ. ზ-ასთან ერთად, დაეკისრა დაზარალებულ ჯ. ლ-მის სასარგებლოდ 4707 ლარის გადახდა.

განაჩენის მიხედვით, მათ მსჯავრი დაედოთ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, საცავში უკანონო შეღწევით ჩადენილი ქურდობისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, და სხვისი ნივთის დაზიანებისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. აღნიშნული დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 26 მაისს ზ. ზ-ა და ა. კ-მე დანაშაულებრივად დაუკავშირდნენ ერთმანეთს და განიზრახეს, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაუფლებოდნენ ქ. თბილისში, ... ქ. #14/16-ში მდებარე შპს «ვერა 99»-ის მშენებარე კორპუსის მეცხრე სართულზე განთავსებული ლიფტების სამანქანო მართვის პულტის ელექტროხელსაწყოებს. თავიანთი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, ისინი იმავე ღამეს, დაახლოებით 3:00 საათზე, მივიდნენ ... ქუჩა #14/16-ში მდებარე სადარბაზოსთან, სადაც მათ ძალაყინის გამოყენებით გატეხეს სადარბაზოს შესასვლელი კარის ბოქლომი, უკანონოდ შეაღწიეს სადარბაზოში, ავიდნენ მე-9 სართულის მანსარდზე, სადაც კვლავ ძალაყინის გამოყენებით გატეხეს სვანიდის ქუჩის მხრიდან სადარბაზოს ლიფტის სამანქანო სათავსის კარის ბოქლომი, შეანგრიეს ხის კარი და შეაღწიეს სათავსში. აღნიშნულ ადგილზე მათ მომარჯვებული სახრახნისა და ბრტყელტუჩას გამოყენებით ჩაჭრეს შემაერთებელი ელექტროსადენები, ფარულად გაიტაცეს და დააზიანეს ლიფტის სამართავ პულტზე არსებული შემდეგი დასახელების ელექტროხელსაწყოები: ერთი ცალი ლიფტის სამუხრუჭე კოჭი, ღირებული 120 ლარად; ორი ცალი ლიფტის ელექტროკონტაქტორი, მარკით «პმლ-4500 04ა», თითო ღირებული 100 ლარად; ორი ცალი ლიფტის ელექტროკონტაქტორი - «პმლ-4100 04ა», - თითო ღირებული 80 ლარად; ოთხი ცალი ლიფტის რელე, თითო ღირებული 15 ლარად; ლიფტის მართვის პულტის სხვადასხვა ნაწილები, ღირებული 50 ლარად; 1 ცალი ელექტროტესტერი წითელი და შავი ფერის საკონტაქტო სადენებით, ღირებული 50 ლარად. ამის შემდეგ ისინი გავიდნენ მანსარდის მეორე მხარეს, სადაც კვლავ ძალაყინის გამოყენებით გატეხეს ... ქუჩის მხრიდან სადარბაზოს ლიფტის სამანქანო სათავსის კარის ბოქლომი, შეანგრიეს ხის კარი და აღნიშნულ სათავსში მათ ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ჩაჭრეს შემაერთებელი ელექტროსადენები, ფარულად გაიტაცეს და დააზიანეს ლიფტის სამართავ პულტზე არსებული შემდეგი დასახელების ელექტროხელსაწყოები: ერთი ცალი ლიფტის სამუხრუჭე კოჭი, ღირებული 20 ლარად; ორი ცალი ლიფტის ელექტროკონტაქტორი - «პმლ-4100 04ა», - თითო ღირებული 80 ლარად; ლიფტის მართვის მიკროკონტროლიორი მარკით «უირფ-467361007», ღირებული 900 ლარად, ასევე ტექნიკური დოკუმენტაციის ჟურნალი. მათვე ლიფტების საცავებში შეღწევისას გატეხეს სამი ცალი ბოქლომი, ღირებული 27 ლარად; ორი ცალი ლიფტის ხის კარი, შეჭედილი მეტალის ფურცლებით, თავისი ჩარჩოთი, ღირებული თითო 400 ლარად, რითაც დაზარალებულს მიაყენეს 2907 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი. სულ აღდგენითი სამუშაოების ჩათვლით ზ. ზ-ამ და ა. კ-მემ შპს «ვერა 99»-ს მიაყენეს 4707 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი. დაეუფლნენ რა ხსენებულ ნივთებს და ახდენდნენ მათ გადაზიდვას თბილისში, ... და ... ქუჩების გადაკვეთასთან ისინი დააკავეს პოლიციის თანამშრომლებმა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა სახელმწიფო ბრალმდებელმა თ. ზურაბიანმა. აპელანტი საჩივრით ითხოვდა მსჯავრდებულებისათვის სასჯელის გამკაცრებას, კერძოდ კი თითოეულისათვის სასჯელის სახით 6 წლით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 2 აგვისტოს განაჩენით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 22 დეკემბრის განაჩენის სასჯელის ნაწილში შევიდა ცვლილება მსჯავრდებულების - ზ. ზ-ასა და ა. კ-მეს საუარესოდ, კერძოდ, მათ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «გ» ქვეპუნქტებითა (მითითებული რედაქცია) და საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა თითოეულს - 4 წლისა და 6 თვის ვადით, ხოლო იმავე კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით (მითითებული რედაქცია) - თავისუფლების აღკვეთა თითოეულს - 1 წლის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) შესაბამისად, სასჯელთა

შთანთქმის პრინციპის საფუძველზე მსჯავრდებულებს - ზ. ზ-ასა და ა. კ-ძეს სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრათ თავისუფლების აღკვეთა თითოეულს - 4 წლისა და 6 თვის ვადით.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ა. კ-ძემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი, მსჯავრდებული ა. კ-ძე თავისი საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 2 აგვისტოს განაჩენში ცვლილების შეტანას და სასჯელის შემსუბუქებას, კერძოდ: საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მეხუთე ნაწილის საფუძველზე რეალურად მოსახდელი სასჯელის განსაზღვრას, ხოლო სასჯელის დანარჩენი ნაწილის შეცვლას პირობითი მსჯავრით იმ მოტივით, რომ იგი ადრე ნასამართლეთი არ ყოფილა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია რომ მსჯავრდებულ ა, კ-ძის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მასალებით დგინდება, რომ ა. კ-ძესა და ზ. ზ-ას ნამდვილად აქვთ ჩადენილი ის ქმედებები, რომლებიც მათ სასამართლოს განაჩენით ბრალად შეერაცხათ. მათი ბრალეულობა დადასტურებულია უტყუარ და საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობით, რომლებიც მოპოვებულია საპროცესო ნორმების დაცვით.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულ ა. კ-ძის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მისთვის დანიშნული სასჯელის ზომა ზედმეტად მკაცრი და უსამართლოა, ვინაიდან საკასაციო პალატა თვლის, რომ სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ ა. კ-ძისათვის დანიშნული სასჯელი განსაზღვრულია მის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმის, დამდგარი შედეგისა და თვით მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით, რის გამოც არ არსებობს კანონიერი საფუძველი მისი შემცირებისათვის. რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას მის მიმართ საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლით გათვალისწინებული შეღავათის გამოყენების თაობაზე, ვერ დაკმაყოფილდება, რადგან მსჯავრდებულებს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას, ასეთ შემთხვევაში კი კანონი შესაძლებლად არ მიიჩნევა აღნიშნული შეღავათის გამოყენებას.

ამავე დროს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებული ა. კ-ძე, «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე მისთვის დანიშნული სასჯელის - 1 წლით თავისუფლების აღკვეთის - მოხდისაგან.

საქართველოს სსკ-ის 567-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პალატამ გასაჩივრებული განაჩენი სარევიზიო წესით შეამოწმა მსჯავრდებულ ზ. ზ-ას მიმართ და მიიჩნია, რომ აღნიშნული განაჩენი მისი მსჯავრდების ნაწილში უნდა შეიცვალოს ნაწილობრივ. კერძოდ, მსჯავრდებული ზ. ზ-ა, «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის პირველი მუხლის შესაბამისად, უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე მისთვის დანიშნული სასჯელის - 1 წლით თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან. განაჩენი სხვა ნაწილში, აგრეთვე ამ განაჩენით ა. კ-ძისა და ზ. ზ-ას მიმართ განსაზღვრული საბოლოო სასჯელები უნდა დარჩეს უცვლელად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 2 აგვისტოს განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულების - ა. კ-ძისა და ზ. ზ-ას მიმართ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 567-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 568-ე მუხლით,

დაადგინა:

მსჯავრდებულ ა. კ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 2 აგვისტოს განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულები - ა. კ-ძე და ზ. ზ-ა, «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის შესაბამისად, გათავისუფლდნენ სასამართლოს მიერ საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელის - 1 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის - მოხდისაგან.

განაჩენი სხვა ნაწილში მსჯავრდებულების - ა. კ-ძისა და ზ. ზ-ას მიმართ დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნივთის დაზიანება ან განადგურება

განჩინება

საქმე #2025-აპ

4 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
- ლ. მურუსიძე,
- ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ი. ლ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. მ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 28 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი

ი. ლ-შვილი გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 3 აგვისტოს განაჩენით ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, იმავე კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა: საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებისა და იმავე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, ხოლო საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, სასჯელთა მთლიანი შეკრების პრინციპის საფუძველზე, ი. ლ-შვილს სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით.

განაჩენის მიხედვით, ი. ლ-შვილს მსჯავრი დაედო ქურდობისათვის, ჩადენილი არაერთგზის, სადგომში უკანონო შეღწევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 30 ოქტომბრიდან 31 ოქტომბრამდე ი. ლ-შვილმა, რომელსაც ადრე ჩადენილი ჰქონდა ქურდობა, განიზრახა ქ. ყვარელში მდებარე ხე-ტყის გადამამუშავებელი საწარმოს - შპს „საქართველოს“ ქონების, კერძოდ, სახერხი ჩარხებისა და ელექტროსადენების დაშლა, მათი განზრახ დაზიანება-განადგურება და მათი დაშლის შედეგად მიღებული დეტალების ფარულად დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით იგი ფარულად შევიდა აღნიშნული საწარმოს ტერიტორიაზე, შეაღწია #2 სამქროში, სადაც სახერხი დანადგარებიდან და ელექტროკარადებიდან მოჭრა ფერადი ლითონების შემცველი ელექტროსადენები. აღნიშნულის შემდეგ ი. ლ-შვილმა შეამტვრია ხის დაკეტილი კარი და უკანონოდ შეაღწია ამავე სამქროში მდებარე საშრობ ოთახში, სადაც პარკეტის საშრობი დანადგარებიდან მოხსნა 4 ცალი ელექტროძრავა, ხოლო დანადგარებს შეაჭრა ელექტროსადენები, რითაც დააზიანა და განადგურა შპს „საქართველოს“ კუთვნილი სამი ცალი პარკეტის საშრობი დანადგარი და სახერხი. აღნიშნულის შემდეგ ი. ლ-შვილმა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთებიდან, მათი დაშლისა და დაწვის გზით, გამოარჩია ფერადი ლითონები, რომლებიც 2006 წლის 3 ნოემბერს მიჰყიდა ქ. ყვარელში მცხოვრებ ქ. გ-შვილს.

თავისი ქმედებით ი. ლ-შვილმა შპს „საქართველოს“ მიაყენა 4000 ლარის ოდენობის მატერიალური ზიანი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ი. ლ-შვილმა. აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა მის მიმართ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმ მოტივით, რომ მას მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება არ ჩაუდენია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 28 სექტემბრის განაჩენით მსჯავრდებულ ი. ლ-შვილის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 3 აგვისტოს განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილება: ი. ლ-შვილს განაჩენიდან ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტებით შერაცხული ბრალდება, როგორც ზედმეტად წარდგენილი. განაჩენი სხვა ნაწილში ი. ლ-შვილის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ი. ლ-შვილის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. მ-ძემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი თავისი საჩივრით ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულ ი. ლ-შვილის ბრალდების საქმის იმავე სასამართლოში დაბრუნებას ხელახლა განსახილველად იმ მოტივით, რომ სასამართლო გამოძიება არასწორად წარიმართა, ხოლო განაჩენი ეყრდნობა ისეთ მტკიცებულებებს, რომლებიც სინამდვილეში არ ადასტურებენ ი. ლ-შვილის ბრალეულობას განაჩენით მისთვის შერაცხულ ქმედებებში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ი. ლ-შვილის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ ი. ლ-შვილის ბრალდების საქმეში წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება, რომ მან ნამდვილად ჩაიდინა ქურდობა არაერთგზის, სადგომში უკანონო შეღწევით, ასევე სხვისი ნივთის დაზიანება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. მისი ბრალეულობა დადასტურებულია დაზარალებულისა და მოწმეების ჩვენებებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმითა და ამოღებული ნივთმტკიცებებით, რომლებიც მოპოვებულია წინასწარი და სასამართლო გამოძიების სტადიაზე საპროცესო ნორმების დაცვით. საქმეში არ არსებობს სხვა ისეთი მტკიცებულებები, რომლებითაც გაბათილდებოდა ანდა ეჭვქვეშ დადგებოდა გ. ლ-შვილის მიმართ განაჩენით შერაცხული ბრალდება. სააპელაციო სასამართლომ სწორად დააკვალიფიცირა მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედება და არ არსებობს საფუძველი მისი შეცვლისათვის.

რაც შეეხება ი. ლ-შვილის მიმართ განაჩენით დანიშნულ სასჯელს, უნდა აღინიშნოს, რომ იგი განსაზღვრულია ჩადენილი ქმედების სიმძიმისა და შედეგების, მსჯავრდებულის პიროვნების მახასიათებელი და საქმის სხვა გარემოებების გათვალისწინებით, წარმოადგენს ბრალის ხარისხის ადეკვატურ ზომას, არის სამართლიანი და აუცილებელი ზომა კანონის მიერ სასჯელის წინაშე დასახული მიზნის მისაღწევად.

ამავე დროს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ი. ლ-შვილის მიმართ უნდა გავრცელდეს «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მოქმედება, კერძოდ, ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იგი უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელის - 1 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის მოხდისგან, რის გამოც, შესაბამისად, უნდა შეუმცირდეს განაჩენით მისთვის განსაზღვრული საბოლოო სასჯელი, რის შემდეგაც მას მოსახდელად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 28 სექტემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ ი. ლ-შვილის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

დაადგინა:

მსჯავრდებულ ი. ლ-შვილის დამცველის, ადვოკატ გ. მ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 28 სექტემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებული ი. ლ-შვილი «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელის - 1 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის - მოხდისგან და, შესაბამისად, მას აღნიშნული განაჩენით განსაზღვრული საბოლოო სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით - შეუმცირდეს 1 წლით და მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნივთის დაზიანება ან განადგურება

განჩინება

საქმე #2197-აბ

4 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
- ლ. მურუსიძე,
- მ. ოშხარელი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ კ. ბ-რის დამცველის, ადვოკატ გ. რ-მის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ნოემბრის განაჩენზე კ. ბ-რის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 21 თებერვლის განაჩენით კ. ბ-რი ცნობილ იქნა ბრალეულად და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლითა და 109-ე მუხლის «ზ», «კ» ქვეპუნქტებით - თავისუფლების აღკვეთა 10 (ათი) წლის ვადით, საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის «ზ», «ლ» და «ო» ქვეპუნქტებით (2003 წლის 20 ივნისის რედაქცია) - თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით, ამავე მუხლის მეორე ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით, საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და კ. ბ-რს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 25 წლის ვადით.

განაჩენის მიხედვით, კ. ბ-რს მსჯავრი დაედო შემდეგ დანაშაულთა ჩადენაში:

კ. ბ-რმა გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა «მაკაროვის» სისტემის, 9 მმ კალიბრიანი პისტოლეტი, მისთვის განკუთვნილი ვაზნებით, რასაც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა და ატარებდა.

2006 წლის 18 იანვარს, დაახლოებით 19:30 საათზე, ქ. თბილისში, ... #20-ში დროებით მცხოვრები ჯ. ჭ-ძე, თავის ნათესავ ლ. ბ-ძესთან ერთად, ჩამოვიდა ამავე ბინის ეზოში, სადაც კ. ბ-რი გამოძიებით დაუდგენელ სხვა პირებთან ერთად, იქვე გაჩერებულ «ტოიოტას» მარკის, ჯიპის ტიპის ავტომანქანასთან სვამდა ალკოჰოლურ სასმელს - არაყს. ჯ. ჭ-ძე გაემართა იმავე კორპუსის წინ გაჩერებული თავისი «ფოლკსვაგენის» ფირმის, «გოლფ-3» მოდელის ავტომანქანისაკენ, ხოლო ლ. ბ-ძე წავიდა ხსენებული ჯიპის წინ გაჩერებული თავისი «ოპელ ომეგას» მარკის ავტომანქანისაკენ, დაჯდა საჭესთან და დააპირა წასვლა. კ. ბ-რი მიუახლოვდა ლ. ბ-ძეს, რომელიც ღია ფანჯრიდან გადაკოცნა და სთხოვა მათთან ერთად დაეღია ალკოჰოლური სასმელი. ამ უკანასკნელმა კი, რომელმაც იცოდა, რომ კ. ბ-რი დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენელი იყო, რაიმე გართულების თავიდან აცილების მოტივით, უარი განუცხადა მას. ლ. ბ-მის უარით უმიზეზოდ განაწყენებულმა ლ. ბ-რმა განიზრახა მისი მკვლელობა ხულიგნური ქვენაგრძობით, ისეთი საშუალებით, რომელიც საშიშროებას წარმოადგენს მრავალ პირთა სიცოცხლისათვის. იგი მარცხენა ხელით შეეცადა ავტომანქანის წინა, მარცხენა კარის გაღებას, ამასთან, განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, მოიმარჯვა მის მიერ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი «მაკაროვის» სისტემის, 9მმ კალიბრიანი პისტოლეტი. ამის დანახვაზე ლ. ბ-ძემ დიდი სიჩქარით დაძრა ავტომანქანა და გაემართა კორპუსის ეზოს გასასვლელისაკენ, რა დროსაც კ. ბ-რმა მისი მიმართულებით ოთხჯერ გაისროლა, რომელთაგან ორი ტყვია მოხვდა ავტომანქანის კორპუსს. ამდენად, კ. ბ-რმა განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა. ლ. ბ-მის წასვლის შემდეგ კ. ბ-რმა განიზრახა, ავტომანქანის დაუფლების მიზნით, ყაჩაღურად თავს დასხმოდა იქვე მყოფ ჯ. ჭ-ძეს და განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მიუახლოვდა მას. «მაკაროვის» სისტემის, 9მმ კალიბრიანი პისტოლეტის გამოყენების მუქარით, ყაჩაღური თავდასხმის გზით დაეუფლა ჯ. ჭ-ძის ავტომანქანას, შემდეგ კი ანგარებით, სხვა დანაშაულის დაფარვისა და მისი ჩადენის გაადვილების მიზნით, არაერთგზის, განიზრახა მისი მკვლელობა და ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ზურგის არეში ესროლა ჯ. ჭ-ძეს, რის გამოც ამ უკანასკნელს დაუზიანდა მარცხენა თირკმელი, მსხვილი ნაწლავები, თორმეტგოჯა ნაწლავი და ღვიძლი. აღნიშნული დაზიანებების შედეგად ჯ. ჭ-ძე რამდენიმე წუთში, სახლში ასვლის შემდეგ, გარდაიცვალა, ხოლო კ. ბ-რი ჯ. ჭ-ძის კუთვნილი «ფოლკსვაგენის» ფირმის «გოლფ-3» მოდელის ავტომანქანით დანაშაულის ჩადენის ადგილიდან მიიმალა. ვინაიდან ხსენებულ ავტომანქანას დაუზიანდა სავალი ნაწილი, კ. ბ-რმა გააჩერა იგი თავის საცხოვრებელ სახლთან, მდებარე ... #77-ე კორპუსის ეზოში, საიდანაც, გატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ამოღებულ იქნა 2006 წლის 19 იანვარს, თვით კ. ბ-რი კი მიიმალა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა კ. ბ-რმა. საჩივრით აპელანტი ითხოვდა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გაუქმებასა და გამამართლებელი განაჩენის გამოტანას, რადგან თვლიდა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 21 თებერვლის განაჩენი იყო უკანონო და დაუსაბუთებელი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ნოემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 21 თებერვლის განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილება: კ. ბ-რის ქმედება საქართველოს სსკ-ის მე-19-109-ე მუხლის «ზ», «კ» ქვეპუნქტებიდან (მითითებული რედაქცია) გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის მე-19-109-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ» ქვეპუნქტზე და მეორე ნაწილის «გ» ქვეპუნქტზე (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია), საქართველოს სსკ-ის 109-ე

მუხლის «ზ» და «ლ» ქვეპუნქტებიდან (მითითებული რედაქცია) გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ» და «დ» ქვეპუნქტებზე (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია), რომელთა საფუძველზე მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 (ათი) წლის ვადით, ხოლო სხვა ნაწილში საალაქო სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად. ამასთან, აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს განაჩენით კ. ბ-რს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 15 წლის ვადით.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ კ. ბ-რის დამცველმა, ადვოკატმა გ. რ-ძემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ნოემბრის განაჩენის გაუქმებასა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას კ. ბ-რის მიმართ იმ მოტივით, რომ წინასწარი გამოძიება მიმდინარეობდა უხეში საპროცესო დარღვევებით, განაჩენს საფუძველად არ უდევს უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, ხოლო დასკვნები კ. ბ-რის ბრალეულობაზე ეყრდნობა ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცებულებებს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ კ. ბ-რის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ კ. ბ-რის ბრალდების საქმეში წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება, რომ მან ნამდვილად ჩაიდინა ჯ. ჭუმბურიძის განზრახი მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში, ასევე, სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის მუქარით ამ უკანასკნელის კუთვნილი ავტომანქანის გატაცება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება და სხვისი ნივთის დაზიანება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. მისი ბრალეულობა დადასტურებულია დაზარალებულის უფლებამონაცვლისა და მოწმეების ჩვენებებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნით, ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნითა და ამოღებული ნივთმტკიცებით, რომლებიც მოპოვებულია წინასწარი და სასამართლო გამოძიების სტადიაზე საპროცესო ნორმების დაცვით. სარწმუნო მტკიცებულებებით არის დადასტურებული ასევე კ. ბ-რის მხრივ დაზარალებულ ლ. ბ-მის განზრახ მკვლელობის მცდელობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში. საქმეში არ არსებობს სხვა ისეთი მტკიცებულებები, რომლებითაც გაბათილდებოდა, ანდა ეჭვქვეშ დადგებოდა კ. ბ-რის მიმართ განაჩენით შერაცხული ბრალდება. სააპელაციო სასამართლომ სწორად დააკვალიფიცირა მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედება და არ არსებობს საფუძველი მისი შეცვლისათვის.

რაც შეეხება კ. ბ-რის მიმართ განაჩენით დანიშნულ სასჯელს, უნდა აღინიშნოს, რომ იგი განსაზღვრულია ჩადენილი ქმედების სიმძიმისა და შედეგების, მსჯავრდებულის პიროვნების მახასიათებელი და საქმის სხვა გარემოებების გათვალისწინებით, წარმოადგენს ბრალის ხარისხის ადეკვატურ ზომას, არის სამართლიანი და აუცილებელი ზომა კანონის მიერ სასჯელის წინაშე დასახული მიზნის მისაღწევად.

ამავე დროს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ კ. ბ-რის მიმართ უნდა გავრცელდეს «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მოქმედება, კერძოდ, ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იგი უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელის - 1 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის - მოხდისგან, რის გამოც, შესაბამისად, უნდა შეუმცირდეს განაჩენით განსაზღვრული საბოლოო სასჯელი, რის შემდეგაც მას მოსახდელად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 14 წლის ვადით.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ნოემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ კ. ბ-რის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

დაადგინა:

მსჯავრდებულ კ. ბ-რის დამცველის, ადვოკატ გ. რ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ნოემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებული კ. ბ-რი «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელის - 1 წლის

ვადით თავისუფლების აღკვეთის - მოხდისაგან და, შესაბამისად, აღნიშნული განაჩენით განსაზღვრული საბოლოო სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 15 წლის ვადით - შეუმცირდეს 1 წლით და მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 14 წლის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნივთის დაზიანება ან განადგურება

განჩინება

საქმე #2261-აპ

4 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),

ლ. მურუსიძე,

ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ბ. ს-რის დამცველის, ადვოკატ ზ. რ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 29 ნოემბრის განაჩენზე ბ. ს-რის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 21 ივნისის განაჩენით ბ. ს-რი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით - თავისუფლების აღკვეთა 12 წლის ვადით, ხოლო სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე დადგენილი სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ ბ. ს-რს სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 13 წლის ვადით.

განაჩენის მიხედვით, ბ. ს-რს მსჯავრი დაედო ისეთი დანაშაულის ჩადენაში, როგორცაა განზრახ მკვლელობა; მანვე ჩაიდინა სხვისი ნივთის დაზიანება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ხოლო აღნიშნული დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ბ. ს-რი 2006 წლის 11 სექტემბერს, დაახლოებით 00:30 საათზე, ნასვამი, მივიდა ქ. თბილისში, ... მდებარე ღამის ბარში «აბა-01», რომლის მეორე სართულზე მდებარეობს სასტუმრო «შოვი». ბარში ყოფნისას ბ. ს-რმა სთხოვა იქვე მომუშავე თ. ბ-ვას მასთან ეცეკვა. ბარში ერთ-ერთ მაგიდასთან ისხდნენ ი. ც-ვა და მიხეილ გ-ია. ცეკვის დროს ი. ც-ვამ დაუძახა თ. ბ-ვას, რომელსაც ზედმეტ სახელად ეძახდნენ «ანის», რომ ერთი წუთით მისულიყო მათ მაგიდასთან. აღნიშნულით განაწყენებული ბ. ს-რი მივიდა ი. ც-ვასა და მ. გ-იას მაგიდასთან, უთხრა გარეთ გასულიყვნენ და იქ ესაუბრათ, რის შემდეგაც სამივენი გავიდნენ გარეთ. ქუჩაში ასევე გავიდნენ ბარის დაცვის სამსახურის უფროსი ლ. მ-ძე და დაცვის სხვა თანამშრომლები - ზ. ხ-შვილი, დ. ს-ია და გ. გ-ძე. ბ. ს-რს, მ. გ-იასა და ი. ც-ვას ერთმანეთში მოუვიდათ ჩხუბი. ჩხუბის დროს ბ. ს-რმა, წინასწარ მომარჯვებული დანით, განზრახ მოკვლის მიზნით, ი. ც-ვას გულმკერდის არეში მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო, იმდომე ხარისხის დაზიანება. აღნიშნულის შემდეგ ისინი გააშველეს დაცვის თანამშრომლებმა. დაჭრილი ი. ც-ვა მ. გ-იასთან ერთად ჩაჯდა მამამისის კუთვნილ ავტომანქანა «ტოიოტა-ში», რომლითაც მისული იყო ბარში. ავტომანქანის დაძვრისას მასთან მისულმა ბ. ს-რმა ავტომანქანის წინა საქარე მინას დაარტყა ფეხი და დაამტვრია იგი, შემდეგ ასევე ფეხის დარტყმით დაზიანა ავტომანქანის უკანა მარცხენა ფრთა, რითაც დაზარალებულს მიაყენა 300 ლარის ოდენობის მნიშვნელოვანი ზიანი. ი. ც-ვამ არ გააჩერა რა ავტომანქანა, გაიარა დაახლოებით 100 მეტრი და გონების დაკარგვის გამო შეეჯახა ბორდიურს. ბ. ს-რი კი მიიმალა შემთხვევის ადგილიდან. დაჭრილი ი. ც-ვა მ. გ-იამ და მ. ბ-იამ გადაიყვანეს ო. ლუდუშაურის სახელობის საავადმყოფოში, სადაც, მიუხედავად კვალიფიციური სამედიცინო დახმარების გაწევისა, იგი გარდაიცვალა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს სახელმწიფო ბრალმდებელმა დ. ხიზანაიძემ და მსჯავრდებულმა ბ. ს-რმა. პროკურორი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანას სასჯელის ლმობიერების მოტივით, კერძოდ, ბ. ს-რისათვის დანაშაულთა ერთობლიობით 16 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას.

მსჯავრდებული ბ. ს-რი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანას როგორც დანაშაულის კვალიფიკაციის, ისე სასჯელის ნაწილში, კერძოდ, მისი დანაშაულებრივი ქმედების დაკვალიფიციერებას საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლით და შესაბამისი სასჯელის განსაზღვრას იმ მოტივით, რომ მას არ ჩაუდენია ბრალად შერაცხული დანაშაული - განზრახ მკვლელობა და სასამართლომ ყოვლად უსაფუძვლოდ, საქმეში არსებულ მტკიცებულებათა სათანადო შეფასების გარეშე დასდო მას მსჯავრი აღნიშნულ დანაშაულში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 29 ნოემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 21 ივნისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ბ. ს-რის დამცველმა, ადვოკატმა ზ. რ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 29 ნოემბრის განაჩენის გაუქმებასა და ბ. ს-რის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმ მოტივით, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გამოტანილია კანონის უხეში დარღვევით, რადგან საქმეში არ მოიპოვება უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდნენ ბ. ს-რის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ბ. ს-რის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ ბ. ს-რის ბრალდების საქმეში წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება, რომ მან ნამდვილად ჩაიდინა ი. ც-ვას განზრახი მკვლელობა და სხვისი ქონების დაზიანება. მისი ბრალეულობა დადასტურებულია მოწმეთა მიერ წინასწარი გამოძიების სტადიაზე და სასამართლოსათვის მიცემული ჩვენებებით, სასამართლო ექსპერტიზების დასკვნებით და საქმეში არსებული სხვა მასალებით, რომლებიც მოპოვებულია საპროცესო ნორმების დაცვით. საკასაციო პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლომ სწორად დააკვალიფიცირა მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედება და არ არსებობს საფუძველი მისი შეცვლისათვის.

რაც შეეხება ბ. ს-რის მიმართ განაჩენით საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლის საფუძველზე დანიშნულ სასჯელს, უნდა აღინიშნოს, რომ იგი განსაზღვრულია ჩადენილი ქმედების სიმძიმისა და შედეგების, მსჯავრდებულის პიროვნების მახასიათებელი მონაცემებისა და საქმის სხვა გარემოებების გათვალისწინებით, არის სამართლიანი და წარმოადგენს ბრალის ხარისხის ადეკვატურ, აუცილებელ ზომას კანონის მიერ სასჯელის წინაშე დასახული მიზნის მისაღწევად.

ამავე დროს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ბ. ს-რის მიმართ უნდა გავრცელდეს «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მოქმედება, კერძოდ, ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იგი უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელის - 1 (ერთი) წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის - მოხდისგან, რის გამოც, შესაბამისად, უნდა შეუმცირდეს განაჩენით მისთვის განსაზღვრული საბოლოო სასჯელი, რის შედეგადაც მას მოსახდელად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 12 (თორმეტი) წლის ვადით.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 29 ნოემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ ბ. ს-რის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

დაადგინა:

მსჯავრდებულ ბ. ს-რის დამცველის, ადვოკატ ზ. რ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 29 ნოემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ ბ. ს-რი «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელის - 1 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის - მოხდისგან და, შესაბამისად, აღნიშნული განაჩენით განსაზღვრული საბოლოო სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 13 წლის ვადით - შეუმცირდეს 1 წლით და მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 12 წლის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნივთის დაზიანება ან განადგურება

განჩინება

საქმე #1265-აბ

24 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
ლ. მურუსიძე,
ზ. მეიშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. ს-ვის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 მაისის განაჩენზე ა. ს-ვისა და დ. მ-ვის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 15 ნოემბრის განაჩენით, ა. ს-ვი და დ. მ-ვი ცნობილ იქნენ დამნაშავეებად საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებითა და 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინეს ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, ჯგუფურად, საცავში უკანონო შეღწევით; ასევე - სხვისი ნივთის დაზიანება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

2005 წლის 24 სექტემბერს, დილის საათებში, ნასვამმა ა. ს-ვმა და ასევე ნასვამმა დ. მ-ვმა განიზრახეს, ყაჩაღურად თავს დასხმოდნენ თბილისში, ... მდებარე საშუალო სკოლის დარაჯ ვ. ა-ვს და მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებოდნენ აღნიშნული სკოლის ინვენტარს. იმავე დღეს, ზუსტი დრო დაუდგენელია, მათ უკანონოდ შეაღწიეს ზემოხსენებული სკოლის შენობაში, ყაჩაღურად თავს დაესხნენ სკოლის დარაჯს, რომელსაც თავის არეში ჩაართყეს საამისოდ სპეციალურად მომარჯვებული აგურის ნატეხი და მიაყენეს ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანება, რის შემდეგაც მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლნენ სკოლაში არსებულ სხვადასხვა სახის, საერთო ჯამში - 115 ლარად ღირებულ ინვენტარს.

აღნიშნული დანაშაულის ჩადენისას ა. ს-ვმა და დ. მ-ვმა ერთად დააზიანეს ოთხი საკლასო ოთახის საკეტი და ერთი კარი, საერთო ღირებულებით - 200 ლარი, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

2005 წლის 24 სექტემბერს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა შემთხვევის ადგილზე დააკავეს ა. ს-ვი და დ. მ-ვი.

აღნიშნული ქმედებისათვის ა. ს-ვსა და დ. მ-ვს საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით მიესაჯათ 7-7 წლით, ხოლო 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - 1-1 წლით თავისუფლების აღკვეთა; მათ საბოლოოდ განესაზღვრათ თავისუფლების აღკვეთა 7-7 წლის ვადით. მსჯავრდებულებს სასჯელის ათვლა დაეწყოთ 2005 წლის 24 სექტემბრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა. სააპელაციო საჩივრებით ა. ს-ვმა და დ. მ-ვმა ითხოვეს მათი ქმედების დაკვალიფიცირება ქურდობითა და გაუფრთხილებლობით ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებით, ასევე - სხვისი ქონების განზრახ დაზიანებით და მინიმალური სასჯელის შეფარდება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 მაისის განაჩენით მსჯავრდებულების სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი შეიცვალა: ა. ს-ვსა და დ. მ-ვს საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განესაზღვრათ 1-1 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ამჟამად მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით - 7-7 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 59-ე მუხლის (2007 წლის 18 იანვრამდე მოქმედი რედაქცია) შესაბამისად, მათ საბოლოოდ განესაზღვრათ 7-7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

კასატორი - მსჯავრდებული ა. ს-ვი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ მას არ ჩაუდენია სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული და ითხოვს ქმედების დაკვალიფიცირებას სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილით, შემდეგ გარემოებათა გამო:

თვითონ და დ. მ-ვი 2005 წლის 23 სექტემბერს მთელი დღისა და ღამის გარკვეული დროის განმავლობაში მუშაობდნენ თბილისის მე-8 გიმნაზიაში; რადგან სკოლის ფასადი დაზიანებული არ არის, ამიტომ დასაშვებად მიაჩნიათ სკოლის შენობაში დღისით შეღწევის შესაძლებლობა, რაც ალოგიკურია, ვინაიდან ორ ადგილას ერთროულად ყოფნა შეუძლებელია; დაზარალებული იძლევა ცრუ ჩვენებას, როდესაც აცხადებს, რომ მას მსჯავრდებულებთან ერთად არ დაუღევია, სპირტიანი სასმელი

მან დალია სახლში და მასზე თავდასხმა მოხდა პირველ და მეორე სართულებს შორის კიბეების ბაქანზე; ის პოლიციელებმა აღმოაჩინეს ფოიეში, სადაც თავდასხმის არანაირი კვალი არ ყოფილა; აღსანიშნავია ისიც, რომ აგურის თავში ჩართვით მასზე დარჩებოდა ტყავის ან თმის ნაწილაკები და არა - სისხლი; ვ. ა-ვი მისი მეზობელია; თუ დარტყმა უკნიდან განხორციელდა, მაშინ დაზარალებული ვერ დაინახავდა საგანს, რომელიც მას ჩაართყეს; თვალბშუა და გულმკერდში დარტყმა კი მხოლოდ წინიდან შეიძლება მომხდარიყო, ამ შემთხვევაში კი მას თავდამსხმელი უნდა დაენახა; სკოლის შენობის დატოვების შემდეგ ვ. ა-ვი სკოლაში მარტო იმყოფებოდა; მას არ გაუჭირდებოდა აგურის ნატეხის პოვნა და სროლა თავდასხმის იმიტირებისათვის, რადგან სამუშაო ადგილზე მოწყობილი ღრეობის გამო, რასაც მოჰყვა ოთხი კარის ჩამტვრევა და ზოგიერთი საგნის ქურდობა, სკოლის დირექცია მას მადლობას არ გამოუცხადებდა; მსჯავრდებული ვარაუდობს, რომ მის მიმართ მიკერძოებული დამოკიდებულება, რისი მიზეზიც არის მისი ეროვნება.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს სსსკ-ის 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, პალატამ შეისწავლა საქმე სრული მოცულობით, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის წინასწარი გამოძიებისას მოპოვებული და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით უდავოდ დასტურდება, რომ ა. ს-ვმა და დ. მ-ვმა ჯგუფურად და სავსებით უკანონო შეღწევით ჩაიდინეს ყაჩაღობა, ასევე - სხვისი ნივთის დაზიანება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, კერძოდ:

საკატორლო პოლიციის თანამშრომლების: მ. თ-შვილისა და ზ. გ-შვილის ჩვენებით ირკვევა, რომ ღამით შენიშნეს ორი ნასვამი პირი, რომლებსაც ფარდაში გახვეული ტელეფონის აპარატი, რვეულები და სხვადასხვა ნივთები ჰქონდათ. რვეულზე ეწერა სკოლის ნომერი, რომელიც სხვა თანამშრომლებმა გადაამოწმეს და დადგინდა, რომ სკოლის კარები იყო გატეხილი, ხოლო მისი დარაჯი - გასისხლიანებული. აღნიშნულმა პირებმა სკოლასთან და მის დარაჯთან დაკავშირებით ყველაფერი უარყვეს და მიუთითეს, რომ დარაჯს არ იცნობდნენ.

თავად მსჯავრდებულებმა სასამართლოში არ უარყვეს, რომ სკოლიდან წაიღეს ნივთები, მაგრამ ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ერთად ქეიფისას დაზარალებულმა მათ შეურაცხყოფა მიაყენა და იგი სცემეს. ამასთან, ვ. ა-ვისათვის აგური არ დაურტყამთ.

დაზარალებულმა ვ. ა-ვმა დაადასტურა, რომ სკოლაში ყოფნისას, ღამით მოესმა ფანჯრის გაღების ხმა და ვიღაცამ უკნიდან აგური ჩაართყა თავში. ამავდროულად დაარტყეს სახესა და გულის არეში. ამის გამო დაჰკარგა გონება და საავადმყოფოში გამოეხიზლდა. გაიგო, რომ სკოლა გაეჭურდათ. ა. ს-ვი და დ. მ-ვი სკოლაში ადრე არ უნახავს და მათთან იმ ღამით არ უქეიფია.

კასატორი მიუთითებს, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით სკოლის ფოიეში, მაგიდაზე აღმოჩნდა ჭიქები სპირტიანი სასმელის ნარჩენებით და საკვები, რაც, მისი აზრით, ეწინააღმდეგება დაზარალებულის ჩვენებას.

ამ საგამოძიებო მოქმედების ოქმში სპირტიანი სასმელის შესახებ არაფერია ნათქვამი. ოქმში მითითებულია, რომ ერთ-ერთ ოთახში, იატაკზე აღინიშნებოდა მოწითალო ლაქები, მაგიდაზე იდო «სპრაიტის» ბოთლი. იქვე აღმოჩნდა და ამოიღეს აგური მოწითალო ლაქებით. სკოლის ოთხი ოთახის კარი იყო დაზიანებული და მათ ეტყობოდათ ფეხსაცმლის კვალი. ამ ოთახებში არსებული ნივთები უწესრიგოდ იყო მიმოფანტული.

ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული კასატორის მტკიცება, თითქოს დაზარალებულმა მოახდინა თავდასხმის იმიტირება, ისროლა აგურის ნატეხი, რათა თავი გაემართლებინა სკოლის ინვენტარის დაზიანებისა და ქურდობისათვის.

დადგენილია, რომ შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ აგურზე აღმოჩნდა იმავე ჯგუფის სისხლი, რაც აქვს დაზარალებულს. სისხლი აღმოჩნდა ა. მ-ვისაგან ამოღებულ შარვალზეც.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, ვ. ა-ვს ჰქონდა თავის ტვინის შერყევა და აღნიშნებოდა დაჟეილი ჭრილობა თხემ-კეფის მიდამოში.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია.

ამასთან, აღნიშნული განაჩენი უნდა შეიცვალოს «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლის შესაბამისად, კერძოდ, მსჯავრდებულები უნდა გათავისუფლდნენ სსკ-ის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლით და

დაადგინა:

მსჯავრდებულ ა. ს-ვის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 მაისის განაჩენი შეიცვალოს: «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებულები - ა. ს-ვი და დ. მ-ვი გათავისუფლდნენ სსკ-ის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) გათვალისწინებული პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან;

განაჩენიდან ამოირიგხოს მითითება სსკ-ის 59-ე მუხლის (2007 წლის 18 იანვრამდე მოქმედი რედაქციით) გამოყენებით სასჯელთა შთანთქმის წესზე;

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და საბოლოოდ ა. ს-ვსა და დ. მ-ვს მოსახდელად დარჩეთ სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელი - 7-7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნივთის დაზიანება ან განადგურება

განჩინება

საქმე #1634-აბ

11 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. თ-რის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ივლისის განაჩენზე ა. თ-რისა და ვ. ჟ-შვილის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 24 აპრილის განაჩენით ა. თ-რი და ვ. ჟ-შვილი ცნობილ იქნენ დამნაშავეებად საქართველოს სსკ-ის მე-19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ა» ქვეპუნქტითა და 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჯგუფურად და საცავში უკანონო შეღწევით ჩაიდინეს ქურდობის მცდელობა, ასევე - სხვისი მოძრავი ნივთის დაზიანება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

ა. თ-რი დანაშაულებრივად დაუკავშირდა ვ. ჟ-შვილს და გადაწყვიტეს, რომ მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებოდნენ სხვის ქონებას. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად 2006 წლის 3 ნოემბერს ისინი მივიდნენ ქ. თბილისში, ახმეტელის ქ. #10-ში მდებარე სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმის» ფირის გადამამუშავებელი საამქროს შენობასთან, ამოიღეს პირველ სართულზე მდებარე ფანჯრის მინა და ამ გზით შეაღწიეს შენობაში, თანაქონი ტექნიკური საშუალებების, კერძოდ - მკვნიტარას, სახრახნისისა და ქანჩის გამოყენებით საამქროს მოხსნეს ორი ავტომატური ელექტროჩამრთველი, ასევე, გადაჭრეს საამქროს მეორე სართულზე მდებარე ქიმიურ ლაბორატორიაში არსებული წყლის გამოსახდელი და ელექტროსადენები, რითიც დააზიანეს და მთლიანად მწყობრიდან გამოიყვანეს ფირის გადამამუშავებელი საამქრო, რომელსაც მიაყენეს 3000 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი. ქურდობის განზრახვა მათ ბოლომდე ვერ მოიყვანეს სისრულეში, რადგან შეამჩნიეს ტელეკომპანია „იმედის» საერთაშორისო დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა, რის შემდეგაც ორივე მათგანი საპატრულო პოლიციის მუშაკებმა დააკავეს საამქროს შენობაშივე.

აღნიშნული ქმედებისათვის ა. თ-რსა და ვ. ჟ-შვილს საქართველოს სსკ-ის მე-19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ» და მე-3 ნაწილის „ა» ქვეპუნქტებით განესაზღვრათ თითოეულს - 4 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - 1-1 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე, მსჯავრდებულებს საბოლოოდ მიესაჯათ თითოეულს - 5 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყოთ 2006 წლის 3 ნოემბრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა და ითხოვეს გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ივლისის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებული ა. თ-რი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონოა, რადგან მთელი რიგი საკითხებისა გადაწყდა არასწორად და არსებითად დაირღვა საპროცესო ნორმები, კერძოდ:

დაირღვა მსჯავრდებულის დაცვის უფლება, რადგან მას სააპელაციო სასამართლოში, მიუხედავად მოთხოვნისა, არ დაუნიშნეს ადვოკატი; საქმის მასალებით დადგენილია, რომ დაზარალებულმა ლ. დ-ნმა ვ. ჟ-შვილს სთხოვა საამქროსათვის ყურადღების მიქცევა, რადგან შენობა არაერთხელ გაიქურდა; ვ. ჟ-შვილმა შეამჩნია ფანჯრიდან ამოღებული მინა და შევიდა იმის გასარკვევად, თუ რა ხდებოდა; სასამართლომ არასწორად შეაფასა შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი და მოწმეთა ჩვენებები, არ გაარკვია, თუ ვინ დააზიანა ელექტროჩამრთველები და ელექტროსადენები; აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ საქმის შეწყვეტას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსკ-ის 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, პალატამ შეამოწმა საქმე სრული მოცულობით და მიიჩნევს, რომ საქმეში არსებული მასალებით უდავოდ დადასტურებულია მსჯავრდებულთა მიერ მათთვის ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენა და გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია.

საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა გ. ლ-შვილმა სასამართლოს განუმარტა, რომ ოთხსართულიანი შენობის დათვალიერებისას სახურავზე აღმოაჩინეს ა. თ-რი და ვ. ჟ-შვილი, რომლებსაც დიდხანს ეძებდნენ. მისივე განცხადებით, აშკარა იყო, რომ ხსენებული პირები იმალებოდნენ. დაზიანებული იყო ელექტროსადენები.

მოწმე გ. ა-ძემაც მიუთითა, რომ ეჭვმიტანილები სახურავზე დააკავეს. შენობაში ჩაჭრილი და წასაღებად გამზადებული იყო ელექტროსადენები.

დაზარალებულმა ლამარა დევდარიანმა განმარტა, რომ შემთხვევის ადგილზე მისვლისას ეჭვმიტანილები უკვე დაკავებული ჰყავდათ. მისივე თქმით შენობაში «ყველაფერი დაჭრილი და განადგურებული იყო».

უსაფუძვლოა კასატორის მითითება, რომ დაირღვა მისი დაცვის უფლება. პირველი ინსტანციის სასამართლოში ორივე განსასჯელს იცავდა ადვოკატი, ხოლო სააპელაციო წესით საქმის განხილვისას ა. თ-რმა და ვ. ჟ-შვილმა განაცხადეს, რომ ადვოკატის მომსახურებას არ საჭიროებდნენ და თავად დაიცავდნენ საკუთარ ინტერესებს.

გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს სსკ-ის მე-19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული მსჯავრი, რადგან ამ მუხლის ყოველი მომდევნო ნაწილი მოიცავს წინას.

ამასთან, «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებულები - ა. თ-რი და ვ. ჟ-შვილი უნდა გათავისუფლდნენ სსკ-ის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან, შესაბამისად, განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს მითითება სსკ-ის 59-ე მუხლზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლით და

დაადგინა:

მსჯავრდებულ ა. თ-რის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ივლისის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულთა სასიკეთოდ: «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლის შესაბამისად, ა. თ-რი და ვ. ჟ-შვილი გათავისუფლდნენ სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან;

გასაჩივრებული განაჩენიდან ა. თ-რისა და ვ. ჟ-შვილის მიმართ ამოირიცხოს სსკ-ის მე-19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული მსჯავრი და მითითება სსკ-ის 59-ე მუხლზე;

ა. თ-რსა და ვ. ჟ-შვილს სსკ-ის მე-19,177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით საბოლოოდ განესაზღვროთ 4-4 წლითა და 3-3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნივთის დაზიანება ან განადგურება

განჩინება

საქმე #2-აპ

14 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
ლ. მურუსიძე,
მ. ოშხარელი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. პ-ვის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 6 სექტემბრის განაჩენით ა. პ-ვი ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით, იმავე მუხლის მე-4 ნაწილის «გ» ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში. განაჩენით მას სასჯელად განესაზღვრა: საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებისა და იმავე მუხლის მე-4 ნაწილის «გ» ქვეპუნქტის საფუძველზე – თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით, საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე – თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, ხოლო საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და მას საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. იგი სასჯელს იხდის 2007 წლის 3 ივნისიდან.

განაჩენის მიხედვით, ა. პ-ვს მსჯავრი დაედო ქურდობისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი საცავში უკანონო შეღწევით და იმის მიერ, ვინც ორჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის; მანვე ჩაიდინა სხვისი ნივთის დაზიანება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში: 2000 წლის 20 ნოემბერს თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს განაჩენით ა. პ-ვი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით. 2001 წლის 25 ივლისს თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს განაჩენით ა. პ-ვი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლისა და 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტისა და მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, რასაც ნაწილობრივ დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და მას საბოლოო სასჯელის ზომად დაუდგინდა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. 2005 წლის 18 აპრილის განაჩენით ა. პ-ვი მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი-მეორე ნაწილების საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა 2001 წლის 25 ივლისის განაჩენით დანიშნული სასჯელიდან 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და მას საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მიუხედავად აღნიშნულისა, ა. პ-ვი არ დაადგა გამოსწორების გზას და 2007 წლის 3 ივნისს, ღამის საათებში, განიზრახა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაუფლებოდა შპს «მაგთიკომის» საბაზო სადგურის ოპტიკისა და სპილენძის სადენებს. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ა. პ-ვი აღნიშნულ დღესვე მივიდა თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა #13-ში არსებულ შპს «მაგთიკომის» საბაზო სადგურთან, წინასწარ მომარჯვებული ხელსაწყოების – წერაქვისა და ლომის გამოყენებით უკანონოდ შეაღწია აღნიშნულ სადგურში, სადაც გადაჭრა ელექტროსადენები და, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა შპს «მაგთიკომის» კუთვნილ ზემოხსენებულ სადენებს, ღირებულს 634 ლარად. ა. პ-ვის დანაშაულებრივი ქმედება შეამჩნიეს თბილისის ისანი-სამგორის შინაგან საქმეთა სამმართველოს მე-5 განყოფილების თანამშრომლებმა, რომლებმაც იგი დააკავეს და პირადი ჩხრეკის შედეგად მისგან ამოიღეს თეთრი ფერის, ლურჯ და წითელზოლებიანი ხელჩანთა, რომელშიც მოთავსებული იყო ყვითელი და თეთრი ფერის ელექტროსადენები. მანვე, 2007 წლის 3 ივნისს, განიზრახა რა ოპტიკისა და ელექტროსადენების გატაცება, შპს «მაგთიკომის» საბაზო სადგურში გადაჭრა ელექტროსადენები, რის შედეგადაც დააზიანა შპს «მაგთიკომის» საბაზო სადგური, რომლის გათიშვის შედეგად ა. პ-ვმა დაზარალებულ კომპანიას მიაყენა 27.314 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ა. პ-ვმა, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 6 სექტემბრის განაჩენის გაუქმებასა და მის

მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმ მოტივით, რომ მას არ ჩაუდენია ის ქმედება, რომელშიც სასამართლომ ბრალეულად ცნო, ხოლო განაჩენი ეყარება მოწმეთა არასწორ ჩვენებებს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ნოემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 6 სექტემბრის განაჩენი შეიცვალა შემდეგი მიმართებით: ა. პ-ვის მსჯავრდებიდან ამოირიცხა მითითება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებზე, ვინაიდან მათ მოიცავს აღნიშნული მუხლის მომდევნო ნაწილები. იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის «გ» ქვეპუნქტისა და იმავე კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, რისთვისაც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა: საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის «გ» ქვეპუნქტის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით, იმავე კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა მთლიანად და მას საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გასაჩივრა მსჯავრდებულმა ა. პ-ვმა, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ნოემბრის განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმავე მოტივის საფუძველზე, რაც მას მითითებული ჰქონდა თავის სააპელაციო საჩივარში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ა. პ-ვის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

ა. პ-ვის ბრალდების საქმეში წარმოდგენილია სარწმუნო მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება, რომ მან ნამდვილად ჩაიდინა განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება, ხოლო აღნიშნული მტკიცებულებებიდან - მოწმეთა ჩვენებები, ჩხრეკის ოქმი, ამოღებული ნივთმტკიცებები და საქმეში არსებული სხვა მასალები მოპოვებულია საპროცესო ნორმების დაცვით. კასატორის - მსჯავრდებულ ა. პ-ვის მიერ საკასაციო საჩივარში მოწოდებული ვერსია იმის თაობაზე, რომ იგი დანაშაულის ჩადენის ადგილზე ღამის 1 საათზე შემთხვევით აღმოჩნდა, ვერ იქნება გაზიარებული, რადგან მას არ გააჩნია რეალური საფუძველი.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებსაც მისცა სწორი კვალიფიკაცია. სააპელაციო სასამართლოს განაჩენით მსჯავრდებულ ა. პ-ვის მიმართ განსაზღვრული სასჯელი სავსებით შეესაბამება მის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმესა და შედეგებს, ასევე, მისი პიროვნების მახასიათებელ მონაცემებს, საქმის სხვა გარემოებებს, რის გამოც ვერ ჩაითვლება ზედმეტად მკაცრად და უსამართლოდ.

ამავე დროს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ა. პ-ვის მიმართ უნდა გავრცელდეს «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მოქმედება, კერძოდ, აღნიშნული კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, იგი უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელის - 1 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის - მოხდისაგან, რომელიც უნდა გამოაკლდეს მის მიმართ განსაზღვრულ საბოლოო სასჯელს, რის შედეგადაც მსჯავრდებულ ა. პ-ვს საბოლოო სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ნოემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ ა. პ-ვის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

დაადგინა:

მსჯავრდებულ ა. პ-ვის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ნოემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ ა. პ-ვი «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელის - 1 წლით თავისუფლების აღკვეთის - მოხდისაგან, რის გამოც შესაბამისად, შეუმცირდეს აღნიშნული განაჩენით განსაზღვრული საბოლოო სასჯელი და მას მოსახდელად დარჩეს თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნივთის დაზიანება ან განადგურება

განჩინება

საქმე #1874-აპ

25 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
ლ. მურუსიძე,
დ. სულაქველიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. შ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 3 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 29 ივნისის განაჩენით ნ. შ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მეორე ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, 187-ე მუხლის მეორე ნაწილით (2006 წლის 31 მაისიდან მოქმედი რედაქცია) - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, მე-19,109-ე მუხლის «ა», «ზ», «კ» ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) - 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მეოთხე ნაწილის საფუძველზე საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენით მსჯავრდებულ ნ. შ-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2004 წლის 4 აპრილს, დაახლოებით 15 საათსა და 45 წუთზე, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი, მცხეთის რ-ნის სოფ. ... მცხოვრები ნ. შ-შვილი თბილისში, მეტროს სადგურ „დიდუბის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, მივიდა მანამდე მისთვის უცნობ გ. ჯ-შვილთან, რომელსაც უხეში ტონით მოსთხოვა სიგარეტი და უარყოფითი პასუხით განაწყენებულმა, ხულიგნური ქვენაგრძნობით, ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, გ. ჯ-შვილის განზრახ მოკვლის მიზნით, ამოიღო ჯიბიდან ფეთქებადი ნივთიერება „ფ-1“ ტიპის ხელყუმბარა, რომელიც მან მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა, ინახავდა და ატარებდა, მოიყვანა იგი საბძროლო მდგომარეობაში და დააგდო გ. ჯ-შვილთან, რომლის გარშემოც იმყოფებოდა მრავალი ადამიანი. მომხდარი აფეთქების შედეგად გ. ჯ-შვილმა მიიღო ჭრილობა მარჯვენა საფეთქლის მიდამოში და ჰემატომები სახის მარჯვენა ნახევარში, რომლებიც მიეკუთვნება სხეულის მსუბუქი ხარისხის კატეგორიის დაზიანებას, ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით. გ. გ-ნმა მიიღო ჭრილობები მარჯვენა მხრის, მარჯვენა ბარძაყისა და მარცხენა წვივის არეში, რომლებიც მიეკუთვნება მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის მოშლის გარეშე. მ. ჩ-შვილმა აფეთქებული ხელყუმბარის ნამსხვრევებით მუცლის არეში მიიღო შემავალი ჭრილობა ღვიძლის დაზიანებით, ტრავმული ჰემორაგიული შოკი, III-IV ხარისხის, რომლებიც მიეკუთვნება ჯანმრთელობისათვის საშიშ სხეულის მძიმე დაზიანებათა კატეგორიას. აღნიშნულ პირთა სიცოცხლის გადარჩენა მოხერხდა დროული და კვალიფიციური სამედიცინო დახმარების შედეგად. ასევე, აფეთქებით ნ. შ-შვილმა დაზიანა იქვე გაჩერებული ა. მ-მის კუთვნილი ავტომანქანა „ფორდი“ (მიკროავტობუსი), რის შედეგადაც ა. მ-მემ მიიღო 300 ლარის ოდენობის მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი, ასევე, ტ. ს-ურის კუთვნილი ავტომანქანა „მერსედესი“ (მიკროავტობუსი) და ლ. მ-მის კუთვნილი ავტომანქანა „ჟიგული“ ვაზ-2107, რითაც ლ. მ-მემ მიიღო მნიშვნელოვანი ზიანი 335 ლარის ოდენობით. დანაშაულის ჩადენის შემდეგ ნ. შ-შვილი ადგილზევე დააკავეს.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 3 სექტემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად, კერძოდ:

ნ. შ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მეორე ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, 187-ე მუხლის მეორე ნაწილით (2006 წლის 31 მაისიდან მოქმედი რედაქცია) - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 19,109-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია), 19,109-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ» და ამავე მუხლის მეორე ნაწილის «გ» ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისიდან მოქმედი რედაქცია) - 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებული ნ. შ-შვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას იმ საფუძველით, რომ განაჩენი არის უკანონო, მას არ ჩაუდენია დანაშაული; განაჩენი ფაქტობრივად დაეყრდნო დაზარალებულებისა და მოწმეების მიერ მიცემულ წინააღმდეგობრივ ჩვენებებს; სასჯელის დანიშვნისას სასამართლომ არ გაითვალისწინა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებანი და დაუნიშნა მკაცრი სასჯელი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო გამოკვლევა ჩატარებულია სრულყოფილად, ობიექტურად და საპროცესო კანონმდებლობის დაცვით.

პალატა უსაფუძვლოდ მიიჩნევს საკასაციო საჩივრის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ, თითქოს, განაჩენი არის უკანონო, ნ. შ-შვილს არ ჩაუდენია მასზე ბრალად შერაცხული დანაშაულები.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

პალატა თვლის, რომ როგორც I-ლი ინსტანციის, ასევე, სააპელაციო სასამართლოებს საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები გააჩნდათ ნ. შ-შვილის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად.

განაჩენით მსჯავრდებულ ნ. შ-შვილის მიმართ შერაცხული ბრალდებები დადასტურებულია დაზარალებულების - გ. ჯ-შვილის, გ. გ-ნის, ა. მ-ძის, ტ. ს-ის, ლ. მ-ძის ჩვენებით, მოწმეების - ი. მ-ძის, ს. გ-ას ჩვენებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერებისა და ამოღების ოქმით, ალკოჰოლის მოხმარებისა და სიმთვრალის ფაქტის დადგენის სამედიცინო შემოწმების ოქმით, სასამართლო-სამედიცინო, ბალისტიკური, ბიოლოგიური, კრიმინალისტიკური ექსპერტიზების დასკვნებითა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით, კერძოდ:

დაზარალებულ გ. ჯ-შვილის ჩვენებით, 2004 წლის 4 აპრილს, 15.00 საათზე, იგი იდგა მეტროს სადგურ „დიდუბის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, რუსთავის სამარშრუტო ტაქსების გაჩერებაზე. მის წინ გაჩერდა უცნობი და სთხოვა სიგარეტი, მას სიგარეტი არ ჰქონდა და უარი უთხრა. უცნობმა პირმა მას უწმარსო სიტყვებით მიმართა. რადგან უცნობი ასაკიანი და თანაც მთვრალი იყო, ყურადღება არ მიაქცია. ეს პირი გასცდა, შემდეგ კი მისკენ მიტრიალდა და ამ დროს მის ხელში გახსნილი „ლიმონკა“ დაინახა. ამ პიროვნებამ „ლიმონკა“ მისკენ გაიშვირა, შეეცადა წართმევას და ამ დროს აფეთქებაც მოხდა, აფეთქების შედეგად მიიღო დაზიანებები. იგი დარწმუნებულია, რომ ნ. შ-შვილი სწორედ ის პიროვნებაა.

დაზარალებულ გ. გ-ნის ჩვენებით, 2004 წლის აპრილში, დაახლოებით შუადღისას, იმყოფებოდა მეტროს სადგურ „დიდუბის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, რუსთავის სამარშრუტო ტაქსების გაჩერებაზე. ვიღაცამ დაიმახა «ლიმონკა», რომელიც მისკენ გაგორდა, მართალია, რაღაცას მიეფარა, მაგრამ აფეთქების შედეგად მაინც დაიჭრა.

დაზარალებულ ა. მ-ძის ჩვენებით, იგი მუშაობს თბილისი-რუსთავის სამარშრუტო ხაზზე. 2004 წლის 4 აპრილს, დილით, ის ჩვეულებრივ გავიდა სამსახურში რეისების შესასრულებლად. დაახლოებით 15 საათსა და 30 წუთზე მას უწევდა დიდუბის სადგურიდან გასვლა და ელოდებოდა, რომ მისი სამარშრუტო ტაქსი მგზავრებით შევსებულიყო. ამასობაში შემოესმა ყვირილის ხმა «ლიმონკა», რასაც უცებ მოჰყვა ძლიერი აფეთქების ხმა, რა დროსაც ის იჯდა საჭესთან. როგორც შემდგომ გაიგო, ვიღაც ბიჭებს უკამათიათ და ერთ-ერთმა გახსნა ხელყუმბარა.

მოწმე ი. მ-ძის ჩვენებით, იგი დაედევნა იმ პიროვნებას, რომელსაც ხელყუმბარა ეჭირა, დააკავა და წარადგინა წერეთლის გამზირზე მდებარე პოლიციის განყოფილებაში.

ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მსჯავრდებულის ქმედებებს და სასჯელის ზომაც სამართლიანად განუსაზღვრა.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების საფუძველზე მსჯავრდებულ ნ. შ-შვილს საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის მეორე ნაწილით შეფარდებული სასჯელი - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა - უნდა გაუნახვერდეს და მიესაჯოს 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ ნ. შ-შვილს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი, მეორე ნაწილებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია), 187-ე მუხლის მეორე ნაწილით (2006 წლის 31 მაისიდან მოქმედი რედაქცია), მე-19,109-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია), მე-19,109-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ» და ამავე მუხლის მეორე ნაწილის «გ» ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისიდან მოქმედი რედაქცია) საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით, «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით,

დაადგინა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 3 სექტემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

«ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მეორე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების საფუძველზე მსჯავრდებულ ნ. შ-შვილს საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის მეორე ნაწილით შეფარდებული სასჯელი - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა - გაუნახევრდეს და მიესაჯოს 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ ნ. შ-შვილს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი, მეორე ნაწილებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია), 187-ე მუხლის მეორე ნაწილით (2006 წლის 31 მაისიდან მოქმედი რედაქცია), მე-19,109-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია), მე-19,109-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ» და ამავე მუხლის მეორე ნაწილის «გ» ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისიდან მოქმედი რედაქცია) საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნივთის დაზიანება ან განადგურება

განჩინება

საქმე #2195-აპ

8 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
- ლ. მურუსიძე,
- ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ს-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. ჭ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 ივნისის განაჩენით:

გ. ს-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით და მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა;

ჯ. ზ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ» და ამავე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტებით - 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, 143-ე მუხლის მეორე ნაწილის «გ» და ამავე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტებით - 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, 188-ე მუხლის პირველი ნაწილით - ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მეორე ნაწილით - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 363-ე მუხლის მეორე ნაწილით - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 22 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა - 1000 ლარის ოდენობით;

რ. კ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით და მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 2 აგვისტოს დადგენილებით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 ივნისის განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში შევიდა დაზუსტება, კერძოდ, მსჯავრდებულ ჯ. ზ-ას სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების მომენტიდან - 2006 წლის 18 დეკემბრის 23 საათი და 55 წუთიდან.

განაჩენით მსჯავრდებულების - გ. ს-ძის, ჯ. ზ-ასა და რ. კ-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ჯ. ზ-ა დანაშაულებრივად დაუკავშირდა გამოძიებით დაუდგენელ სამ პირს და განიზრახა ყაჩაღური თავდასხმის გზით დაუფლებოდა სხვის მოძრავ ნივთს. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით 2006 წლის 7 დეკემბერს, დაახლოებით 19.30 საათზე, გამოძიებით დაუდგენელმა ერთ-ერთმა ბოროტმოქმედმა ქ. თბილისში, კოსტავას ქუჩაზე, გააჩერა „მერსედესის» მარკის ავტომანქანა,

რომელსაც მართავდა მოქალაქე ო. ხ-ლი და სთხოვა მას გლდანის მასივში, კერძოდ, გმირ კურსანტთა ქუჩაზე მდებარე პოლიციის აკადემიასთან წაყვანა, რის შემდეგაც ჩაჯდა მანქანის სალონში მძღოლის გვერდზე არსებულ სავარძელში. ქერჩის ქუჩაზე მდებარე პოლიციის აკადემიის ეზოში მან გააჩერებინა ო. ხ-ს ა/მანქანა. აქ მათ დახვდა ჯ. ზ-ა კიდევ ორ ბოროტმოქმედთან ერთად, რომლებმაც წინასწარი შეთანხმებისამებრ, იარაღების დემონსტრირებით, ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის - მოკვლის მუქარით ო. ხ-ლი ძალით გადაიყვანეს მანქანიდან. ჯ. ზ-ამ თანამზრახველებთან ერთად გააგრძელა თავისი დანაშაულებრივი საქმიანობა და დაზარალებულ მოქალაქეს იქვე მდებარე შენობის ნანგრევების ერთ-ერთ ოთახში, სადაც მას უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება, „სკოჩით« გაუკრეს ხელები, აუხვიეს თვალები და ქურთუკის ჯიბიდან ამოაცალეს ა/მანქანის ტექნიკური პასპორტი, მართვის მოწმობა, თანხა 70 ლარის ოდენობით და „ნოკიას« ფირმის მობილური ტელეფონი, რის შემდეგაც ჯ. ზ-ას თანამზრახველი სამი ბოროტმოქმედი ო. ხ-ლის კუთვნილი „მერსედესის« მარკის ა/მანქანით გაემგზავრა გაურკვეველი მიმართულებით, ხოლო იგი დარჩა ო. ხ-ლთან მის დასაშინებლად.

იმისათვის, რათა დაზარალებულს არ განეცხადებინა მომხდარი დანაშაულის შესახებ, მას ჯ. ზ-ამ თავის არეში რამდენჯერმე ჩაარტყა თანხაქონი იარაღის ტარი, პერიოდულად კი დამნაშავე პირები ერთმანეთს ტელეფონით ესაუბრებოდნენ. დაახლოებით 4 საათის შემდეგ, რაც ჯ. ზ-ასათვის ცნობილი გახდა, რომ გატაცებული ა/მანქანა «მერსედესის» მიყვანილი იყო დანიშნულების ადგილზე, ო. ხ-ლი ხელმეორეული დატოვა შენობის ნანგრევებში და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

2006 წლის 18 დეკემბერს ჯ. ზ-ამ კვლავ განიზრახა რა ჩაედინა დანაშაული, იგი დაუკავშირდა გ. ს-ძესა და რ. კ-შვილს მართლსაწინააღმდეგოდ მიესაკუთრებინათ სხვისი მოძრავი ნივთი. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით ქ. თბილისში, აღმაშენებლის გამზირზე, მეტროს სადგურ „მარჯანიშვილის« მიმდებარე ტერიტორიაზე, მათ გააჩერეს ა/მანქანა „ფორდ-სიერას« ფირმის ტაქსის მძღოლი მ. გ-ძე და მოსთხოვეს მას გლდანის მასივში წაყვანა. შეთანხმდნენ რა თანხაზე, მტკვრის მარცხენა სანაპიროს გავლით გაემართნენ გლდანის მასივის მიმართულებით. პოლიციის აკადემიასთან ავტომანქანის მგზავრებმა მძღოლს მოსთხოვეს შესულიყო აკადემიის შესახვევში. მიუახლოვდნენ რა გმირ კურსანტთა ქუჩაზე მდებარე პოლიციის აკადემიის შენობას, ჯ. ზ-ამ ამოიღო მის მიერ უკანონოდ შეძენილი და შენახული, ქარხნული წესით დამზადებული „გოლდ-სტარ-2002-ის« მოდელის ცეცხლსასროლი იარაღი, რომელსაც იგი ასევე უკანონოდ ატარებდა, დაადო მ. გ-ძეს და სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით მოსთხოვა ფული. ავტომანქანის მძღოლს ფული მოსთხოვეს რ. კ-შვილმა და გ. ს-ძემაც, თან სამივე მათგანმა მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. აღნიშნულის შემდეგ ა/მანქანის საჭესთან დაჯდა ჯ. ზ-ა და შევიდნენ აკადემიის ეზოში, სადაც ამ უკანასკნელმა ვერ დაიმორჩილა საჭე და შეეჯახა ხეს, რითაც მნიშვნელოვნად დაზიანდა ა/მანქანა. აღნიშნული ქმედებით ჯ. ზ-ამ დაზარალებულ მ. გ-ძეს მიაყენა 760 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი. ისინი გადმოვიდნენ დაზიანებული ა/მანქანიდან, მ. გ-ძე დააწვინეს მიწაზე და კვლავ მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, რა დროსაც რ. კ-შვილმა მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრა ამ უკანასკნელის კუთვნილი თანხა - 35 ლარის ოდენობით, ხოლო ჯ. ზ-ამ - „სამსუნგის« ფირმის მობილური ტელეფონი. მ. გ-ძის მიმართ ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა თავდამსხმელების მხრიდან გრძელდებოდა დაახლოებით 3-5 წუთის განმავლობაში, რაც აღკვეთილ იქნა შემთხვევის ადგილზე მისული საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ, რ. კ-შვილი დაკავებულ იქნა ადგილზევე, ხოლო ჯ. ზ-ა და გ. ს-ძე ცდილობდნენ შემთხვევის ადგილიდან მიმალვას, რაც ვერ მოახერხეს, ვინაიდან ისინიც მიმდებარე ტერიტორიაზე დაკავებულ იქნენ საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ნოემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ გ. ს-ძის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ა. ჭ-შვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გ. ს-ძის გამართლებას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო, გ. ს-ძეს უსაფუძვლოდ დაედო მსჯავრი დანაშაულის ჩადენაში; მსჯავრდებულის ქმედებას მიეცა არასწორი კვალიფიკაცია; სასამართლოში საქმის განხილვისას არ შემოწმებულა გ. ს-ძის დამცველის მიერ ბრალდების გასაბათილებლად გამოთქმული მოსაზრებები; საქმეში არსებული მასალებით არ დასტურდება ის გარემოება, რომ გ. ს-ძე ყაჩაღური თავდასხმის ერთ-ერთი მონაწილეა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო გამოკვლევა ჩატარებულია სრულყოფილად, ობიექტურად და საპროცესო კანონმდებლობის დაცვით.

პალატა უსაფუძვლოდ მიიჩნევს საკასაციო საჩივრის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ, თითქოს, გ. ს-ძეს უსაფუძვლოდ დაედო მსჯავრი დანაშაულის ჩადენაში.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

პალატა თვლის, რომ როგორც I-ლი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლოებს საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები გააჩნდათ გ. ს-ძის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად. განაჩენით გ. ს-ძის მიმართ შერაცხული ბრალდება დადასტურებულია დაზარალებულ მ. გ-ძის ჩვენებით, მოწმეების: ი. რ-ას, პ. მ-ძის, პ. ს-ას, ი. ყ-ის ჩვენებებით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმითა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით.

რაც შეეხება სასჯელს, საკასაციო პალატა თვლის, რომ სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში მიიღო მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება და მას განუსაზღვრა სასჯელის კანონიერი და სამართლიანი ღონისძიება.

გასაჩივრებული განაჩენის კანონიერება სარევიზიო წესით გადამოწმდა მსჯავრდებულების - ჯ. ზ-ასა და რ. კ-შვილის მიმართაც, რომლებსაც საკასაციო საჩივარი არ შეუტანიათ. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განაჩენი მათ მიმართ როგორც ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციის, ისე სასჯელის ნაწილში არის დასაბუთებული.

ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ჯ. ზ-ას მიმართ უნდა გავრცელდეს «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონი, კერძოდ, აღნიშნული კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იგი უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 188-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელის - ჯარიმის 1000 ლარის ოდენობით - მოხდისგან იმის გათვალისწინებით, რომ იმავე კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ამნისტია არ ვრცელდება უკვე გადახდილ იმ ჯარიმაზე, რომელიც შეფარდებულია როგორც ძირითადი სასჯელი; მასვე აღნიშნული კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე სსკ-ის 362-ე მუხლის მეორე ნაწილით დანიშნული სასჯელი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა - უნდა გაუნახევრდეს. მსჯავრდებულ ჯ. ზ-ას საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ» და ამავე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტებით, 143-ე მუხლის მეორე ნაწილის «გ» და ამავე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 363-ე მუხლის მეორე ნაწილით საბოლოო სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს 21 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტით, 567-ე მუხლის პირველი ნაწილით, 568-ე მუხლით და

დაადგინა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ნოემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

«ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებული ჯ. ზ-ა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 188-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელის - ჯარიმის 1000 ლარის ოდენობით - მოხდისაგან, იმის გათვალისწინებით, რომ ამნისტია არ ვრცელდება გადახდილ ჯარიმაზე, რომელიც დანიშნული იყო ძირითადი სასჯელის სახით.

«ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ ჯ. ზ-ას საქართველოს სსკ-ის 363-ე მუხლის მეორე ნაწილით დანიშნული სასჯელი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა - გაუნახევრდეს.

მსჯავრდებულ ჯ. ზ-ას საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ» და ამავე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტებით, 143-ე მუხლის მეორე ნაწილის «გ» და ამავე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 363-ე მუხლის მეორე ნაწილით საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს 21 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში, აგრეთვე, მსჯავრდებულების - გ. ს-ძისა და რ. კ-შვილის მიმართ დანიშნული სასჯელები დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

7. ფალსიფიკაცია

განჩინება

საქმე #2124-აპ

29 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
ლ. მურუსიძე,
მ. ოშხარელი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ჯ. კ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ჯ. კ-მე ამჟამად პატიმრობაში მყოფი, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 21 ივნისის განაჩენით მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა», „ბ» ქვეპუნქტებითა და იმავე კოდექსის 188-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ისეთ დანაშაულთა ჩადენისათვის, როგორცაა სხვისი ნივთის განადგურება გაუფრთხილებლობით და თაღლითობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, რისთვისაც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა:

საქართველოს სსკ-ის 188-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე – ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით, ხოლო სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა», „ბ» ქვეპუნქტების საფუძველზე – თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული მოუხდელი სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, რის შედეგადაც საბოლოოდ მსჯავრდებულ ჯ. კ-მეს სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით და ჯარიმა 2000 ათასი ლარის ოდენობით.

განაჩენის მიხედვით, ჯ. კ-ძის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: ჯ. კ-მე, გასამართლებული იყო რა 2000 წლის 22 ივლისს ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის და შეფარდებული ჰქონდა პირობითი მსჯავრი, არ დაადგა გამოსწორების გზას და გამოსაცდელ ვადაში კვლავ ჩაიდინა დანაშაული, კერძოდ: ჯ. კ-მე ცხოვრობდა ქ. ბათუმში, ნ. დ-ძის ბინაში ქირით. 2005 წლის 29 ივლისს დაუდევრობით, რაც გამოიხატა იმაში, რომ სამზარეულოში არსებული მაცივარი ელექტროქსელში ჩართული ჰქონდა არასწორად, დაზიანებულ შტეფსელში, ხანძარი გაუჩნდა მაცივრის სადენს და იქიდან გავრცელდა სამზარეულოში არსებულ ნივთებზე, რა დროსაც დაზიანდა სამზარეულოს მოპირკეთება და განადგურდა ნივთები, რითაც დაზარალებულ ნ. დ-მეს მიაყენა 850 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

2005 წლის 30 აგვისტოს ჯ. კ-მე დაუკავშირდა ნ. დ-მეს და სთხოვა, რომ დაეტოვებინა იგი მის ბინაში, შეეძინა საშენებლო მასალები მისივე ხარჯებით და გაერემონტებინა ბინა, რომლის ხარჯებს ყოველთვიურად აუნაზღაურებდა, რაზედაც ნ. დ-მე დათანხმდა. ისინი მივიდნენ მაღაზიაში ტაქსით, სადაც ნ. დ-მემ შეიძინა 100 აშშ დოლარის ღირებულების სხვადასხვა საშენებლო მასალა და ტაქსითვე გაატანა ჯ. კ-მეს. ამ უკანასკნელმა, ისარგებლა რა ნ. დ-ძის ნდობით, წინასწარი შეთანხმებით, გამოიძიებინა დაუდგენელ პირთან ერთად დაბრუნდა იმავე მაღაზიაში. მათ უკან დააბრუნეს ნ. დ-ძის კუთვნილი თანხით შეძენილი საშენებლო მასალები, დაიბრუნეს მაღაზიისათვის ნ. დ-ძის მიერ გადახდილი 100 აშშ დოლარი, თაღლითურად მიითვისეს იგი და მიიმალნენ, რითაც დაზარალებულს მიაყენეს 180 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ჯ. კ-ძის დამცველმა, ადვოკატმა დ. კ-მემ, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვდა მსჯავრდებულისათვის სასჯელის შემსუბუქებას შემდეგი მოტივებით:

ჯ. კ-მე აღიარებს და გულწრფელად ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, მან ითანამშრომლა გამოძიებასთან; იგი ხასიათდება დადებითად, არის ორი მცირეწლოვანი შვილის მამა და ოჯახის ერთადერთი მარჩენალი; მისი ოჯახი განიცდის მძიმე მატერიალურ სიდუხჭირეს; მართალია, ის წარსულში ნასამართლევია, მაგრამ ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის.

საჩივარი განიხილა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც 2007 წლის 4 ოქტომბრის განაჩენით მსჯავრდებულ ჯ. კ-ძის მიმართ ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციისა და დანიშნული სასჯელის ნაწილში დატოვა უცვლელად, ამასთან, მას მოხდელი სასჯელის ვადაში ჩაუთვალა 2004 წლის 17 ივლისიდან 22 ივლისამდე მისი დაკავების დრო – 5 დღე.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ჯ. კ-მემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი

ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმ მოტივით, რომ მას არ ჩაუდენია აღნიშნული განაჩენით მისთვის შერაცხული დანაშაული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ჯ. კ-ძის მიმართ და შეამოწმა მისი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს სასჯელის ნაწილში შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა არ ეთანხმება კასატორის მოტივაციას იმის თაობაზე, რომ მას არ ჩაუდენია მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება, ხოლო საქმის ფაქტობრივი გარემოებები სასამართლოს სწორად არ დაუდგენია და არ შეუფასებია, ვინაიდან საქმეშია სასამართლო სხდომაზე ჯ. კ-ძის მიერ მიცემული ჩვენება, რომელშიც იგი დეტალურად აღწერს თავის მიერ ჩადენილი დანაშაულის გარემოებებს, რასაც ადასტურებს დაზარალებულ ნ. დ-ძისა და მოწმეთა ჩვენებები, ხოლო აღნიშნულ მტკიცებულებებს შორის წინააღმდეგობა არ არსებობს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოს განაჩენებით სწორად არის დადგენილი ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომლებიც ჯ. კ-ძის მიერ ჩადენილ დანაშაულს შეეხება, სახეზეა ერთმანეთთან შეთანხმებულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლითაც დადასტურებულია მისი ბრალულობა ჩადენილ ქმედებაში. ამასთან, საკასაციო პალატის აზრით, სასამართლომ ჯ. კ-ძეს ჩადენილი ქმედების სიმძიმისა და მისი პიროვნების გათვალისწინებით შეუფარდა სამართლიანი სასჯელი.

ამავე დროს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ჯ. კ-ძის მიმართ უნდა გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მოქმედება. აღნიშნული კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იგი უნდა გათავისუფლდეს წინა განაჩენითა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 21 ივნისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე მისთვის განსაზღვრული სასჯელის - 2 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან, აგრეთვე საქართველოს სსკ-ის 188-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელის - 2000 ლარის ოდენობით ჯარიმის გადახდისაგან იმ პირობით, თუკი აღნიშნული ჯარიმა ჯ. კ-ძეს არ გადაუხდია მის მიმართ ბათუმის საქალაქო სასამართლოსა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, რადგან „ამნისტიის შესახებ» იმავე კანონის მე-3 მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, ამნისტია არ ვრცელდება გადახდილ ჯარიმაზე, რომელიც დანიშნული იყო ძირითადი სასჯელის სახით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 ოქტომბრის განაჩენში შეტანილ უნდა იქნეს ცვლილება მსჯავრდებულ ჯ. კ-ძის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის პირველი და მე-5 ნაწილებით, 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

დაადგინა:

მსჯავრდებულ ჯ. კ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 ივნისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ ჯ. კ-ძე „ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე მისთვის განსაზღვრული სასჯელის - 2 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის - მოხდისაგან, აგრეთვე საქართველოს სსკ-ის 188-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე ძირითადი სასჯელის სახით შეფარდებული ჯარიმის - 2000 ლარის გადახდისაგან, თუკი მას აღნიშნული ჯარიმა არ გადაუხდია ბათუმის საქალაქო სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოს მიერ მის მიმართ გამოტანილი განაჩენების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

მსჯავრდებულ ჯ. კ-ძეს საბოლოოდ მოსახდელად დარჩეს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა», „გ» ქვეპუნქტების საფუძველზე დანიშნული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში მსჯავრდებულ ჯ. კ-ძის მიმართ დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

8. მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გადაზიდვა

განჩინება

საქმე #592-აპ

9 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. გ-ძის დამცველის, ადვოკატ გ. ო-ნის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 29 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 20 დეკემბრის განაჩენით გ. გ-ძე ამჟამად პატიმარი, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის (2004 წლის 22 ნოემბრის რედაქცია) საფუძველზე და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით. მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 4000 ლარის ოდენობით. «ამინისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, გ. გ-ძე მთლიანად გათავისუფლდა მისთვის დანიშნული ძირითადი სასჯელის მოხდისგან.

განაჩენით გ. გ-ძეს მსჯავრი დაედო მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გადაზიდვისათვის, ჩადენილი დიდი ოდენობით, რაც გამოიხატა შემდეგში: 2004 წლის 22 ნოემბერს, გ. გ-ძე, თავისი კუთვნილი «მერსედის» მარკის ავტომანქანით, ნათესავთან - ი. ჩ-ნთან ერთად, ხარაგაულის რ-ის სოფ. ღორეშადან ბრუნდებოდა თბილისში. გორის რაიონის სოფელ ახალშენის ტერიტორიაზე, გ. გ-ძემ, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან აქციზური მარკის გარეშე უკანონოდ შეიძინა აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული 3260 კოლოფი სიგარეტი «ტროიკა» და 610 კოლოფი სიგარეტი «ნოვოსტი», 2709 ლარის საერთო ღირებულებით, რომლის ნაწილი მან მოათავსა ავტომანქანის საბარგულში, ნაწილი კი ავტომანქანის სალონში. გ. გ-ძემ აღნიშნული სიგარეტები გადაზიდა თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზაზე, რა დროსაც იგი დაკავებულ იქნა პოლიციის მუშაკთა მიერ. შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას გ. გ-ძის კუთვნილი ავტომანქანიდან ამოღებული იქნა 3260 კოლოფი სიგარეტი «ტროიკა» და 610 კოლოფი სიგარეტი «ნოვოსტი», რაც გ. გ-ძემ უკანონოდ გადაზიდა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ გ. გ-ძის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. ო-ნმა. აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გორის რაიონული სასამართლოს განაჩენის გაუქმებასა და საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე გ. გ-ძის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას საქართველოს სსკ-ის მე-200 მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 29 თებერვლის განაჩენით არ დაკმაყოფილდა მსჯავრდებულ გ. გ-ძის დამცველი ადვოკატის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 20 დეკემბრის განაჩენი მის მიმართ დარჩა უცვლელად.

აღნიშნული განაჩენი, საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ გ. გ-ძის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გიორგი ო-ნმა. იგი თავისი საკასაციო საჩივრით ითხოვს გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 20 დეკემბრის განაჩენის გაუქმებას, იმ მოტივით რომ იგი არის უკანონო და დაუსაბუთებელი. კასატორი ასევე ითხოვს გ. გ-ძის ქმედების საქართველოს სსკ-ის მე-200 მუხლის მეორე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტიდან ამავე მუხლის პირველ ნაწილზე გადაკვალიფიცირებასა და გ. გ-ძის გათავისუფლებას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ გ. გ-ძის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულ გ. გ-ძის მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაცია უნდა შეიცვალოს, რადგან იგი არ შეესაბამება საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის კანონმდებლობას. მართალია, მსჯავრდებულ გ. გ-ძის მიერ ქმედების ჩადენისას აქციზური მარკის გარეშე გადაზიდული აქციზური საქონელი დიდ ოდენობად ითვლებოდა, თუ მისი ღირებულება აღემატებოდა 2000 ლარს, მაგრამ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლში 2005 წლის 30 ივნისის კანონით შეტანილი ცვლილების შედეგად ზემოხსენებული

დიდი ოდენობის ქვედა ზღვრად განისაზღვრა 5000 ლარი, რაც იმას ნიშნავს, რომ მსჯავრდებულ გ. გ-ძის ქმედება აღარ ითვლება ჩადენილად დიდი ოდენობით. აღნიშნული გარემოების გამო მისი ქმედება საქართველოს სსკ-ის მე-200 მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტიდან (1999 წლის 22 ივლისის რედაქცია) უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის მე-200 მუხლის პირველ ნაწილზე (1999 წლის 22 ივლისის რედაქცია), ვინაიდან საქართველოს სსკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება იმ კანონით, რომელიც მოქმედებდა ქმედების ჩადენის დროს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უსაფუძვლოა სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ვინაიდან საქართველოს სსკ-ის მე-200 მუხლის პირველი ნაწილის სანქცია შეიცვალა და სასჯელი გამკაცრდა, ამიტომ გ. გ-ძის ქმედების კვალიფიკაცია, რომელიც მოცემულია პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში, უნდა დარჩეს უცვლელად.

კანონის ასეთი განმარტება არ შეესაბამება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-2 და მე-3 მუხლებით დადგენილ პრინციპებს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ განხილულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოიყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოიყენებინა, რაც, საქართველოს სსკ-ის 562-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტისა და 564-ე მუხლის «ა», «ბ» ქვეპუნქტების თანახმად განაჩენის შეცვლის საფუძველია.

ამავე დროს, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის პოზიციას მსჯავრდებულ გ. გ-ძის მიერ ჩადენილი ქმედების ხანდაზმულობის თაობაზე, ვინაიდან სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშება დანაშაულის ჩადენის დღიდან პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემამდე და არა განაჩენის გამოტანამდე, როგორც კასატორი მიუთითებს. მსჯავრდებულმა გ. გ-მემ ქმედება ჩაიდინა 2004 წლის 22 ნოემბერს, ხოლო იგი ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მისცეს 2006 წლის 13 ნოემბერს, ე.ი. აღნიშნული ქმედების ხანდაზმულობისათვის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ორწლიანი ვადის ამოწურვამდე, რის გამოც, მოცემულ შემთხვევაში დანაშაულის ხანდაზმულობაზე საუბარი უსაფუძვლოა.

საქმეში არსებული მასალებით უდავოდ არის დადასტურებული მსჯავრდებულ გ. გ-ძის მიერ საქართველოს სსკ-ის მე-200 მუხლის პირველი ნაწილით (1999 წლის 22 ივლისის რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა. იმის გათვალისწინებით, რომ გ. გ-მე პირველად არის სამართალში, ხოლო მისი პიროვნება ხასიათდება დადებითად, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო მას ძირითადი სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლის ვადით, რომლის მოხდისგან იგი უნდა გათავისუფლდეს «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის საფუძველზე.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 29 თებერვლის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილებები მსჯავრდებულ გ. გ-ძის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

დაადგინა:

მსჯავრდებულ გ. გ-ძის დამცველის, ადვოკატ გ. ო-ნის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 29 თებერვლის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილებები: მსჯავრდებულ გ. გ-ძის ქმედება საქართველოს სსკ-ის მე-200 მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტიდან (1999 წლის 22 ივლისის რედაქცია) გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის მე-200 მუხლის პირველ ნაწილზე (1999 წლის 22 ივლისის რედაქცია) და ამ დანაშაულისათვის მას ძირითად სასჯელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, ხოლო «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის საფუძველზე იგი გათავისუფლდეს აღნიშნული სასჯელის მოხდისგან.

განაჩენი სხვა ნაწილში მსჯავრდებულ გ. გ-ძის მიმართ დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



**9. ყალბი საანგარიშო ბარათის დამზადება
გასაღების მიზნით**

განჩინება

საქმე #1937-აპ

5 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი
შემადგენლობით:**

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- მ. გოგიშვილი,**
- ნ. კვანტალიანი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ თ. დ-შვილის დამცველის, ადვოკატ ი. გ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 3 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

დმანისის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 20 თებერვლის განაჩენით თ. დ-შვილი ცნობილ იქნა ბრალეულად და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებისა და მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით, ხოლო იმავე კოდექსის 210-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, რის გამოც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) საფუძველზე მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით.

განაჩენის მიხედვით, თ. დ-შვილს მსჯავრი დაედო მის მართლზომიერ მფლობელობასა და გამგებლობაში არსებული სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მითვისებისათვის, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ასევე ყალბი საანგარიშსწორებო ბარათების დამზადებისათვის გასაღების მიზნით, გასაღებისა და გამოყენებისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში: 1974 წლიდან 2005 წლის ოქტომბრამდე დმანისის რაიონის სოფელ განთიადში მცხოვრები თ. დ-შვილი მუშაობდა დმანისის სატყეო მეურნეობის მოლარედ, რომლის სამსახურებრივ ფუნქციებში შედიოდა სატყეო მეურნეობის მიერ რეალიზებული ხე-ტყიდან შემოსული თანხების აღრიცხვა სალაროში და შემდგომ სალაროს გასავლის ორდერებით გადაგზავნა სს «სახალხო ბანკის» დმანისის ფილიალში, ქვემო ქართლის რეგიონული ხაზინის ანგარიშზე, საიდანაც შემდეგ ხდებოდა ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებზე აღრიცხვა. თ. დ-შვილმა აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობისას განიზრახა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ყალბი საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება, რათა გასაღების გზით მითვისებინა თავის მართლზომიერ მფლობელობასა და გამგებლობაში არსებული დიდი ოდენობით თანხა. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, 2000 წლის დასაწყისიდან 2005 წლის 6 ივნისამდე მას დმანისის სატყეო მეურნეობის სალაროში შემოსული თანხები შეჰქონდა სს «სახალხო ბანკის» ანგარიშზე შემცირებული სახით, კერძოდ, ბანკის სალაროს შემოსავლის ორდერების მეორე ეგზემპლარში, რომელიც ივსება ხელით სპეციალურ ასლის გადასაღებ ქაღალდზე და რომლის პირველი პირი რჩება ბანკში, იგი ასწორებდა ან ამატებდა ციფრებს და ნაცვლად იმისა, რომ შეეტანა მთლიანი თანხა, ბანკის ანგარიშზე შეჰქონდა გარკვეული ნაწილი, ხოლო დარჩენილ ნაწილებს ითვისებდა. მან 2000 წლიდან 2005 წლის ექვსი თვის ჩათვლით აღნიშნული ხერხით სულ მითვისა 18831.42 ლარი, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. სასამართლო-საბუღალტრო რევიზიის 2006 წლის 12 ივნისის აქტით: 2000 წლის დასაწყისიდან 2005 წლის 6 თვის ჩათვლით დმანისის სატყეო მეურნეობის ბუღალტერიაში არსებული ბუნებრივი რესურსების გადასახადის სალაროს გასავლისა და ბანკის შემოსავლის ორდერებით მიხედვით, სპეციალურ სალარო ანგარიშზე უნდა შემოსულიყო 104880.78 ლარი, ხოლო ბანკიდან შემოსავლის ორდერები, ქვემო ქართლის რეგიონული ხაზინიდან და დმანისის საგადასახადო ინსპექციიდან წარმოდგენილი დოკუმენტებით შემოსულმა თანხამ შეადგინა 86049.36 ლარი, ე.ი. 18831 ლარით ნაკლები.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ თ. დ-შვილის დამცველმა, ადვოკატმა ი. გ-შვილმა, რომელიც საჩივრით ითხოვდა დმანისის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 20 თებერვლის განაჩენში ცვლილების შეტანას, მსჯავრდებულ თ. დ-შვილისათვის სასჯელის შემსუბუქებას, კერძოდ კი სასჯელის დარჩენილი ნაწილის ჩათვლას პირობით მსჯავრად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 28 მარტის განაჩენით სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რის შედეგადაც დმანისის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 20 თებერვლის განაჩენი მსჯავრდებულ თ. დ-შვილის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ თ. დ-შვილის დამცველმა, ადვოკატმა ი. გ-შვილმა, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვდა განაჩენის გაუქმებასა და საქმის გაგზავნას სააპელაციო სასამართლოში ახალი სასამართლო განხილვისათვის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 17 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივრის მოთხოვნა დაკმაყოფილდა, რის შედეგადაც გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 28 მარტის განაჩენი მსჯავრდებულ თ. დ-შვილის მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაგზავნა იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

მსჯავრდებულ თ. დ-შვილის დამცველი, ადვოკატი ი. გ-შვილი ითხოვდა საქმის განხილვას ზეპირი მოსმენით, მსჯავრდებულისა და პროკურორის მონაწილეობით, მათ შორის საპროცესო შეთანხმების დასამტკიცებლად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 3 ოქტომბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რის შედეგადაც დმანისის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 20 თებერვლის განაჩენი მსჯავრდებულ თ. დ-შვილის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ თ. დ-შვილის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ი. გ-შვილმა, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 3 ოქტომბრის განაჩენის შეცვლას მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ, დმანისის რაიონული სასამართლოს მიერ განსაზღვრული სასჯელის 1/4 -ის პირობით ჩათვლას, შესაბამისი გამოსაცდელი ვადის დანიშვნით იმ მოტივით, რომ მსჯავრდებული პირველად სასამართლოში, ხასიათდება დადებითად, არის ავადმყოფი, ქვრივი, ნებაყოფილობით აანაზღაურა სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანი, აღიარებს და ინანიებს ჩადენილ ქმედებას, რომელიც ჩაიდინა უკიდურესი გაჭირვების გამო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ თ. დ-შვილის მიმართ, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მოუსმინა მხარეებს, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სისხლის სამართლის საქმის მასალებით უდავოდ არის დადასტურებული, რომ მსჯავრდებულმა თ. დ-შვილმა ნამდვილად ჩაიდინა სასამართლოს განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება, რასაც თვით მსჯავრდებულები არ უარყოფს.

რაც შეეხება სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ თ. დ-შვილისათვის დანიშნულ სასჯელს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ იგი განსაზღვრულია მსჯავრდებულის პიროვნების, მის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმისა და დამდგარი შედეგის გათვალისწინებით, რის გამოც ვერ ჩაითვლება უსამართლო ან ზედმეტად მკაცრ ღონისძიებად. მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი.

ამავე დროს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ თ. დ-შვილის მიმართ უნდა გავრცელდეს «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მოქმედება, კერძოდ, აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, მას საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით - უნდა გაუნახევრდეს და ამ ნაწილში სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, შესაბამისად, მას უნდა შეუმცირდეს გასაჩივრებული განაჩენით განსაზღვრული საბოლოო სასჯელის ზომა.

ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 3 ოქტომბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ თ. დ-შვილის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

დაადგინა:

მსჯავრდებულ თ. დ-შვილის დამცველის, ადვოკატ ი. გ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 3 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ თ. დ-შვილს «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით - გაუნახევრდეს და ამ ნაწილში მას სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, შესაბამისად, თ. დ-შვილს აღნიშნული

განაჩენით განსაზღვრული საბოლოო სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით - შეუმცირდეს 1 წლით და მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

10. დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში

გადასახადისათვის თავის არიდება

განჩინება

საქმე #1771-აპ

3 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშარელი (თავმჯდომარე),

ლ. მურუსიძე,

დ. სულაქველიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. შ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. კ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 17 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 27 ივნისის განაჩენით ნ. შ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 218-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით და შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 5 წლისა და 6 თვის ვადით. ამავე განაჩენით დაკმაყოფილდა სამოქალაქო სარჩელი და ნ. შ-ძეს სახელმწიფოს სასარგებლოდ დაეკისრა 113,969 ლარის გადახდა. საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისა და სამოქალაქო სარჩელის ნაწილში განაჩენის აღსასრულებლად მიქცევის შემდეგ გაუქმდება ყადაღა, დადებული თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის 2006 წლის 10 სექტემბრის ბრძანებით ნ. შ-ძის კუთვნილ ავტომანქანაზე «ფოლკსვაგენ გოლფი».

ნ. შ-ძეს მსჯავრი დაედო იმაში, რომ მან ჩაიდინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადისათვის განზრახ თავის არიდება, რაც გამოიხატა შემდეგში:

2004 წლის აგვისტოში ნ. შ-ძემ თავის ნაცნობებთან, ვ. ბ-ძესა და ვ. კ-ძესთან ერთად, დააფუძნა შპს «კომპანია ნიკე» (ს\ნ 206156176), რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა ნებისმიერი საქონლის ექსპორტ-იმპორტი. ფირმის დირექტორად დაინიშნა ნ. შ-ძე. იყო რა შპს «კომპანია ნიკე» დირექტორი, ნ. შ-ძემ განიზრახა ფირმის საგადასახადო ინსპექციაში დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის გარეშე წარემართა ეკონომიკური საქმიანობა და თავი აერიდებინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადის გადახდისათვის. ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანის მიზნით იგი დანაშაულებრივად დაუკავშირდა დიდი ოდენობით გადასახადისათვის თავის არიდებისათვის პა-სუხისგებაში მიცემულ და მიმალვაში მყოფ ა. მ-ასა და ი. მ-ს. ისინი შეთანხმდნენ, რომ მოეხდინათ აზერბაიჯანელ მოვაჭრეთა საქონლის განზაჩება, რის გამოც ფირმას პირად ბარათზე დღგ-ს ნაწილში დაუგროვდებოდა აქტივები და წარმოემოზოდა დიდი ოდენობით ზედმეტობა, ხოლო შემდეგ მითითებული აქტივები გაეყიდათ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების მეშვეობით, მათში ყალბი მონაცემების შეტანით.

ნ. შ-ძემ, მინდობილობისა და სათანადო პროცედურების გარეშე ფირმის ბეჭედი გადასცა ა. მ-ას, ხოლო საბუღალტრო საქმიანობა, ასევე ბრძანების გარეშე, მიანდო ი. მ-ს. ყველა ოპერაცია ხორციელდებოდა ნ. შ-ძის მითითებით და მონაწილეობით. საზოგადოებამ 2004-2005 წლებში განახორციელა 667964 ლარის საქონლის იმპორტი. წინასწარი გამოძიების პერიოდში, ფინანსური პოლიციის სპეციალურ გამოკვლევათა და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტის მიერ შპს «კომპანია ნიკეში» ჩატარებული დოკუმენტური რევიზიის 2006 წლის 24 აგვისტოს აქტით, საზოგადოებას ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებით დაერიცხა 495812 ლარი, მათ შორის ძირითადი გადასახადი - 113969 ლარი.

აღნიშნული აქტის საფუძველზე ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2006 წლის 28 სექტემბრის #05-490-ფ საგადასახადო მოთხოვნა 2006 წლის 25 ოქტომბერს ჩაჰბარდა ნ. შ-ძეს, თუმცა მან არ გამოიყენა სსკ-ის 218-ე მუხლის შენიშვნის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული უფლება და 45 დღის სამუშაო დროის ვადაში არ გადაიხადა გადასახდელად დაკისრებული ძირითადი თანხა - 113969 ლარი.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 17 სექტემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ ნ. შ-ძის ინტერესების დამცველი, ადვოკატი დ. კ-ძე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და ნ. შ-ძის გამართლებას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო, დაუსაბუთებელი; საქმეზე დარღვეულია საქართველოს სსკ-ის 539-ე, 563-ე მუხლების მოთხოვნები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

განაჩენით მსჯავრდებულ ნ. შ-ძის მიმართ შერაცხული ბრალდება დადასტურებულია სასამართლო სხდომაზე დაკითხული მოწმეების - ი. მ-ისა და ვ. კ-ძის ჩვენებებით, მსჯავრდებულ ა. მ-ას ჩვენებებით, მოწმე ქ. აკიშაიას ჩვენებითა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში გამოკვლეული მტკიცებულებებით უტყუარადაა დადასტურებული ნ. შ-ძის მიმართ წარდგენილი ბრალდება და თვლის, რომ მის ქმედებას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

პალატა მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულ ნ. შ-ძის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით, ასევე ჩადენილი დანაშაულის მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროების მხედველობაში მიღებით, საქალაქო სასამართლოსა და სააპელაციო პალატის განაჩენებით ნ. შ-ძისათვის შეფარდებული სასჯელი სამართლიანი და კანონიერი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების საფუძველზე მსჯავრდებულ ნ. შ-ძეს საქართველოს სსკ-ის 218-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი - 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა - უნდა გაუნახევრდეს და მოსახდელად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 2 წლისა და 9 თვის ვადით.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი, მეორე პუნქტებით და

დაადგინა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 17 სექტემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

«ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების საფუძველზე მსჯავრდებულ ნ. შ-ძეს საქართველოს სსკ-ის 218-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი - 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა - გაუნახევრდეს და მოსახდელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 2 წლისა და 9 თვის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საბაჟო წესების დარღვევის მცდელობა

განჩინება

საქმე #2179-აბ

20 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- მ. ოშხარელი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. ჭ-ძისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. შ-შვილის, ასევე - მსჯავრდებულ გ. ქ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ჰ. ბ-

შვილის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ნოემბრის განაჩენზე გ. ქ-შვილისა და დ. ჭ-ძის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 4 ივლისის განაჩენით: დ. ჭ-ძე და გ. ქ-შვილი გამართლდნენ საქართველოს სსკ-ის მე-19,214-ე მუხლის მე-6 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში; ისინი ცნობილ იქნენ დამნაშავეებად საქართველოს სსკ-ის მე-19,214-ე მუხლის მე-4 ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინეს საქართველოს საბაჟო საზღვარზე შხამიანი ნივთიერების წესის დარღვევით გადატანის მცდელობა ჯგუფურად, რაც გამოიხატა შემდეგში:

გ. ქ-შვილი დანაშაულებრივად დაუკავშირდა დ. ჭ-ძეს და დაუდგენელ პირს და განიზრახეს, შხამიანი ნივთიერების - ვერცხლისწყლის საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადატანა თურქეთის რესპუბლიკაში რეალიზაციის მიზნით, რისთვისაც ავტომანქანა „ოპელ-ვექტრას», რომელსაც მართავდა ე. ჯ-ა საბარგულში მოათავსეს ლითონის ბიდონი, 10 კილოგრამი და 400 გრამი შხამიანი ნივთიერება - ლითონური ვერცხლისწყალი, შესანიღბად ზემოდან დააყარეს ვაშლი და 2006 წლის 12 დეკემბერს გაემგზავრნენ ქ. ბათუმის მიმართულებით, სადაც უნდა შეხვედროდნენ მყიდველს, რომელიც გადაიყვანდა საზღვარზე და შემოწმების შემდეგ შეიძენდა ვერცხლისწყალს. მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო დანაშაულებრივი განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს, ვინაიდან, მიუახლოვდნენ რა სოფელ სარფში განთავსებულ საბაჟო გამშვებ პუნქტს და აპირებდნენ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთას, რა დროსაც უნდა მოეხდინათ დაუდგენელ პირზე 87 525 ლარისა და 48 თეთრის ღირებულების შხამიანი ნივთიერების - 10 კილოგრამი და 400 გრამი ლითონური ვერცხლისწყლის რეალიზაცია, ისინი დააკავეს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის მუშაკებმა და ადგილზე ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ავტომანქანის საბარგულიდან ამოიღეს მათ მიერ სარეალიზაციოდ გამზადებული შხამიანი ნივთიერება - ლითონური ვერცხლისწყალი.

აღნიშნული ქმედებისათვის დ. ჭ-ძესა და გ. ქ-შვილს განესაზღვრათ 6-6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2006 წლის 12 დეკემბრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულების ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა - მ. შ-შვილმა და ჰ. ბ-შვილმა. მათ ითხოვეს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულთა მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ნოემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებულ გ. ქ-შვილის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ჰ. ბ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონოა, შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც მოწმის სახით დაკითხულმა ე. ჯ-ამ განმარტა, ის მსახურობდა თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციაში და ყველაფერი უნდა გაეკეთებინა, რათა გ. ქ-შვილისა და დ. ჭ-ძის ქმედებაში ყოფილიყო დანაშაულის ნიშნები; გ. ქ-შვილის ჩვენებით, ვერცხლისწყლის საზღვარგარეთ გატანასთან დაკავშირებით არასოდეს არავისთან საუბარი არ ჰქონია; დაკავების შემდეგ პირადად მას აღმოაჩნდა სამი ლარი, პასპორტი ან სხვა რაიმე სახის საბუთი არც მას და არც დ. ჭ-ძეს არ ჰქონიათ; დ. ჭ-ძის ჩვენებით, არც მას ჰქონია ვინმესთან საუბარი შხამიანი ნივთიერების საზღვარგარეთ გატანაზე; მან ე. ჯ-ას სთხოვა დახმარება ამ ნივთიერების სახელმწიფოსთვის ჩაბარებაში; ვერცხლისწყალი ე. ჯ-ას უნდა გაეყიდა ბათუმში; საქმეში არსებული სატელეფონო საუბრების ჩანაწერებიც ადასტურებს, რომ მსჯავრდებულები ე. ჯ-ამ მოტყუებით ჩაიყვანა ბათუმში, რისი მიზანიც იყო მათი მიყვანა საბაჟო პუნქტთან, რათა მიეღოთ დანაშაულის ჩადენის მცდელობა; ეს არის დანაშაულის პროვოკაცია; საქმის მასალებით უტყუარად დგინდება, რომ გ. ქ-შვილის ქმედება არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, რადგან მან ვერცხლისწყლის დ. ჭ-ძესთან არსებობის შესახებ დაუყოვნებლივ განუცხადა სამხედრო პოლიციის ჩინოსანს - ე. ჯ-ას, რომლის პირდაპირ მოვალეობას წარმოადგენდა დანაშაულის აღკვეთა-აცილება; ასევე უტყუარადაა დადასტურებული, რომ დ. ჭ-ძეს და გ. ქ-შვილს ამ ნივთიერების საზღვარგარეთ გატანა კი არ სურდათ, არამედ უნდოდათ საქართველოში გაყიდვა, რაც დასჯადი არ არის; მოგვიანებით მათ ამ განზრახვაზეც აიღეს ხელი; მსჯავრდებულებს ვერცხლისწყლის თურქეთში გატანა რომ სდომებოდათ, მათ თან ექნებოდათ პასპორტები ან სხვა საბუთები; ისინი ვერც მებაჟების მოსყიდვას შეძლებდნენ, რადგან თან მხოლოდ 3 ლარი ჰქონდათ; ვერავინ ახსნა, თუ ვის უნდა ეყიდა ვერცხლისწყალი, რომელსაც არ ჰქონდა რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტი, ასეთ პირობებში კი მასში 90 ათას ლარს ვინ გადაიხდიდა, გაურკვეველია; იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებულებს მართლაც სურდათ ამ ნივთიერების გატანა საზღვარგარეთ, მაშინ ადგილი აქვს უმცერების კლასიკურ მაგალითს, რაც, სსკ-ის მე-20 მუხლის თანახმად, დასჯადი არ არის.

გარდა აღნიშნულისა, ადვოკატი ჰ. ბ-შვილი საკასაციო საჩივარში ასევე მიუთითებს, რომ ე. ჯ-ას უნდა დაეკავებინა დ. ჭ-ძე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობდა სათანადო მტკიცებულებები, ხელმძღვანელობას დადგენილი წესით ის უნდა ჩაერთო დანაშაულებრივ ჯგუფში; მოცემულ შემთხვევაში ე. ჯ-ას მხრიდან ადგილი აქვს დანაშაულის პროვოკაციას (სსკ-ის 145-ე მუხლი); დ. ჭ-ძესა და გ. ქ-შვილს ძალადობით, მუქარითა და მოტყუებით ათქმევინეს უარი ადვოკატზე; საქმეზე წინასწარი

გამოიება და სასამართლო განხილვა მიმდინარეობდა საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის, სსკ-ის მე-10, მე-18, მე-19, მე-20, 496-ე და 503-ე მუხლების მოთხოვნათა დარღვევით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი ჰ. ბ-შვილი ითხოვს საქმეზე საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ», „გ», „დ» ან „ე» ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებას.

მსჯავრდებულ დ. ჭ-ძის ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. შ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონოა, შემდეგ გარემოებათა გამო:

დ. ჭ-ძემ გ. ქ-შვილს შეატყობინა, რომ აპირებდა ვერცხლისწყლის სახელმწიფოსათვის ჩაბარებას, მაგრამ ე. ჯ-ამ გადაარწმუნა ისინი, რომ ამ ნივთიერების გაყიდვით არ ჩაიდინდნენ დანაშაულს, გამოიყენა მათი უცოდინარობა და უბიძგა დანაშაულისაკენ, რაც დანაშაულის პროვოკაციაა; საქმის მასალებით უტყუარადაა დადასტურებული, რომ დ. ჭ-ძეს არ ჰქონდა პასპორტი, რომლის გარეშეც ის ვერ შეძლებდა თურქეთში გადასვლას, თუმცა ამის მცდელობასაც კი არ ჰქონია ადგილი; დ. ჭ-ძეს არ ჩაუდენია არანაირი დანაშაული; ის არის ლოგინზე მიჯაჭვული ავადმყოფი დედისა და მოხუცი მამის ერთადერთი მარჩენალი; პირველადაა სამართალში და ხასიათდება დადებითად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი მ. შ-შვილი ითხოვს განაჩენის გაუქმებას, დ. ჭ-ძის გამართლებას და პატიმრობიდან დაუყოვნებლივ განთავისუფლებას ან მისი ქმედების სსკ-ის 214-ე მუხლის მე-4 ნაწილიდან სსკ-ის 249-ე მუხლზე გადაკვალიფიცირებას.

მსჯავრდებული დ. ჭ-ძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია, რადგან სახეზეა ქმედების არასწორი კვალიფიკაცია; დარღვეულია საპროცესო კანონმდებლობა; განაჩენი არ ემყარება მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას; ყველა ეჭვი უნდა გადაწყვეტილიყო მსჯავრდებულების სასარგებლოდ; საქმის მასალები არათუ დანაშაულის მცდელობას, განზრახვასაც კი ვერ ადასტურებენ; მისი და გ. ქ-შვილის ქმედება დანაშაულის ნიშნებს არ შეიცავდა, რასაც ისიც ადასტურებს, რომ მათ ფული და პასპორტები თან არ ჰქონიათ; ეს არის ე. ჯ-ას მხრიდან დანაშაულის პროვოკაციის მცდელობა; დანაშაულის მცდელობისათვის დანიშნული სასჯელის ვადა კანონმდებლობით არ უნდა ყოფილიყო სსკ-ის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელის ვადის სამ მეოთხედზე მეტი; მოცემულ შემთხვევაში ეს იყო 6 წელი.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მსჯავრდებული დ. ჭ-ძე ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 12 ნოემბრის განაჩენის გაუქმებას და გამართლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ისინი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა აღნიშნავს, რომ ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული კასატორთა მითითება დანაშაულის პროვოკაციის შესახებ.

თავად მსჯავრდებულმა დ. ჭ-ძემ სასამართლოს განუმარტა, რომ ჰქონდა ვერცხლისწყალი და მისი რეალიზაციისათვის დახმარება სთხოვა გ. ქ-შვილს. ამ უკანასკნელმა გააცნო ე. ჯ-ა. დ. ჭ-ძის განცხადებით, იგი და გ. ქ-შვილი მიხვდნენ, რომ დანაშაულს სჩადიოდნენ, ამიტომ ბოლოს გადაწყვიტეს ვერცხლისწყლის ჩაბარება.

მოწმე ე. ჯ-ამ განმარტა, რომ დაუკავშირდა გ. ქ-შვილი და უთხრა, რომ დ. ჭ-ძეს ჰყავდა ვერცხლისწყლის კლიენტი და სურდა ამ ნივთიერების სახელმწიფო საზღვარზე გადატანა. საუბარი არ ყოფილა ვერცხლისწყლის სამართალდამცავი ორგანოებისათვის ჩაბარებაზე.

მოწმეების - ზ. შ-ძისა და გ. ბ-ძის ჩვენებებით ირკვევა, რომ ჩხრეკისას ავტომანქანაში მყოფი ორი პირის განცხადებით, ისინი ვერცხლისწყლის რეალიზებას აპირებდნენ თურქეთში.

დადგენილია, რომ დ. ჭ-ძისა და გ. ქ-შვილისაგან ამოღებული ლითონური ვერცხლისწყალი წარმოადგენს შხამიან ნივთიერებას.

საქმეში არსებული მასალებით, რომლებიც სააპელაციო პალატამ სწორად შეაფასა, უდავოდ დადგენილია, რომ დ. ჭ-ძემ და გ. ქ-შვილმა ჩაიდინეს მათთვის ბრალად შერაცხული ქმედება. ამასთან, მატერიალური კანონი სწორადაა გამოყენებული, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა.

პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განაჩენი კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია, მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს, მაგრამ უნდა შეიცვალოს «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, კერძოდ, მსჯავრდებულებს უნდა გაუნახვერდეთ სსკ-ის მე-19, 214-ე მუხლის მე-4 ნაწილით დანიშნული სასჯელები - 6-6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლით და

დაადგინა:

მსჯავრდებულ დ. ჭ-ძის და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. შ-შვილისა და მსჯავრდებულ გ. ქ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ჰ. ბ-შვილის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ნოემბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულთა სასიკეთოდ: «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, დ. ჭ-ძესა და გ. ქ-შვილს გაუნახევრდეთ სისხლის სამართლის კოდექსის მე-19,214-ე მუხლის მე-4 ნაწილით დანიშნული სასჯელები - 6-6 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ განესაზღვროთ 3-3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად განჩინება საბოლოო და არ საჩივრდება.

11. ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეტენა, შენახვა

განჩინება

საქმე #1054-აპ

5 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ზ. გ-ნის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 8 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

მესტიის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 20 ნოემბრის განაჩენით:

ზ. გ-ნს მოეხსნა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მესამე ნაწილით წარდგენილი ბრალდება და ამ ნაწილში გამართლდა.

ზ. გ-ნი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მეორე ნაწილით - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, 109-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტით - 14 წლით თავისუფლების აღკვეთა, 237-ე მუხლის პირველი ნაწილით - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა. ზ. გ-ნს სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 8 აგვისტოდან.

ბ. გ-ნი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 375-ე მუხლით - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მეორე ნაწილით - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 151-ე მუხლით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, 179-ე მუხლის პირველი ნაწილით - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, 260-ე მუხლის პირველი ნაწილით - 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 20 წლით თავისუფლების აღკვეთა. ბ. გ-ნს სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 8 აგვისტოდან.

ს. გ-ნი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 375-ე მუხლით - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. ს. გ-ნს სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 8 აგვისტოდან.

ლ. გ-ნი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 24,109-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მიესაჯა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა უნდა დაეწყო დაკავების დღიდან.

საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებულ ბ. გ-ნს უნდა ჩამოერთვას 107 ცალი 5,45X39მმ კალიბრის ვაზნა, „აკ-74" #1351679 «კალაშნიკოვის» კონსტრუქციის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი 20 ვაზნით, რომელიც ინახება შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარ სამმართველოში და უსასყიდლოდ გადაეცეს სახელმწიფოს. მასვე უნდა ჩამოერთვას სამხედრო

დანიშნულების მოსახლამი, სამხედრო დანიშნულების ჟილეტი და მუქი ფერის ე.წ. „კაპიუშონიანი» მოსახლამი და უსასყიდლოდ გადაეცეს სახელმწიფოს. ბ. გ-ნის ბინიდან ამოღებულ 92 გრამ ნედლ „მარიხუანას» უნდა გაუკეთდეს კონფისკაცია და შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს შსს შესაბამის სამსახურს.

მსჯავრდებულ ზ. გ-ნის ბინიდან ამოღებულ, აწ გარდაცვლილ ჯ. ც-ს „მაკაროვის» სისტემის #რშ5019 ტაბელური იარაღი, რომელიც ინახება შს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარ სამმართველოში, შემდგომი რეაგირებისათვის უნდა გაეგზავნოს შს სამინისტროს შესაბამის სამსახურს.

მსჯავრდებულ ს. გ-ნის ბინიდან ამოღებული 137,62X39მმ კალიბრიანი ვაზნა უსასყიდლოდ უნდა ჩამოერთვას და გადაეცეს სახელმწიფოს.

საქმეზე ნივთმტკიცებად დართული სამთვლიანი ოქროს ბეჭედი, რომელიც ინახება შს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარ სამმართველოში, უნდა დაუბრუნდეს დაზარალებულ მ. ბ-ს.

საქმეზე ნივთმტკიცებად დართული, ელემენტზე მომუშავე მაჯის საათი, რომელიც ინახება შს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარ სამმართველოში, უნდა დაუბრუნდეს დაზარალებულ ვ. ბ-ს.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულების - ზ., ბ., ს. და ლ. გ-ნების მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2005 წლის 22 თებერვალს ზ. გ-ნთან სოფ. ... მდებარე საცხოვრებელ სახლში დაბადების დღის მისალოცად მივიდა მეზობლად მცხოვრები ლ. გ-ნი. ოჯახში ამ დღის აღსანიშნავად გაშლილი იყო სუფრა. ზ. და ლ. გ-ნებმა მიიღეს ალკოჰოლური სასმელი - არაყი და დათვრნენ. ქეიფის დროს, ტელევიზორის ყურებისას, ზ. და ლ. გ-ნებმა შეიტყვეს ქ. თბილისში სამართალდამცავი ორგანოების მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად ლ. გ-ნის ნათესავის - ე. ა-ძის ლიკვიდაციის შესახებ. ამ დროს ლ. გ-ნმა წააქეზა და დაიყოლია ზ. გ-ნი, შური ეძიათ სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებზე და ამ მიზნით ჩაედინათ პოლიციის რომელიმე თანამშრომლის მკვლელობა. მათთვის ცნობილი იყო, რომ მეზობლად მცხოვრები ვ. კ-ნის საცხოვრებელ სახლში დროებით ცხოვრობდა ... რაიონული განყოფილების, ბეჩოს ქვეანყოფილების უფროსის მოადგილე ჯ. ც-ა და გადაწყვიტეს მისი განზრახ მკვლელობა. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ზ. გ-ნმა თავის საცხოვრებელ სახლში აიღო მის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილ-შენახული „მაკაროვის» სისტემის პისტოლეტი, მისთვის განკუთვნილი საბრძოლო ვაზნებით და ლ. გ-ნთან ერთად გავიდა სახლიდან. ისინი მივიდნენ მეზობლად მცხოვრებ ბ. გ-ნის საცხოვრებელ სახლში, სადაც ასევე იმყოფებოდა ს. გ-ნი. ზ. გ-ნმა მას გააცნო თავიანთი განზრახვა ჯ. ც-ას მკვლელობის ჩადენის შესახებ და შესთავაზა შურისძიების აღსრულებაში მონაწილეობა. აღნიშნულის შემდეგ ოთხივენი გავიდნენ ბ. გ-ნის სახლიდან და გაემართნენ ჯ. ც-ას დროებითი საცხოვრებელი სახლის მიმართულებით. სახლში შევიდა პისტოლეტით შეიარაღებული ზ. გ-ნი, ხოლო დანარჩენები გაჩერდნენ ქუჩაში. ზ. გ-ნმა შურისძიების მიზნით, ჯ. ც-ას სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, ამოიღო თანაქონი პისტოლეტი და ორჯერ ისროლა მისი მიმართულებით. ტყვიები ჯ. ც-ას მოხვდა გულ-მკერდისა და თავის არეში, რის შედეგადაც იგი უგონოდ დაეცა იატაკზე და ადგილზე გარდაიცვალა. ამის შემდეგ ზ. გ-ნმა მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით, აიღო ჯ. ც-ას ტაბელური, „მაკაროვის» სისტემის პისტოლეტი, მისთვის განკუთვნილი საბრძოლო ვაზნებით და, თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანაში დარწმუნებული, გავიდა ეზოში. იქ მყოფ ლ. გ-ნს, ბ. გ-ნსა და ს. გ-ნს უთხრა „სისხლი ავიღეთო», რის შემდეგაც მათ დატოვეს იქაურობა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. ზ. გ-ნმა დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე დღეში, ოჯახთან ერთად, დატოვა სოფ. ... და საცხოვრებლად გადავიდა საგარეჯოს რაიონის სოფ. ...; 2007 წლის 8 აგვისტოს საქართველოს შს სამინისტროსა და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა სოფ. ... დააკავეს ზ. გ-ნი, რომლის საცხოვრებელი სახლიდან ამოიღეს მის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით დაუფლებული, ჯ. ც-ას ტაბელური „მაკაროვის» სისტემის პისტოლეტი, მჭიდითა და ერთი საბრძოლო ვაზნით.

ბ. გ-ნმა, რომლისთვისაც ცნობილი იყო ზ. გ-ნისა და ლ. გ-ნის მიერ განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის - ჯ. ც-ას დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის შესახებ, პოლიციის თანამშრომლებს დაუმალა ჩადენილი დანაშაული, რითაც ჩაიდინა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვა წინასწარ შეუპირებლად. მანვე გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა ტექნიკურად გამართული და გასროლისათვის ვარგისი «კალაშნიკოვის» კონსტრუქციის 5,45 მმ კალიბრიანი «აკ-74» სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, მისთვის განკუთვნილი 5,45X39მმ კალიბრიანი საბრძოლო ვაზნებით, რომლებსაც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა და ატარებდა დროგამოშვებით (პირველი ეპიზოდი). 2007 წლის 10 აგვისტოს შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა მესტიის რაიონის სოფ. ... ტყიდან ამოიღეს ბ. გ-ნის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი და შენახული «აკ-74» სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და მისთვის განკუთვნილი 5,45X39მმ კალიბრიანი 28 საბრძოლო ვაზნა (მეორე ეპიზოდი). მანვე განიზრახა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ზუგდიდ-მესტიის ცენტრალურ საავტომობილო გზაზე დახვედროდა მესტიისკენ მიმავალ მგზავრებს და მუქარის განხორციელების გზით შეემინებინა ისინი. 2007 წლის 5 აგვისტოს იგი შეიარაღდა მის მიერ

მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი და შენახული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით და მესტიის რაიონის სოფ. ... ტერიტორიაზე, ზუგდიდი-მესტიის საავტომობილო გზაზე, ჩაუსაფრდა მესტიისკენ მიმავალ ავტომანქანას. დაახლოებით 10 საათზე საავტომობილო გზაზე გამოჩნდა „ნისანის» ფირმის ჯიპი, რომელსაც მართავდა გ. ბ-შვილი და რომელშიც ასევე ისხდნენ მგზავრები: დ. მ-ვი, პ. ა-კი, ს. პ-ვი, ს. მ-კი და გ. ჯ-ა. ბ. გ-ნი ავტომანქანის გამოჩენისთანავე ჩამოცურდა კლდიდან, რადროსაც წაბორძიკდა და წაიქცა, რის გამოც აღმოჩნდა ავტომანქანის უკანა მხარეს და მის ხელთ არსებული იარაღი დაუმიზნა გ. ბ-შვილის ავტომანქანას. გ. ბ-შვილსა და გ. ჯ-ას გაუჩნდათ სიცოცხლის მოსპობის შიში, რის გამოც მძღოლმა მოუმატა სიჩქარეს და გაეცალნენ შემთხვევის ადგილს. მანვე 2007 წლის 5 აგვისტოს გადაწყვიტა, ყაჩაღური თავდასხმა განეხორციელებინა ქ. ზუგდიდიდან დ. მესტიაში მიმავალ უცხოელ მოქალაქეებზე. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, შეიარაღდა ზემოხსენებული ცეცხლსასროლი იარაღით და დაახლოებით 11 საათზე სოფ. ... ტერიტორიაზე ჩაუსაფრდა დ. მესტიიდან ზუგდიდის მიმართულებით მოძრავ ავტომანქანას. ამ დროს გამოჩნდა „მიცუბის» ფირმის ჯიპი, რომელსაც მართავდა ლატვიის მოქალაქე ყ. ბ-კი, ხოლო ავტომანქანაში ისხდნენ ასევე ლატვიის მოქალაქეები - დ. ს-ჩი, ცოლქმარი - ვ. და მ. ბ-ბი და მათი ქალიშვილი ი. ბ-ი. ბ. გ-ნი, სახეზე ნიღაბფარებული, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული, საავტომობილო გზაზე გადაუდგა ავტომანქანას და სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით მძღოლს მოსთხოვა ავტომანქანის გაჩერება და მისთვის ფულისა და ძვირფასეულობის გადაცემა. ავტომანქანაში მყოფ ვ. ბ-ს ბ. გ-ნმა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით გასტაცა მაჯის სათი, ხოლო მ. ბ-ს - ოქროს ბეჭედი, რითაც დაზარალებულებს მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მანვე, გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა საბრძოლო მასალა - 5,45X39მმ კალიბრიანი გასროლისათვის ვარგისი 127 ვაზნა, რომლებსაც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა თავის საცხოვრებელ სახლში. 2007 წლის 8 აგვისტოს შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს მესტიის რაიონული განყოფილების მუშაკებმა ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოიღეს ბ. გ-ნის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი და შენახული საბრძოლო მასალა - 5,45X39მმ კალიბრიანი, გასროლისათვის ვარგისი 127 საბრძოლო ვაზნა; მანვე დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეიძინა 92 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ნედლი მარიხუანა», რასაც ასევე უკანონოდ ინახავდა თავისი საცხოვრებელი სახლის მეორე სართულის საძინებელ ოთახში, კომოდის ქვეშ. 2007 წლის 8 აგვისტოს შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს მესტიის რაიონული განყოფილების მუშაკებმა ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოიღეს ბ. გ-ნის მიერ უკანონოდ შეძენილი და შენახული 92 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ნედლი მარიხუანა».

ს. გ-ნმა გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა საბრძოლო მასალა - 7,62X39მმ კალიბრიანი, დანიშნულებისამებრ გასროლისათვის ვარგისი 17 საბრძოლო ვაზნა და დანიშნულებისამებრ აფეთქებისათვის ვარგისი, „ფ-1" ტიპის ერთი ხელყუმბარა, რომლებსაც მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა თავის საცხოვრებელ სახლში. 2007 წლის 8 აგვისტოს შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს მესტიის რაიონული განყოფილების მუშაკების მიერ ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა ს. გ-ნის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი და შენახული საბრძოლო მასალა 7,62X39მმ კალიბრიანი, დანიშნულებისამებრ გასროლისათვის ვარგისი 17 საბრძოლო ვაზნა და დანიშნულებისამებრ აფეთქებისათვის ვარგისი, „ფ-1" ტიპის ერთი ხელყუმბარა.

ს. გ-ნმა, რომლისთვისაც ცნობილი იყო ზ. გ-ნისა და ლ. გ-ნის მიერ განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის - ჯ. ც-ას დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის შესახებ, პოლიციის თანამშრომლებს დაუმალა ჩადენილი დანაშაული, რითაც ჩაიდინა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარა წინასწარ შეუპირებლად.

აღნიშნულ განაჩენში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 8 თებერვლის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

ზ. გ-ნი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მეორე ნაწილით - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 109-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტით - 14 წლით თავისუფლების აღკვეთა, 237-ე მუხლის პირველი ნაწილით - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 23 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

ბ. გ-ნი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 375-ე მუხლით - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის თანახმად, მის მიმართ მესტიის რაიონული სასამართლოს მიერ 2007 წლის 18 დეკემბერს გამოტანილი დადგენილების გათვალისწინებით, გაუნახევრდა დანიშნული სასჯელი - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, გათავისუფლდა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან და მოსახდელად განესაზღვრა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მეორე ნაწილით - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 151-ე მუხლით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, 179-ე მუხლის პირველი ნაწილით - 6 წლით

თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, 260-ე მუხლის პირველი ნაწილით - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 17 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ს. გ-ნი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 375-ე მუხლით - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის თანახმად, მის მიმართ მესტიის რაიონული სასამართლოს მიერ 2007 წლის 18 დეკემბერს გამოტანილი დადგენილების გათვალისწინებით, გაუნახევრდა დანიშნული სასჯელი - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, გათავისუფლდა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან და მოსახდელად განესაზღვრა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - 9 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

ლ. გ-ნი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 24,109-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მიესაჯა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებული ზ. გ-ნი საკასაციო საჩივრით ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას იმ მოტივით, რომ აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, არ ჰყავს მშობლები, ჰყავს მცირეწლოვანი შვილი, რომლის მარჩენალიც თვითონაა.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, პალატამ შეისწავლა საქმე სრული მოცულობით, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მსჯავრდებულების - ზ., ბ. და ს. გ-ნების ჩვენებებით, დაზარალებულების - გ. ბ-შვილის, გ. ჯ-ას, ვ. ბ-კის, დ. ს-ჩის, ვ. და მ. ბ-ბის, ი. ბ-ის ჩვენებებით, მოწმეების - ს. ნ-ნის, თ. მ-ნის, გ. ო-შვილის, გ. ბ-შვილის, ო. გ-ნის, თ. გ-ნის, რ. გ-ნის ჩვენებებით, ბალისტიკური და ქიმიური ექსპერტიზების დასკვნებით, ჩვენების ადგილზე შემოწმების ოქმით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, ნივთმტკიცებად ცნობის დადგენილებითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით ზ., ბ. და ს. გ-ნების მიერ მათზე ბრალად შერაცხული დანაშაულების ჩადენა დადასტურებულია.

რაც შეეხება მსჯავრდებულ ზ. გ-ნის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას სასჯელის შემსუბუქების თაობაზე, პალატა ვერ გაიზიარებს და მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მისი პიროვნების მახასიათებელი მონაცემების გათვალისწინებით, ზ. გ-ნს დაუნიშნა ისეთი სასჯელი, რომლის შეცვლისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულებს - ბ. გ-ნსა და ს. გ-ნს უნდა მოეხსნათ საქართველოს სსკ-ის 375-ე მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

გასაჩივრებული განაჩენით საქართველოს სსკ-ის 375-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული გამოიხატა იმაში, რომ მსჯავრდებულებმა - ბ. და ს. გ-ნებმა, რომლებისთვისაც ცნობილი იყო ზ. გ-ნისა და ლ. გ-ნის მიერ განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის - ჯ. ც-ას დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის შესახებ, პოლიციის თანამშრომლებს დაუმაღლეს ჩადენილი დანაშაული, რითაც ჩაიდინეს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვა წინასწარ შეუპირებლად.

საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება ბ. და ს. გ-ნების მსჯავრდებას საქართველოს სსკ-ის 375-ე მუხლით. აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის არსებობისათვის საჭიროა აქტიური მოქმედება - წინასწარ შეუპირებლად განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვა. დანაშაულის დაფარვაში იგულისხმება დამნაშავის, აგრეთვე დანაშაულის ჩადენის იარაღისა და საშუალების, დანაშაულის კვალის ან დანაშაულებრივი გზით მოპოვებული საგნების დაფარვა.

ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, მსჯავრდებულების - ბ. და ს. გ-ნების მიერ მათთვის ცნობილი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვა, რაც გამოიხატა მათი მხრიდან უმოქმედობით ჩადენილ ქმედებაში, კერძოდ ის ფაქტი, რომ მათ ზ. და ლ. გ-ნების მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ არ აცნობეს სამართალდამცავ ორგანოებს, არ გვადლევს საქართველოს სსკ-ის 375-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას.

მართალია, დღეს მოქმედი საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლი დანაშაულად თვლის ასევე პირის მიერ ჩადენილ ქმედებას, როცა მან ნამდვილად იცის, რომ ჩადენილია მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაული და არ აცნობებს სამართალდამცავ ორგანოებს, მაგრამ ზ. და ლ. გ-ნების მიერ დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი დანაშაულის შეუტყობინებლობას იმის მიერ, ვინც ნამდვილად იცის, რომ ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, არ თვლიდა დანაშაულად.

საქართველოს სსკ-ის მე-3 მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას, უკუძალა არა აქვს.

ამდენად, მსჯავრდებულებს - ბ. და ს. გ-ნებს გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოერიცხოთ საქართველოს სსკ-ის 375-ე მუხლით შერაცხული მსჯავრი, და შესაბამისად - ამ მუხლით დანიშნული სასჯელები.

მსჯავრდებულ ს. გ-ნს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 9 თვით თავისუფლების აღკვეთა. იმის გათვალისწინებით, რომ ს. გ-ნს სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 8 აგვისტოდან, მას ამ განჩინებით საბოლოოდ განსაზღვრული სასჯელი უნდა ჩაეთვალოს მოხდილად და დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

«ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ბ. გ-ნს უნდა გაუნახევრდეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელი - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულ ბ. გ-ნს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 151-ე მუხლით, 179-ე მუხლის პირველი ნაწილით, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით, 260-ე მუხლის პირველი ნაწილით საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 13 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, «ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტით, 568-ე მუხლით და

დაადგინა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 8 თებერვლის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

მსჯავრდებულ ს. გ-ნს მოეხსნას საქართველოს სსკ-ის 375-ე მუხლით შერაცხული ბრალდება და ამ ნაწილში მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო;

მსჯავრდებულ ს. გ-ნს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალოს მოხდილად და დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმრობიდან;

მსჯავრდებულ ბ. გ-ნს მოეხსნას საქართველოს სსკ-ის 375-ე მუხლით შერაცხული ბრალდება და ამ ნაწილში მის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

«ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ ბ. გ-ნს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელი - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა - გაუნახევრდეს.

მსჯავრდებულ ბ. გ-ნს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 151-ე მუხლით, 179-ე მუხლის პირველი ნაწილით, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით, 260-ე მუხლის პირველი ნაწილით საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 13 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა

განჩინება

საქმე #1482-აპ

15 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ თ. ჯ-შვილის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 1 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 24 მარტის განაჩენით თ. ჯ-შვილი, ამჟამად პატიმარი, ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით - 1 წლით, 236-ე მუხლის I ნაწილით - 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა - 2000 ლარი, 236-ე მუხლის II ნაწილით - 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა - 3000 ლარი; ამასთან, მას საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის გამოყენებით, შეკრების წესით, იმავე მუხლის II ნაწილის საფუძველზე დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი - 5 წელი და თ. ჯ-შვილს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა; მასვე დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა - 5000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

იგი სასჯელს იხდის 2007 წლის 19 ივლისიდან.

განაჩენით თ. ჯ-შვილს მსჯავრი დაედო ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოხმარებისათვის, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, ასევე ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარებისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

2001 წლის 29 ნოემბერს თ. ჯ-შვილი გაასამართლა ქალაქ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის «ე» ქვეპუნქტითა და იმავე კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რისთვისაც სასჯელის ზომად განუსაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც, საქართველოს სსკ-ის 63-64-ე მუხლების შესაბამისად, შეეცვალა პირობით, 6 წლის გამოსაცდელი ვადით. მიუხედავად ამისა, იგი არ დაადგა გამოსწორების გზას და გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 29 ნოემბრის დადგენილებით ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებისათვის შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი, ჯარიმა - 500 ლარი.

2007 წლის 6 მაისს თ. ჯ-შვილი ქ. ქობულეთში ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ ყოფნაში ეჭვის შეტანის ნიადაგზე დააკავეს საპატრულო პოლიციის მუშაკებმა. ჩატარებული გამოკვლევის შედეგად მას დაუდგინდა «ოპიუმის» ჯგუფის შემცველობის ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი და ამით მხილებულ იქნა ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, ექიმის დანიშნულების გარეშე, ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარებაში.

მიუხედავად იმისა, რომ თ. ჯ-შვილს ჩადენილი ჰქონდა ზემოაღნიშნული დანაშაულები, კვლავ ჩაიდინა განზრახი დანაშაული, სახელდობრ: მან დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეიძინა 9 მმ კალიბრიანი «მაკაროვის» სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო ვაზნები, რასაც მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა და ასევე უკანონოდ ატარებდა.

2007 წლის 15 ივლისს, ურთიერთშორის არსებული უთანხმოების გამო, ქ. ქუთაისში, ... ქუჩის II შესახვევის #2-ში განთავსებული სასურსათო მაღაზიის წინ, მ. უ-ამ განზრახ მოკვლის მიზნით, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან მრავალჯერ გასროლით სხეულის დაზიანება მიაყენა თ. ჯ-შვილს, რომელმაც მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი და შენახული, თანაქონი «მაკაროვის» სისტემის პისტოლეტიდან რამდენჯერმე ისროლა მ. უ-ას მიმართულებით, რა დროსაც დააზიანა მისი «ვაზ-2121» მარკის ავტომანქანა «ნივის», წინა, მარჯვენა ფრთა. თ. ჯ-შვილმა მიღებული ჭრილობების გამო ვეღარ შეძლო გადაადგილება და «მაკაროვის» სისტემის პისტოლეტი შემთხვევის ადგილზე დაუვარდა.

მოგვიანებით, სამედიცინო დახმარების გაწევის მიზნით, თ. ჯ-შვილი გადაიყვანეს ქუთაისის სამხარეო კლინიკურ საავადმყოფოში, ხოლო იმავე დღეს, შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას, ამოიღეს მის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი «მაკაროვის» სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, ასევე, ორი განასროლი და ერთი დამუხტული ვაზნა.

აპელანტი - მსჯავრდებული თ. ჯ-შვილი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 24 მარტის განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის I, II ნაწილებით შერაცხულ ბრალდებაში - გამართლებას, ხოლო საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით - სასჯელის შემსუბუქებასა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის გამოყენებას, რასაც ასაბუთებდა შემდეგი მოტივებით: გასაჩივრებული განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი, არ არის დამტკიცებული საქმის ფაქტობრივი გარემოებები; იგი არ აღიარებს და უარყოფს თავის მიერ იარაღის შეძენის, შენახვის, ტარების ფაქტს, რადგან არ არსებობს ამის დამადასტურებელი, უტყუარი მტკიცებულებები.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 1 ოქტომბრის განაჩენით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 24 მარტის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა თ. ჯ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. მან აღნიშნა, რომ განაჩენი ემყარება კანონის დადგენილი წესის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას. კასატორმა ითხოვა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის I, II ნაწილებით წარდგენილი ბრალდების განაჩენიდან ამორიცხვა და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა, ხოლო სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელის შემსუბუქება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ მსჯავრდებულ თ. ჯ-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგი გარემოებების გამო:

პალატას მიაჩნია, რომ თ. ჯ-შვილის ქმედების კვალიფიკაცია და სასჯელი არ შეესაბამება დამნაშავეს პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.

პალატა ეთანხმება მსჯავრდებულ თ. ჯ-შვილის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას სააპელაციო სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანის, მსჯავრდებულისათვის საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის I, II ნაწილებით შერაცხული ბრალდების ამორიცხვისა და ქმედების ამ ნაწილში სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ.

პალატა თვლის, რომ საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, რომ თ. ჯ-შვილი 2003 წლის 18 დეკემბრიდან იმყოფებოდა აღრიცხვაზე, როგორც ნარკომანი, 2007 წლის 6 მაისის #1172 დასკვნით, რომლის თანახმადაც, იგი იმყოფებოდა ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ და საქმის სხვა მასალებით მსჯავრდებულისათვის სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია და, პალატის აზრით, სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას თ. ჯ-შვილის სსკ-ის 236-ე მუხლის I, II ნაწილებით გათვალისწინებული მსჯავრდების ნაწილში, პალატას მიაჩნია, რომ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი გარემოებები: სასამართლომ თ. ჯ-შვილის სსკ-ის 236-ე მუხლის I, II ნაწილებით მსჯავრდებას საფუძვლად დაუდო გამოძიებულ გ. ხ-შვილის, დ. ლ-ნის, კ. უ-ას ჩვენებები.

მოწმე გ. ხ-შვილი აღნიშნავს, რომ ქიმიური და ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, თ. ჯ-შვილის სპორტული შარვლის მარჯვენა ჯიბის სათავეზე აღმოჩენილი საცხებ-საპოხი საშუალების კვალი იმ ნივთიერების იდენტური აღმოჩნდა, რომელიც ჰქონდა «მაკაროვის» სისტემის იარაღს, რაც არ დასტურდება საქართველოს შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2007 წლის 27 სექტემბრის #430/ს.ქ. ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით, რომლის თანახმადაც, საცხებ-საპოხი საშუალების მინერალური შემადგენლობის სიმცირის გამო, მათი იდენტურობის დადგენა ვერ მოხერხდა. 2007 წლის 13 აგვისტოს გაცემულ, ექსპერტ დ. ე-შვილის #რან/474 დასკვნაში კი მითითებულია, რომ თ. ჯ-შვილის ტანსაცმელზე შეუძლებელია დენთისა და მისი წვის პროდუქტების იმ კვალის დადგენა, რომელიც იარაღიდან გასროლის შემდეგ რჩება.

პალატის აზრით, ასევე მიუღებელია მოწმე დ. ლ-ნის ჩვენება იმის თაობაზე, რომ, თითქოსდა, ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, დანაშაულის ჩადენის საგანი - «მაკაროვის» სისტემის იარაღი თ. ჯ-შვილის კუთვნილება იყო, მაშინ, როდესაც მოწმემ ვერ დაასახელა ამ ინფორმაციის მიღების წყარო, რაც, საქართველოს სსკ-ის 111-ე მუხლის I ნაწილის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, ჩვენების დაუშვებელ მტკიცებულებად მიჩნევის საფუძველია. ხოლო კ. უ-ამ ისიც კი ვერ გაიხსენა, თუ როდის გაუჩნდა მის მანქანას დაზიანება, ზემოაღნიშნულ დანაშაულებრივ ქმედებამდე, თუ მას შემდეგ.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ დაზიანებული ავტომანქანა «ნივის» მოტორის სახურავის ქვეშ ნაპოვნი ტყვიის გულის დეფორმაციის გამო, რომელიც, ვითომდა, გასროლილი იყო თ. ჯ-შვილის კუთვნილი «მაკაროვის» სისტემის იარაღიდან, ვერ დადგინდა, რომ იგი ამ იარაღს ეკუთვნოდა.

პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლომ, დასაბუთების გარეშე, ფაქტობრივად ერთი და იმავე სამართლებრივი გარემოებების საფუძველზე, ძირითადად ბრალდების მოწმეების ჩვენებების გათვალისწინებით, ძალაში დატოვა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი.

საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლის III ნაწილის თანახმად, განაჩენი შეიძლება, ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას. საქმეში არ არსებობს არც ერთი მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ ზემოაღნიშნული იარაღი თ. ჯ-შვილის საკუთრებაა. საქართველოს სსკ-ის მე-10 მუხლის თანახმად: „ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ეჭმიტანილისა და ბრალდებულის სასარგებლოდ«, ხოლო იმავე კოდექსის 496-ე მუხლის III ნაწილის თანახმად: „სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას და ეს მტკიცებულებები საკმარისია სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად».

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ თ. ჯ-შვილის მიმართ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის I, II ნაწილებით წარდგენილი ბრალდება, მტკიცებულებების უქონლობის გამო, განაჩენიდან უნდა ამორიცხოს და ამ ნაწილში მის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა. შესაბამისად, ცვლილება უნდა შევიდეს თ. ჯ-შვილის მიმართ დანიშნულ სასჯელში, კერძოდ: მას საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით სასჯელად უნდა განესაზღვროს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო იმავე კოდექსის 59-ე მუხლის II ნაწილის გამოყენებით საბოლოო სასჯელად უნდა განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის I, III პუნქტების საფუძველზე მსჯავრდებულ თ. ჯ-შვილს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა - უნდა გაუნახვერდეს და მოსახდელად განესაზღვროს 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ თ. ჯ-შვილს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით, იმავე კოდექსის 59-ე მუხლის II ნაწილის გამოყენებით საბოლოო სასჯელად უნდა განესაზღვროს 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის I, III პუნქტებით და

დაადგინა:

მსჯავრდებულ თ. ჯ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 1 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ:

თ. ჯ-შვილის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის I, II ნაწილებით გათვალისწინებულ დანაშაულში.

„ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის I, III პუნქტების საფუძველზე მსჯავრდებულ თ. ჯ-შვილს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა - გაუნახვერდეს და მოსახდელად განესაზღვროს 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ თ. ჯ-შვილს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით, იმავე კოდექსის 59-ე მუხლის II ნაწილის გამოყენებით საბოლოო სასჯელად განესაზღვროს 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

12. ხულიგნობა

განჩინება

საქმე #1452-აბ

17 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ კ. ნ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 16 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 3 ივნისის განაჩენით კ. ნ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა» ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ე» ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა ძარცვა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ, ასევე, ხულიგნობა, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით, რაც გამოიხატა შემდეგში:

კ. ნ-ძე, დაუდგენელ ორ პირთან ერთად, 2007 წლის 28 აპრილს, დაახლოებით 21 საათზე, იმყოფებოდა თბილისში, პეკინის ქუჩაზე, რა დროსაც შეამჩნია იქვე გაჩერებული ავტომანქანა „მერსედეს-124», რომელშიც ისხდნენ ნ. ტ-ძე და ზ. კ-ძე. კ. ნ-ძე, იცნობდა რა ზ. კ-ძეს, მიუახლოვდა მას, მოიკითხა, ხოლო შემდეგ, ყოველგვარი მიზეზის გარეშე, ხმამაღლა შეაგინა და სახეში ხელი გაარტყა, თან ხმამაღლა აგინებდა და განაგრძობდა ჩხუბს, რა დროსაც უხეშად დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი და გამოხატა საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობა. ამ დროს მათ გასაშველელად ჩხუბში ჩაერია ნ. ტ-ძე, რის შემდეგაც ჩხუბში ასევე ჩაერია კ. ნ-ძის თანმხლები,

დაუდგენელი ორი პირი. ერთ-ერთი მათგანი დანის დემონსტრირებით, სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა ნ. ტ-მესა და ზ. კ-მეს, რომლებმაც ადგილზევე მიატოვეს ავტომანქანა და შემთხვევის ადგილიდან გაიქცნენ. ამის შემდეგ კ. ნ-მე მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა ნ. ტ-მის ავტომანქანას, ჩაჯდა მასში და წავიდა. იმავე დღეს საპატრულო პოლიციამ ნ. ტ-მის მანქანა, შეჯახებული საცხოვრებელი კორპუსის კედელთან, იოჯა თბილისში, ... ქ. #21-ის მიმდებარე ტერიტორიაზე. აღნიშნული ავტომანქანა ამოიღეს და დაუბრუნეს დაზარალებულს. 2007 წლის 8 ივნისის სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, ავტომანქანა „მერსედეს-124-ის» დაზიანებით მიყენებულმა ზარალის ოდენობამ შეადგინა 2145 ლარი.

აღნიშნული ქმედებისათვის კ. ნ-მეს საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა» და მე-3 ნაწილის „ე» ქვეპუნქტებით - 7 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა; საბოლოოდ მას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლისა და 3 თვის ვადით, რომლის მოხდა დაეწყო 2007 წლის 23 ოქტომბრიდან; მასვე დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა 6 ათასი ლარის ოდენობით.

განაჩენი სააპელაციო წესით გასაჩივრეს მსჯავრდებულმა და მისმა ადვოკატმა ლ. გ-შვილმა. მათ ითხოვეს განაჩენის გაუქმება და კ. ნ-მის გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 16 ოქტომბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებული კ. ნ-მე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონოა, რადგან სასამართლოს ყოველმხრივ და ობიექტურად არ გამოუკვლევია საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები; არ მომხდარა მათი შეჯერება ერთმანეთთან; განაჩენში ჩამოყალიბებული დასკვნები არ შეესაბამება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს; სასამართლოს დასკვნა ემყარება მხოლოდ საქმეზე დაზარალებულად ცნობილი ნ. ტ-მისა და მოწმე ზ. კ-მის ჩვენებებს; გაუგებარია, რატომ არ ცნეს დაზარალებულად ზ. კ-მე, როდესაც კ. ნ-მემ მას ხელი გაარტყა; აშკარაა, რომ მას წარმოეშვა პირადი ინტერესი მსჯავრდებულის მიმართ და ამიტომ მისცა სუბიექტური და მიკერძოებული ჩვენება.

კასატორის აზრით, საქმეში არ მოიპოვება იმის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, რომ დაირღვა საზოგადოებრივი წესრიგი, გამოიხატა საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობა; ორივე მხარე დაჟინებით ამტკიცებდა, რომ შეურაცხყოფის მიყენებამ გამოიწვია კონფლიქტი, ანუ აშკარაა, რომ არსებობდა მოტივი, რაც გამორიცხავს ქმედების ხულიგნობით დაკვალიფიცირების შესაძლებლობას; სასამართლომ დაუსაბუთებლად უარყო კ. ნ-მის ჩვენება, რომ ჩხუბი მას არ დაუწყია, მან რეაგირება მოახდინა თავის მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე; სასამართლომ უპირობოდ გაიზიარა მოწმე ზ. კ-მის ჩვენება, რომ, თითქოს, მან ღამის საათებში, ხელოვნური განათების პირობებში, დაახლოებით 200-300 მეტრიდან დაინახა, თუ როგორ ჩაჯდა კ. ნ-მე ნ. ტ-მის ავტომანქანაში და გაიტაცა იგი; სასამართლო და გამოძიება არ დაინტერესებულან, რამდენად შესაძლებელი იყო მოწმის მიერ მითითებული მანძილიდან ვინმეს დანახვა ან კონკრეტული პირების გარჩევა.

მსჯავრდებულ კ. ნ-მის განმარტებით, იგი ძარცვას ვერ ჩაიდენდა იმ მიზეზის გამო, რომ მანქანის მართვა არ იცის; ის ფაქტი, რომ შემთხვევის ადგილიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით აღმოაჩინეს გატაცებული ავტომანქანა, სულაც არ ადასტურებს მის მიერ დანაშაულის ჩადენას; სასამართლომ მტკიცებულებად გამოიყენა დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმად, ამოღებული თითის კვლები კვლევისათვის უვარგისი აღმოჩნდა; საქმეზე არ ჩატარებულა ოდოროლოგიური და ბიოლოგიური ექსპერტიზები; ეჭვს ბადებს დაზარალებულის ჩვენების სისწორე იმასთან დაკავშირებით, თუ რომელ საათზე შეატყობინა მან პოლიციას ავტომანქანის გატაცების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული კ. ნ-მე ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 16 ოქტომბრის განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

დაზარალებულ ნ. ტ-მისა და მოწმე ზ. კ-მის თანმიმდევრული და დამაჯერებელი ჩვენებებით ირკვევა, რომ ამ უკანასკნელს კ. ნ-მემ მიმართა - აქ რას აკეთებო და ორჯერ დაარტყა ხელი, ხოლო ავტომანქანიდან გადასულ ნ. ტ-მეს უთხრა: «შენ ვიღა ხარო» და ხელი ჰკრა. ამავდროულად მათი მიმართულებით ყვირილითა და გინებით გაემართა დანებით შეიარაღებული ორი პირი. ნ. ტ-მე და ზ. კ-მე შემთხვევის ადგილს დაახლოებით 300 მეტრით, სირბილით დაშორდნენ. კ. ნ-მე ჩაჯდა დაზარალებულის ავტომანქანაში და წავიდა. მათივე განმარტებით, ინციდენტისას ქუჩაში ხალხი მოძრაობდა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეშია საპროცესო კანონის მოთხოვნათა დაცვით მოპოვებული და გამოკვლეული არაერთი უტყუარი მტკიცებულება, რომლებიც სამართლებრივად სწორად შევასდა და რომელთა საფუძველზეც უდავოდ დადგენილია, რომ კ. ნ-მემ ჩაიდინა მისთვის ბრალად შერაცხული

ქმედებები. ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა, მატერიალური კანონი სწორადაა გამოყენებული, ხოლო დანიშნული სასჯელი შეესაბამება კ. ნ-ძის პიროვნებასა და ჩადენილი ქმედებების სიმძიმეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენი კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია და იგი უნდა შეიცვალოს მხოლოდ «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, კერძოდ, კ. ნ-ძე უნდა გათავისუფლდეს სსკ-ის 239-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელის - 1 წლით თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილით და

დაადგინა:

მსჯავრდებულ კ. ნ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 16 ოქტომბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ: «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, კ. ნ-ძე გათავისუფლდეს სსკ-ის 239-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელის - 1 წლით თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან;

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და კ. ნ-ძეს საბოლოოდ მიესაჯოს 7 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებით სასჯელად განესაზღვროს ჯარიმა 6000 ლარის ოდენობით.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ხულიგნობა

განჩინება

საქმე #974-აპ

23 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- მ. ოშხარელი**

მონაწილეობით განიხილა მსჯავრდებულ მ. ა-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ბ-ვას საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 15 თებერვლის განაჩენით მ. ა-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლითა და 239-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა განზრახ მკვლელობა; ასევე, ხულიგნობა, ე.ი. ქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილი ძალადობით.

განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2007 წლის 18 აგვისტოს, გვიან საღამოს, თბილისში, ... ქ. #11 სახლის ეზოში, ფერისცვალების დღესასწაულის აღსანიშნავად შეიკრიბნენ იქვე მცხოვრებნი ი. დ-ი, ბ. ჩ-ძე, გ. ნ-ძე, ასევე - მეზობლად მცხოვრებნი მ. ა-შვილი და დ. კ-შვილი. მათ დალიეს ალკოჰოლური სასმელები. ქეიფი გაგრძელდა დაახლოებით ღამის 1 საათამდე, რის შემდეგაც სუფრასთან მსხდომნი გავიდნენ ეზოდან ქუჩაში და ჭიშკართან გააგრძელეს საუბარი. ამ დროს ნასვამმა მ. ა-შვილმა დ. კ-შვილს მიმართა სახელით „სიდედროვნა», რამაც იგი გაანაწყენა და დაწყებული კამათი ჩხუბში გადაიზარდა. ამას მ. ა-შვილის მხრიდან მოჰყვა დ. კ-შვილის ფიზიკური შეურაცხყოფა და ლანძღვა-გინება. ასეთმა ქმედებამ გამოიწვია საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევა და საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობა. ხმაურზე გამოსულმა მეზობლებმა შეაჩერეს მ. ა-შვილი და სახლისაკენ წაიყვანეს ნაცემი და მიწაზე მწოლიარე დ. კ-შვილი, რომელსაც გზაში შეხვდა ... ქუჩაზე მცხოვრები, ნასვამი გოჩა ჩ-ძე. მან, შეიტყო რა მომხდარის შესახებ, დაიწყო ხმამაღალი გინება, რასაც გამოეხმაურა მ. ა-შვილი. მათ

დაიწყეს ჩხუბი, რა დროსაც განაწყენებულმა მ. ა-შვილმა შურისძიების მოტივით, მოკვლის მიზნით, წინიდან უკან, ზემოდან ოდნავ ქვემოთ მოიქნია ხელთ ნაქონი დანა გ. ჩ-ძის მიმართულებით და მას გულის არეში მიაყენა სასიკვდილო ჭრილობა, რის შედეგადაც იგი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

აღნიშნული ქმედებისათვის მ. ა-შვილს საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით მიესაჯა 9 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 239-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა; საბოლოოდ მას განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით, რომლის მოხდა დაეწყო 2007 წლის 19 აგვისტოდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს პროკურორმა თ. პ-ავამ და მსჯავრდებულის ადვოკატმა მ. ბ-ვამ.

პროკურორმა თ. პ-ავამ ითხოვა განაჩენში ცვლილების შეტანა და მ. ა-შვილისათვის სასჯელის ზომად 13 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა, ხოლო ადვოკატმა მ. ბ-ვამ - მ. ა-შვილის ქმედების სსკ-ის 108-ე მუხლიდან 111-ე მუხლზე გადაკვალიფიცირება ან 108-ე მუხლით დანიშნული სასჯელის შემსუბუქება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ივნისის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებულ მ. ა-შვილის ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. ბ-ვა საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონოა და უნდა გაუქმდეს, ხოლო მ. ა-შვილი - გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ« ქვეპუნქტით, ქმედების არამართლწინააღმდეგობის გამო.

კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სისხლის სამართლის კანონი, რაც განაჩენის გაუქმების საფუძველია; ერთადერთი, ვინც მიუთითებს, როგორ დაინახა მ. ა-შვილის მიერ პრიალა საგნის გ. ჩ-ძისათვის ჩარტყმის მომენტი, არის ხულიგნობის ეპიზოდში დაზარალებული დ. კ-შვილი, რომლის განმარტებით, მას არ დაუნახავს გ. ჩ-ძის მხრიდან მ. ა-შვილისათვის თავში ბოთლის ჩარტყმის მომენტი; დ. კ-შვილის ჩვენებების უტყუარობაში ეჭვის შეტანის საფუძველს იძლევა წინააღმდეგობები თავად მის ჩვენებებსა და მისი დედის - დ. ლ-ძის ჩვენებებს შორის; მოწმე დ. ლ-ძის ჩვენებით, მან დაინახა, თუ როგორ მოუქნია ბოთლი გ. ჩ-ძემ მ. ა-შვილს, ასევე დაინახა მ. ა-შვილის მხრიდან დანის ჩარტყმის მომენტიც; მან ასევე აღნიშნა, რომ მ. ა-შვილი დანის გამოსატანად არსად გაქცეულა; განაჩენში არაფერია ნახსენები იმის თაობაზე, რომ ბოთლის თავში ჩარტყმა და დანის მოქნევა იმავდროულად მოხდა; პალატამ გაიზიარა დ. ლ-ძის ჩვენების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც ეხმარება ბრალდების დადასტურებაში, არადა მისი ჩვენება დაცვის მხარისათვის წარმოადგენდა მ. ა-შვილის ქმედებისათვის სწორი სამართლებრივი შეფასების მიცემის უმნიშვნელოვანეს არგუმენტს.

ადვოკატ მ. ბ-ვას განმარტებით, დაცვის მხარეს არასოდეს უარუყვია, რომ მ. ა-შვილმა მოკლა გ. ჩ-ძე, რადგან აუცილებელი მოგერიების ფარგლებში ყოფნისას პირს ამოძრავებს განზრახვა, რომ როგორმე დააზიანოს თავდამსხმელი საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად, ხოლო, თუ სხვა გზა არ არსებობს - დააზიანოს სასიკვდილოდ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზეა აუცილებელი მოგერიების ოთხი ძირითადი პირობა: გ. ჩ-ძე მ. ა-შვილს თავს დაესხა მოკვლის განზრახვით, რადგან ის ლუდის საკმაროდ მძიმე შუშის ბოთლს ურტყამდა მ. ა-შვილს სიცოცხლისათვის სახიფათო ადგილას - თხემის არეში, რაც მან აღიქვა, როგორც სიცოცხლის მოსპობის რეალური საფრთხე, რის გამოც მისიერად თანაქონი დანით თავდამსხმელს მიაყენა სასიკვდილო ჭრილობა, რათა დაეცვა საკუთარი სიცოცხლე. მოცემულ შემთხვევაში თავდამსხმელი იყო 1,85 სმ სიმაღლის, კარგი აგებულების გ. ჩ-ძე, ხოლო მომგერიებელი - მასზე გაცილებით დაბალი, 1,65 სმ სიმაღლის, ფიზიკურად სუსტი მ. ა-შვილი, რომელიც იძულებული გახდა, შეეჩერებინა გ. ჩ-ძის მხრიდან ბოთლის თავში ჩარტყმა თავის ხელთ არსებული საშუალებით - დანით; საინტერესოა, როგორ უნდა მოქცეულიყო იგი - დალოდებოდა, როგორ გააგრძელებდა გ. ჩ-ძე მის თავში ცემას ბოთლით და მოუსწრაფებდა სიცოცხლეს, თუ თავი გადაერჩინა; ბუნებრივია, მ. ა-შვილმა საკუთარი სიცოცხლის გადარჩენა ამჯობინა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მ. ა-შვილი იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში, რის გამოც იგი უნდა გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში სსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ« ქვეპუნქტის საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ საკასაციო პალატა არ გაიზიარებს დაცვის მხარის აღნიშნულ მოტივაციას, კასატორი ალტერნატიული მოთხოვნის სახით ითხოვს მ. ა-შვილის ქმედების დაკვალიფიცირებას სსკ-ის 111-ე მუხლით, რადგან დავას არ იწვევს ის ფაქტი, რომ გ. ჩ-ძემ ნამდვილად ჩაარტყა ბოთლი თავში მ. ა-შვილს, რაც მართლსაწინააღმდეგო ძალადობა იყო; ასეთ შემთხვევაში უნდა დადგინდეს, ჩავარდა თუ არა მ. ა-შვილი ძლიერი სულიერი აღელვების - აფექტის მდგომარეობაში; მათ შორის მომხდარი ჩხუბიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ მ. ა-შვილს სახლიდან რომ გამოეტანა დანა, დაცვას არაფერი ექნებოდა სადავო ქმედების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, რადგან ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობისას აუცილებელია, რომ აფექტის წარმოქმნასა და მის რეალიზაციას შორის დრო არ იყოს გასული, მაგრამ აფექტის ხანგრძლივობა ზუსტად არ არის განსაზღვრული; ცნობილია მხოლოდ, რომ აფექტი გრძელდება ძალზე მცირე დროის - წამების განმავლობაში; სწორედ რამდენიმე წამი დასჭირდებოდა მ. ა-შვილს სახლიდან დანის გამოსატანად; დაცვის მხარე ვერ დაეთანხმება ბრალდებას

იმაში, რომ ძლიერი სულიერი ადვლავების მდგომარეობაში ყოფნისას პირი აყენებს ხელმოყვას მრავლობით დაზიანებას, ვინაიდან, პიროვნების ინდივიდუალობიდან გამომდინარე, არ არსებობს ფორმულა, რომელიც დაადგინდა ყველა ადამიანის ერთნაირი ქცევის წესს აფექტის მდგომარეობაში. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მხარის ასეთი მოტივაცია იმ საფუძველით, რომ საქმეში არ მოიპოვება მსჯავრდებულის აფექტში ყოფნის რაიმე მტკიცებულება.

კასატორი საკასაციო საჩივრით ასევე ითხოვს, რომ, იმ შემთხვევაში, თუ საკასაციო პალატა არ გაიზიარებს დაცვის მხარის არც ერთ პოზიციას, მაშინ პალატამ იმსჯელოს მ. ა-შვილისათვის სსკ-ის 108-ე მუხლით დანიშნული სასჯელის სამართლიანობაზე; მ. ა-შვილს არ გააჩნია პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები; არ არის ნასამართლევი; ჰყავს მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი; დანაშაულის პროვოცირება მოხდა აწ გარდაცვლილი გ. ჩ-ძის მხრიდან; მ. ა-შვილი თვითონ ჩაჰბარდა სამართალდამცავ ორგანოებს, თუმცა ჰქონდა საშუალება, რომ მიმალულიყო.

საკასაციო პალატის სხდომაზე ადვოკატმა მ. ბ-ვამ მხარი დაუჭირა თავის საკასაციო საჩივარს და მოითხოვა მისი დაკმაყოფილება იმ მოტივით, რომ მ. ა-შვილი იძულებული იყო, მოეგერიებინა თავდამსხმელი. ალტერნატიული მოთხოვნის სახით კასატორმა იშუამდგომლა მსჯავრდებულის ქმედების სსკ-ის 111-ე მუხლით დაკვალიფიციფიცირება ან მისთვის დანიშნული სასჯელის შემსუბუქება.

თავისი დამცველის მოთხოვნას მხარი დაუჭირა მსჯავრდებულმა მ. ა-შვილმა და განმარტა, რომ გარდაცვლილმა ორჯერ ჩაარტყა ბოთლი თავში. თვითონ იქნევდა დანას, რათა თავი გადაერჩინა.

დაზარალებულმა დ. კ-შვილმა განაცხადა, რომ მ. ა-შვილის მიმართ პრეტენზია არ აქვს.

პროკურორმა გ. შ-ძემ საჩივარს მხარი არ დაუჭირა და მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის შეცვლა მხოლოდ «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის საფუძველზე იმ მოტივით, რომ მსჯავრდებულის მიერ სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა დადასტურებულია საქმეში არსებული მტკიცებულებებით.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, მოისმინა მხარეთა მოსაზრება, გაანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე შეკრებილი მასალების ურთიერთშეჯერებითა და გაანალიზებით ირკვევა, რომ მას შემდეგ, რაც მ. ა-შვილმა ეზოში სცემა დ. კ-შვილს და ამის გამო გ. ჩ-ძემ დაუწყო გინება, მ. ა-შვილმა სახლიდან გამოიტანა დანა და ჩაერთო ჩხუბში, რა დროსაც მას გ. ჩ-ძემ ლუდის ბოთლით მიაყენა ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება, ხოლო მ. ა-შვილმა წინასწარ მომარჯვებული დანა ჩაარტყა გულში და მიაყენა სასიკვდილო ჭრილობა.

ასეთ პირობებში, როდესაც მსჯავრდებული წინასწარ მოემზადა მოსალოდნელი კონფლიქტისათვის და შეიარაღდა, აუცილებელი მოგერიება არ მომხდარა იმის მიუხედავად, რომ ჩხუბში პირველი დაზიანება მას გ. ჩ-ძემ მიაყენა. ამავე მიზეზით უსაფუძვლოა იმის მტკიცება, რომ მ. ა-შვილი მკვლელობის დროს აფექტის მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ამავე დროს პალატა საფუძველიანად მიიჩნევს საკასაციო საჩივრის მოთხოვნას მსჯავრდებულისათვის სასჯელის შემცირების შესახებ იმის გათვალისწინებით, რომ გ. ა-შვილი დანაშაულის ჩადენის შემდეგ თვითონ გამოცხადდა სამართალდამცავ ორგანოში, არ არის ნასამართლევი, ჰყავს მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი და მის მიერ დანაშაულის ჩადენას გარკვეულწილად ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც.

გარდა ამისა, «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მ. ა-შვილი უნდა გათავისუფლდეს სსკ-ის 239-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელის - 6 თვით თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილით და

დაადგინა:

მსჯავრდებულ მ. ა-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ბ-ვას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ივნისის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ: «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მ. ა-შვილი გათავისუფლდეს სსკ-ის 239-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელის - 6 თვით თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან;

მ. ა-შვილს სსკ-ის 108-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 9 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდეს 1 წლით და 6 თვით და საბოლოოდ მიესაჯოს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ხულიგნობა

განჩინება

საქმე #105-აპ

30 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
- ზ. მეიშვილი,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ კ. ჩ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თელავის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 27 სექტემბრის განაჩენით კ. ჩ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა ხულიგნობა, ე.ი. ქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილი ძალადობითა და ძალადობის მუქარით ხელი-სუფლების წარმომადგენლების მიმართ, რაც გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 17 თებერვალს, 21 საათზე, შსს-ს თელავის სამმართველოს თანამშრომლები იმყოფებოდნენ თელავში, ... გამზირზე, რა დროსაც იქვე გაიარა კ. ჩ-შვილმა. იგი პოლიციელების დანახვაზე აგრესიულად განეწყო, მივიდა მათთან, მიაყენა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, რაც გამოიხატა იმაში, რომ აგინებდა პოლიციელებს და იქნევდა ხელ-ფეხს. მიუხედავად პოლიციელთა არაერთი მოთხოვნისა, რომ დაწყნარებულიყო, კ. ჩ-შვილი კვლავ აგრძელებდა ხულიგნობას, რის გამოც ის დააკავეს და წარადგინეს პოლიციის განყოფილებაში.

გარდა ამისა, კ. ჩ-შვილი 2006 წლის 30 ივნისს ჩადენილი ხულიგნობისათვის 2007 წლის 28 მარტს გაასამართლა თელავის რაიონულმა სასამართლომ და სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიუსაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2007 წლის 28 მარტიდან. აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 7 მაისის განაჩენით დარჩა უცვლელად, ამასთან, მსჯავრდებულს სასჯელის ვადაში მოხდილად ჩაეთვალია დაკავების დრო - 2006 წლის 30 ივნისიდან 3 ივლისამდე - 3 დღე.

ბოლო განაჩენით კ. ჩ-შვილს მიესაჯა 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი - 4 წელი და საბოლოოდ განესაზღვრა 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2007 წლის 17 თებერვლიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა კ. ჩ-შვილმა და ითხოვა სასჯელის შემსუბუქება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 19 ნოემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებული კ. ჩ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ ოჯახში მხოლოდ თვითონ და 1-ლი ჯგუფის ინვალიდი დედა არიან, რომელსაც ამჟამად ძალიან უჭირს და არავინ ჰყავს მიმხედავი; თვითონაც მე-2 ჯგუფის ინვალიდია, ბავშვობიდან იზრდებოდა სხვადასხვა სკოლა-ინტერნატში; დაკავებამდე ქუჩაში უკრავდა და მღეროდა და ამით ირჩენდა თავს, ეხმარებოდა დედას და შეძლებისდაგვარად - მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს. მსჯავრდებული გულწრფელად აღიარებს და ინანებს ჩადენილ დანაშაულს და ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით, მათ შორის დაზარალებულის სახით დაკითხული პოლიციელების - ს. კ-შვილის, გ. კ-შვილის და გ. ფ-შვილის ჩვენებებით ირკვევა, რომ მათ დანახვაზე კ. ჩ-შვილი აგრესიულად განეწყო და მიმართა - თქვენ ის არ ხართ, ვინც დამაკავა და 4 წელი მომისაჯა, რა ხალხი ხართო. წესრიგის დაცვისკენ მოწოდებამ კ. ჩ-შვილი უფრო გააღიზიანა, პოლიციელებს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და იწევდა მათკენ, იქნევდა ხელ-ფეხს, რა დროსაც შემთხვევის ადგილთან ჩერდებოდნენ ავტომანქანები და მოგროვდა ხალხი. კ. ჩ-შვილის დაკავება ვერ ხერხდებოდა, რის გამოც გამოიძახეს დამხმარე ჯგუფი. ყოველივე დაახლოებით 15-20 წუთი გაგრძელდა.

თავად მსჯავრდებულმა კ. ჩ-შვილმა საქმის წინასწარი და სასამართლო გამოძიებისას აღიარა მისთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა, აღნიშნა, რომ უდანაშაულო პირებს მიაყენა შეურაცხყოფა და ითხოვა პატიება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია და მსჯავრდებულის ქმედება სწორადაა დაკვალიფიცირებული. ამასთან, წინა განაჩენი გამოტანილია კ. ჩ-შვილის მიერ ბოლო დანაშაულის ჩადენის შემდეგ და ამ გარემოების დამამძიმებლად მიჩნევა, ამ შემთხვევაში არასწორია. აღნიშნულისა და იმის გათვალისწინებით, რომ საქმის წარმოების ყველა ეტაპზე მსჯავრდებული გულწრფელად აღიარებდა და ინანიებდა ჩადენილ ქმედებას, თანამშრომლობდა გამოძიებასთან და ხასიათდება დადებითად, მისთვის დანიშნული სასჯელი მეტისმეტად მკაცრი და აშკარად უსამართლოა, რის გამოც უნდა შემსუბუქდეს.

გარდა ამისა, ამ განჩინებით დანიშნულ სასჯელს მთლიანად უნდა დაემატოს არა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი, არამედ მისი მოუხდელი ნაწილი - თავისუფლების აღკვეთა 3 წლით, 11 თვითა და 27 დღით.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

დაადგინა:

მსჯავრდებულ კ. ჩ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ნოემბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ: კ. ჩ-შვილს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი - 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდეს 1 წლით და განესაზღვროს 3 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც მთლიანად დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - თავისუფლების აღკვეთა 3 წლით, 11 თვითა და 27 დღით და კ. ჩ-შვილს საბოლოოდ განესაზღვროს 7 წლით, 5 თვით და 27 დღით თავისუფლების აღკვეთა;

კ. ჩ-შვილს სასჯელის მოხდა დაეწყოს 2007 წლის 17 თებერვლიდან.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.